# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 20 სექტემბერი 2000 №181 (1203) | ფასი 50 თეთრი





REUTERS სტამბოლიდან

ბეშიქთაში — ბარსელონა 3:0. აბელარდო (№5), ფრენკ დე ბური (№3) და ხერარდი (№14) მოწმეებივითაა შესცქერიან თურქი აჰმეთ დურსუნის (№7) ზუსტ დარტყმასა და გოლს.

| E ჯგუფი | | G ჯგუფი | |
|---|---|---|---|
| დეპორტივო | 2 | ანდერლეხტი | 1 |
| ჰამბურგი | 1 | პსვ ეინდჰოვენი | 0 |
| იუვენტუსი | 2 | დინამო | 0 |
| პანათინაიკოსი | 1 | მანჩესტერი | 0 |
| **F ჯგუფი** | | **H ჯგუფი** | |
| ბაიერნი | 3 | ბეშიქთაში | 3 |
| რუსენბორგი | 1 | ბარსელონა | 0 |
| პარი სენ ჟერმენი | 4 | ლიდსი | 1 |
| ჰელსინბორგი | 1 | მილანი | 0 |

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ვაი, დიდა!

*— ჩვენ ვწუხვართ, ის ჩვენზე მეტად, მაგრამ რას იზამ: ფეხბურთში ასეთებიც ხდება — თქვა „მილანის" მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ. „ის" მილანელთა ბრაზილიელი მეკარე ნელსონ დიდაა, ვინც ლიდსში და თავსხმა წვიმაში 89 წუთი მშრალად იდგა, მაგრამ მერე ლი ბოიერის შორეული დარტყმულის იოლად მოგერიება სცადა და ბურთი საკუთარ კარში შეაგორა... და ვინაიდან „ბარსელონა" სტამბოლში ნევიო სკალამ გაანადგურა, ახლა H ჯგუფში ყველა გუნდი ლიდერი და ამავდროულად აუტსაიდერია.*

იხილეთ მეორე გვერდი

Sydney 2000

# ამერიკა, იანი და იანა

## გუშინ ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ

**სროლა**

ვაჟები. ნებისმიერი პისტოლეტი
ტანიუ კირიაკოვი (ბულგარეთი)
ქალები. დაბლ ტრეპი
პია ჰანსენი (შვედეთი)

**ძიუდო**

ვაჟები. 81 კგ
მაკოტო ტაკიმოტო (იაპონია)
ქალები. 63 კგ
სევრინ ვანდენენდი (საფრანგეთი)

**ტანვარჯიში**

ქალები. გუნდური
რუმინეთი
(მარია ოლარუ, სიმონა ამანარი, კლაუდია პრესაკანი, ანდრეია ისარესკუ, ანდრეია რადუჩანი, ლორედანა ბობოჩი)

**ძალოსნობა**

ქალები. 63 კგ
ჩენ სიაომინი (ჩინეთი)
ქალები. 69 კგ
ლინ ვეინინგი (ჩინეთი)

**ველოტრეკი**

ვაჟები. გუნდური რბოლა გამოდევნებით
გერმანია
(გვიდო ფულსტი, რობერტ ბარტკო, დანიელ ბეკე, იენს ლემანი)

**ფარიკაობა**

დაშნა. გუნდური
რუსეთი
(ტატიანა ლოგუნოვა, ოქსანა ერმაკოვა, მარია მაზინა, კარინა აზნავურიანი)

**ცურვა**

ვაჟები. 200 მ. ბატერფლაი
ტომ მალჩოუ (აშშ)
ვაჟები. 4X200 მ. ესტაფეტა.
თავისუფალი სტილი
ავსტრალია
(იან ტორპი, მაიკლ კლიმი, ტოდ პირსონი, უილიამ კირბი)
ქალები. 200 მ.
თავისუფალი სტილი
სუზან ონილი (ავსტრალია)
ქალები. 200 მ.
კომპლექსური
იანა კლოჩკოვა (უკრაინა)

**მშვილდოსნობა**

ქალები
იუნ მი ჯინი (კორეა)

**ცხენოსნობა**

სამჭიდი. გუნდური
ავსტრალია
(ფილიპ დატონი, ენდრიუ ჰოი, სტიუარტ ტინი, მეტ რაიანი)



REUTERS სიდნეიდან

უკრაინას ორი ოქრო აქვს და ორივე იანა კლოჩკოვასგან

გუშინ, ვიდრე ქართველი სპორტსმენები სიდნეის ოლიმპიადაზე უქმობდნენ, ქვეყნებში, ვაჟებში და ქალებში ლიდერები გამოიკვეთნენ. ამერიკამ მეშვიდე, ავსტრალიელმა მოცურავე იან ტორპმა მესამე, ხოლო მისმა უკრაინელმა კოლეგა-მანდილოსანმა იანა კლოჩკოვამ მეორე ოქროს მედალი მიითვალეს.

დღეს სიდნეიში ორი ქართველი იასპარეზებს: ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძე მრავალჭიდის ფინალში, ხოლო ძიუდოისტი გია გუგავა 90-კილოგრამიანების ტურნირში ჩაებმება.

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ტური

UEFA CHAMPIONS LEAGUE

### E ჯგუფი

#### დეპორტივო 2:1 ჰამბურგი

1:0 პანდიანი (43), 1:1 ბარბარესი (53), 2:1 სკალონი (89)
დეპორტივო (საწყისი შემადგენლობა): მოლინა, პაბლო, დონატო, ნაიბეტი, რომერო, მაურო სილვა, ემერსონი, ფრანი, ვიქტორ სანჩესი, პანდიანი, ტრისტანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ჰამბურგი (საწყისი შემადგენლობა): ბუტი, ჰერტი, ჰოოგმა, პანადიჩი, კოვაჩი, ტოფტინგი, ბარბარესი, მაჰდავიკია, იებოა, ჰოლერბახი, კეტელაერი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)
16 000 მაყურებელი

#### იუვენტუსი 2:1 პანათინაიკოსი

1:0 ტაკინარდი (35), 1:1 გუმასი (45), 2:1 ტრეზეგე (83)
იუვენტუსი (საწყისი შემადგენლობა): ვან დერ სარი, ფერარა, ტუდორი, პარამატი, კონტე, ტაკინარდი, დავიდსი, პესოტო, ზიდანი, დელ პიერო, ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
პანათინაიკოსი (საწყისი შემადგენლობა): ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, ვოკოლოსი, ოლივარესი, ფისასი, გუმასი, კოლა, კარაგუნისი, ბასინასი, ვარჟიხა, ლიბეროპულოსი
მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადისი
მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:5 | 4 |
| დეპორტივო | ? | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ჰამბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 5:6 | 1 |
| პანათინაიკოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

### F ჯგუფი

#### ბაიერნი 3:1 რუსენბორგი

0:1 სორენსენი (38), 1:1 იანკერი (73), 2:1 ელბერი (77), 3:1 ლინკე (80)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ანდერსონი (სანტა კრუზი 46; ელბერი 74), ლინკე, ლიზარაზუ (ტარნატი 43), ჟისინგერი, ფინკი, სფორცა, შოლი, იანკერი, სალიჰამიჯიჩი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
რუსენბორგი: იამტფალი, ბასმა, ჰოფტუნი, ბ. იონსენი, სტენსაასი, ვინსნესი, სკამელსრუდი, ბერგი, სორენსენი, ფ. იონსენი, სტრანდი (კნუტსენი 81)
მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი
მსაჯი: ხუან მარინი (ესპანეთი)
20 000 მაყურებელი

#### პსჟ 4:1 ჰელსინგბორგი

1:0 ანელკა (24), 1:1 ბ. იოჰანსენი (45), 2:1 რობერი (63), 3:1 კრისტიანი (80), 4:1 ელ კარკური (89)
პსჟ: ლეტიზი, ალჟერინო, რაბესანდრატანა, ელ კარკური, მენდი, ლუქსენი, დალმა (იანოვსკი 82), ბენარბია (სისე 75), რობერი, კრისტიანი (ლერუა 89), ანელკა
მწვრთნელი: ფილიპ ბერჟერო
ჰელსინგბორგი: ს. ანდერსონი, რ. ნილსონი, ო. ნილსონი, მატოვაცი, პერსონი, კ. ანდერსონი (ჰანსონი 73), ბ. იოჰანსენი (ეკლუნდი 80), უ. იანსონი, ს. იოჰანსენი, ი. იანსონი, ალვარო
მწვრთნელი: ნანე ბერგსტადი
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)
28 303 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| პსჟ | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| რუსენბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ჰელსინგბორგი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

### G ჯგუფი

#### ანდერლეხტი 1:0 ეინდჰოვენი

1:0 დეედენი (81)
ანდერლეხტი: დე ვილდე, კრასონი, სტალენსი, დე ბოეკი, დეედენი, ვანდერეგე, ბასეჯიო, გოორი, იაჩჩუკი (სტოიკა 58), რაძინსკი (დინდანე 73), კოლერი
მწვრთნელი: ემე ანტუნესი
ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ვან დერ ვეერდენი, ნიკიფოროვი, ჰაინცე, რომედალი (ლუსიუსი 63), ვოგელი, ვან ბომელი, ბუმა (კოლკა 79), კეჟმანი, ბრუგინკი (დე იონგი 72)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
მსაჯი: ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)
28 000 მაყურებელი

#### დინამო 0:0 მანჩესტერი

დინამო: შოვკოვსკი, ხაცკევიჩი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი (ბოდნარი 82), კალაძე, ნესმაჩნი, ბელკევიჩი, შაცკიხი, დემეტრაძე (კუზმიჩევი 65), გუსინი (ფიოდოროვი 86)
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, ირვინი, იონსენი, სილვესტრი, ბექემი, ბათი, გიგზი, კოული (სოლსკიაერი 77), კინი, იორკი (შერინგემი 64)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)
60 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| ეინდჰოვენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ანდერლეხტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

### H ჯგუფი

#### ბეშიქთაში 3:0 ბარსელონა

1:0, 2:0 აჰმეთი (37, 74), 3:0 ნუმა (87)
ბეშიქთაში: შორუნმუ, კარჰანი, ტაიფური, მიუხი, უმითი, ხლესტოვი, ერმანი (რაჰიმი 90), იბრაჰიმი, ნუმა (ულუსალი 88), ნიჰათი, აჰმეთი (იასინი 80)
მწვრთნელი: ნევიო სკალა
ბარსელონა: დუტრუელი, ფ. დე ბური, აბელარდო, ხერარდი, პეტი, სიმაო საბროსა (ზენდენი 76), სერხი (ალფონსო 63), დე ლა პენია, ოვერმარსი, რივალდო, კლუივერტი (დანი 73)
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
20 000 მაყურებელი

#### ლიდსი 1:0 მილანი

1:0 ბოიერი (89)
ლიდსი: მარტინი, კელი, დაბერი, მილსი, მატეო, ბაკე, ბოიერი, დაკური, ჰარტი, სმიტი, ბრიჯესი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
მილანი: დიდა, ჰამოტი, ალბერტინი, კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი, ჯუნტი (საუდატი 90), კოკო, გული (დე აშენტისი 60), ბირჰოფი, შევჩენკო
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
მსაჯი: გიუნტერ ბენკო (ავსტრია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ბარსელონა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ბეშიქთაში | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ლიდსი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |




REUTERS

კიევში უთმოდ და უგოლოდ. დინამოელები, უცნობი მიზეზის გამო, „მანჩესტერ იუნაიტედს" თავგადაპარსულები დაუხვდნენ და ვინაიდან ასეთები ფერგიუსონსაც არაერთი ჰყავს, „ოლიმპიურზე" ერთბაშად 16 კოტორა ვიხილეთ. ამათი ბარსელონელი „ძმა" აბელარდო კი სტამბოლში თურქებმა ძალიან დაამწუხრეს.



REUTERS




REUTERS

დეპორტივო — ჰამბურგი 2:1. სტუმარი ტოფტინგი ფრანს (№10) ელობება

დღევანდელ „სარბიელში" საფეხბურთო გვერდებია 2, 3, 4, 5, 6, 11, 12, 13

# მენეჯერის საიდუმლო

## თურქეთში მყოფი სილაგაძე ბოლნისში მოიკითხეს

**ორშაბათს** ბოლნისში „სიონი" — „ლოკომოტივის" მატჩზე დასასწრებად ამალით ჩასულ რკინიგზული კლუბის პრეზიდენტს, აკაკი ჩხაიძეს მოუსვენრობა ეტყობოდა. იგი დიდხანს აკვირდებოდა მოედანზე მოსათელად გასულ თავის ფეხბურთელებს, შემდეგ კი მობილური მოიმარჯვა და... „რეზო, სილაგაძეს ვერ ვხედავ, სად არის, რა შეემთხვა"? დასმულ კითხვაზე, როგორც ჩანს, „ლოკომოტივის" პრეზიდენტმა ამომწურავი პასუხი მიიღო მთავარი მწვრთნელისგან და სატელეფონო საუბრის დასრულებისას ცოტა უკმაყოფილომ შესძახა, საზღვარგარეთ წასულა გასასინჯადო.

რადგან ამ საკითხის შესახებ პრეზიდენტზე მეტი ძოძუაშვილმა იცოდა, ჩვენც ნამატჩევს მას გავესაუბრეთ.

„ლევანი რამდენიმე დღის წინ მენეჯერთან ერთად თურქეთს გაემგზავრა, სადაც უმაღლესი ლიგის კლუბთან აწარმოებს მოლაპარაკებას. მიუხედავად იმისა, შეთანხმდებიან თუ არა მხარეები, სილაგაძე ორიოდე დღეში თბილისში დაბრუნდება და მისი მომავალიც საბოლოოდ აქ გადაწყდება" — განაცხადა „ლოკომოტივის" თავკაცმა. ძოძუაშვილს სილაგაძის მსურველი თურქული კლუბის ვინაობა აღარ დაუკონკრეტებია. ამის შესახებ მეც არაფერი ვიცი, რადგან ლევანის მენეჯერს მნიშვნელოვანი დეტალები ერთობ გასაიდუმლოებული აქვს და ჩვენთვისაც არაფერი გაუმხელიაო, გვითხრა მიხიჩამ.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ სილაგაძის თურქეთში გადასვლაზე ორი წლის წინაც იყო საუბარი. მაშინ ქართველი მცველით თურქული ფეხბურთის გრანდი, „გალათასარაი" დაინტერესდა, მაგრამ ამ ტრანსფერიდან საბოლოოდ არაფერი გამოვიდა.

**ბაატა ძგანტალიანი**



ლევან სილაგაძე

# გინება მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის

## საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა ჟურნალისტებს თეორიული მეცადინეობა ჩაუტარეს

**მწვავე** კამათისა და შესიტყვების დღე გვქონდა გუშინ სპორტულ ჟურნალისტებს, უფრო სწორად ქართულ ფეხბურთზე მწერალთ და ტელევიზიაში მომუშავეთ.

გუშინ, კარგა ხნის შესვენების შემდეგ, სპორტის დეპარტამენტში კვლავ შეიკრიბნენ მწვრთნელთა საბჭოს წევრები ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან ერთად, დაახლოებით ორ საათს კარს მიღმა ილაპარაკეს და...

მერე პრესკონფერენცია გაიმართა. ერთმანეთის პირისპირ ჩვენ, სპორტული ჟურნალისტები და მწვრთნელები — ზაურ სვანაძე, ჯონი ჯანელიძე, შოთა ჭეიშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, დავით ყიფიანი, მურთაზ ხურცილავა, სერგო კუტივაძე, კობა ჟორჟიკაშვილი, ოთარ გაბელია, რამაზ შენგელია და ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე და შოთა ხინჩაგაშვილი ვისხედით. ყველაფერი ნორმალურად დაიწყო. პირველად პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ თქვა:

— საქართველოს ნაკრების შესარჩევი მატჩები ახლოვდება და ამასთან დაკავშირებით შევიკრიბეთ. ლიტვა-იტალიასთან თამაშებამდე ჩვენ იმედიანად ვართ. ყველამ, მწვრთნელმა თუ ფეხბურთელმა, იცის ამ მატჩების მნიშვნელობა და მთელი პასუხისმგებლობით ემზადება. ნაკრებს ლიტვასა და იტალიასთან შეხვედრამდე არანაირი პრობლემა არ აქვს.

ეს იყო და ეს, რაც მერაბ ჟორდანიამ გუშინ თქვა, მთავარი გმირი კი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი და ქუთაისის „ტორპედოს“ მწვრთნელი დავით ყიფიანი გახლდათ, რომელმაც ჩვეულებისამებრ არც ამჯერად დაგვაკლო საფუძველს მოკლებული კრიტიკა, თუმც ვალში არ დავრჩენილვართ. თავად განსაჯეთ, ყიფიანი ამბობს — როცა ვიღაც ქომაგი დედას გაგინებს, ეს ჟურნალისტების ბრალია, ის თქვენს ნაწერებს რომ კითხულობს, ამიტომ აძლევს თავს ამის უფლებას.

ვერ დავეთანხმეთ დავით ყიფიანს და აი, ჩვენი პასუხიც — ნაწერის გამო არა, გულშემატკივარი იმიტომ გაგინებთ, რომ თქვენი და თქვენი კოლეგების გაწვრთნილი გუნდები 0:5, 0:7 აგებენ ხოლმე. ყოველივე ეს ქომაგებმა უჩვენოდაც კარგად იციან.

მწვრთნელმა ამის საპასუხოდ თქვა — 50-იან წლებშიც წაუგია თბილისის „დინამოს“ ასეთი ანგარიშებით. ჩემი გაწვრთნილი გუნდები რამდენჯერმე გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები, მაგრამ ჩემთვის დავით ყიფიანისთვის, ქვეყნის დამსახურებული მწვრთნელის წოდებაც არავის მოუნიჭებია.

ყიფიანი ნელ-ნელა კიდევ უფრო გაცხარდა და პირდაპირ განგვიცხადა — თუ ამიერიდან ვინმე დედაჩემს შეეხება, უბედურება მოხდება, შემგინებელი რამდენიმე კვირას საავადმყოფოში გაატარებს.

ყიფიანმა ისიც გვითხრა, ზოგიერთი თქვენი კოლეგა ჩვენს მეტოქეს ინფორმაციას აწვდის და ამით დათვურ სამსახურს გვიწევს. უცხოელი ჟურნალისტები, რასაც ჩვენ გვეუბნებიან, იმას გაზეთშიც წერენ, ქართველები კი არდასაწერს მეტოქეებს უკარკლავენო.

საკვირველ-საპასუხოც ის გვქონდა, რომ ყიფიანმა რატომღაც ასეთი ჟურნალისტის თუ გამომცემლობის ვინაობა არ დაასახელა, რატომ, ვერ გავიგეთ.

— ნაკრების ფეხბურთელებისთვის ჩვენ საუბარი არ აგვიკრძალავს. მათ ვუთხარით ჟურნალისტებთან ნაკრების თაობაზე ლაპარაკისგან დროებით თავი შეეკავებინათ. ისინიც დაგვეთანხმნენ. მიზეზი? ყოველივე ამას ჯერჯერობით სასიკეთო არაფერი მოუტანია. ისეთ რაღაცეებს ამბობენ, რაც გუნდის მომზადებას ხელს უშლის. სჯობს ნაკლები ილაპარაკონ და მეტი საქმე აკეთონ — ესეც ყიფიანმა თქვა საკმაოდ გაღიზიანებული ტონით.

კითხვაზე, რატომ არ დაესწრნენ ეროვნული გუნდის მწვრთნელები შესარჩევ ჯგუფში მომავალ მეტოქეთა მატჩებს, ჯერ რევაზ ძოძუაშვილმა გვიპასუხა, მერე ყიფიანმა, მერე კი...

*რევაზ ძოძუაშვილი:*

— „ლოკომოტივში“ და „ტორპედოში“ ნაკრების რამდენიმე წევრია და მათ გვერდით ყოფნა უფრო უპრიანად მივიჩნიეთ, ვიდრე რუმინეთ-ლიტვისა და უნგრეთ-იტალიის მატჩებზე დასწრება. ახლა ამ ფეხბურთელებს ჩვენი ყურადღება სჭირდებათ. გამორიცხული არ არის, მათ ძირითად შემადგენლობაში ითამაშონ და უნდა ვიცოდეთ, როგორ ფორმაში არიან. რუმინეთ — უნგრეთში წასვლა-წამოსვლაში დაკარგული დღეები სჯობდა, საქართველოში მოთამაშე ნაკრების წევრთათვის დაგვეთმო. ჩვენს მეტოქეებზე ისედაც საკმაო ინფორმაცია გვაქვს.

*დავით ყიფიანი:*

— მეტოქეთა მატჩებზე ჩვენი ოპერატორები იყვნენ, მათ გადაიღეს ის თამაშები და ფირები უკვე მოგვაწოდეს.

ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა და მისი თანაშემწე სერგო კუტივაძე კი ამ კითხვის მოსმენის შემდეგ, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, გაკვირვებულნი დარჩნენ, ერთმანეთს შესცქეროდნენ, მხრებს იჩეჩავდნენ, აქით-იქით იყურებოდნენ... ბოლოს სერგო კუტივაძემ ეს თქვა:

— რა თქვენი საქმეა, რატომ არ დავესწარით მეტოქეთა მატჩებს. თავი დაგვანებეთ, ჩვენ წვრთნის საკუთარი მეთოდი გვაქვს.

ერთი სიტყვით, თავად განსაჯეთ. საქართველოში მოთამაშეთაგან ნაკრებში სულ შვიდი ფეხბურთელია და თურმე მათ გამო არ ღირდა ბუქარესტ-ბუდაპეშტში გამგზავრება. თურმე ტელევიზორში უკეთ ჩანს გუნდის ავ-კარგი, ვიდრე ტრიბუნიდან; თურმე გუნდის წვრთნის ქართული მეთოდი არ ითვალისწინებს მეტოქეთა მატჩებზე დასწრებას.

რატომღაც ამის მსმენელი მწვრთნელთა საბჭოს წევრები ჩუმად ისხდნენ. თუ საბჭოა, ჯობს, სათქმელი პირში თქვან. დავიჯეროთ, ისინი იზიარებენ ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებთა მწვრთნელების აზრს?

ლიტვა-იტალიაში თამაშების თაობაზე კი საინტერესო ბევრი არაფერი თქმულა. ეს იყო, ყიფიანმა განაცხადა, შოთა არველაძის ტრავმა ალბათ სერიოზული არ არის, თანაც თავდასხმაში დიდი კონკურენციააო.

გავიგეთ, რომ ეროვნულ გუნდში გამოძახებული 24 ფეხბურთელის ნაცვლად დღესდღეობით 23-ია. სკონტოელი რეხვიაშვილი და პსვ-ის ნახევარმცველი გახოკიძე ტორპედოელმა ვალტერ გუჩუამ შეცვალა.

მურთაზ ხურცილავამ უძლიერესი შემადგენლობის გამოძახება გვსურდა, მაგრამ ლაშა ჯოკობია ტრავმირებულიაო.

და კიდევ. ეროვნულ გუნდს რომ ორი მწვრთნელი ჰყავს, 7 ოქტომბერს, როცა საქართველო ლიტვაშია და იტალია რუმინეთს დაუხვდება, ამ მატჩს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე და ნაკრების მენეჯერი დავით პეტრიაშვილი დაესწრებიან და კაუნასიდან იქ ჩასულ მწვრთნელებს საჭირო ინფორმაციას დაახვედრებენ. ძოძუაშვილის და ყიფიანის თქმით კი, იტალიის ნაკრებს შესწავლა აღარ სჭირდება.

ამ ვითომ პრესკონფერენციის შემდეგ დარბაზში დაახლოებით ოცამდე მსაჯი შემოვიდა, თქვენთან, ჟურნალისტებთან ლაპარაკი გვსურსო. ბევრი, კრიტიკულ-სამადლობელი სიტყვების მორალი კი ვერ გავიგეთ. დაგვიცავითო, ხშირად ისმოდა ეროვნულ ჩემპიონატს მომსახურე მსაჯებისგან. როგორ უნდა დავიცვათ ისინი, ვერც ეს გავიგეთ. აგერ, დღეს სტკ-ის სხდომაა და დასაცავი მათ დაიცვან, დასასჯელიც მათ დასაჯონ, ხანდახან დებულების დამრღვევ დამნაშავეს რომ ხელს აფარებენ.

მცხეთაში „ვიტ ჯორჯია“ — „დინამოს“ მატჩამდე და მატჩის დროსაც ვიტელთა თავკაცობას მსაჯები ძალიან, ძალიან გაულანძღავს: „100 ათასს გადავიხდი და თქვენ აღარ იმსაჯებთ“ — ამ მატჩის არბიტრ ალექსანდრე მეშკოვის თქმით, ასე დამუქრებია მას „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი გურამ რუხაძე.

მოკლედ, გუშინ დღე გვქონდა სპორტულ ჟურნალისტებს, ნუ იტყვით...

**კობა ინასარიძე**



იტალიური ტრიო იშლება: „ბათუმის“ ვიცე-პრეზიდენტ მარკო კანისტრარის (შუაში) მთავარი მწვრთნელი ჯანი კარნევალი და მისი თანაშემწე ლუჩო მესინა (მარცხნივ) მიატოვებენ

# მშვიდობით, ჯანი!

## ბათუმიდან მოდის კარნევალი

— **ასეთ** სიტაციაში მუშაობა შეუძლებელია და არც ღირს. უბრალოდ, პატივი ვეცი ჩემს ფეხბურთელებს, გუნდის პრეზიდენტს და ბათუმს. ხვალ უნდა შევხვდე კლუბის სპონსორ ასლან ფაღავას და გუნდში ჩემი ყოფნა-არყოფნის საკითხიც გადაწყდება, საქართველოსთან განშორებას კი არ ვაპირებ — ეს „ბათუმის“ იტალიელი თავკაცის, შეიძლება ითქვას, აწ უკვე ყოფილი თავკაცის, ჯანი კარნევალის სიტყვებია, ამასწინანდელ პრესკონფერენციაზე რომ განაცხადა.

დიახ, საქართველოში მორიგმა უცხოელმა მწვრთნელმა დაამთავრა მუშაობა — იტალიელი ჯანი კარნევალი უახლოეს თბილისი-ციურიხის რეისის თვითმფრინავს ელის და სამშობლოში დაბრუნდება. ის „ბათუმის“ მწვრთნელი აღარ იქნება.

— ჯანი მიდის — გვითხრა „ბათუმის“ პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემ წუხელ, როცა ბათუმში შევეხმიანეთ — ის ალბათ ხვალ თბილისში გამოემგზავრება და შვეიცარიის რეისს გაჰყვება.

**— მიზეზი რა არის? რატომ ტოვებს კარნევალი „ბათუმს“?**

— ჯანმრთელობის გაუარესების გამო.

**— ასეთი რა სჭირს?**

— არ მეგონა, რომ ჯანი ქუთაისშიც უხელმძღვანელებდა გუნდს. ზუსტად არ ვიცი, მგონი, კუჭი აწუხებს. „ტორპედოსთან“ მატჩის წინ შეტევა ჰქონდა.

**— მცხეთაში „ვიტ ჯორჯიას“ წინააღმდეგ „ბათუმის“ მწვრთნელი ვინ იქნება?**

— თუ თბილისიდან შვეიცარიის რეისი არ შედგა, შესაძლოა გუნდს კვლავ კარნევალიმ უხელმძღვანელოს.

**— მისი შემცვლელი ვინ იქნება?**

— ჯერ ვერაფერს გეტყვით. ამ საკითხზე არ გვილაპარაკია. ისე კი რამდენიმე კანდიდატი გვყავს შერჩეული.

**— კონკრეტულად?**

— ჯობს ამის თაობაზე მოგვიანებით ვთქვათ.

შეგახსენებთ, ჯანი კარნევალი საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მწვრთნელთაგან მეორე უცხოელი გახლდათ. მისი წინამორბედი, ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი ახლა ბელგიის „გენკს“ თავკაცობს, მას საქართველოში ერთი წელიც არ უმუშავია. იტალიელი ჯანი კარნევალი კი გასული სეზონის დასაწყისიდან წვრთნიდა „ბათუმს“, მისი თავკაცობით გუნდი ჩემპიონატში მეოთხე იყო.

**კობა ინასარიძე**

# არაუს ანჩაბაძე მოეწონა, ანჩაბაძეს პირობები?

**შვეიცარიულ** „არაუში“ გასასინჯად მყოფი გიორგი ანჩაბაძე კარიერას ალბათ სწორედ ამ კლუბში გააგრძელებს. მისი საკითხი თითქმის გადაწყვეტილი ყოფილა.

„გიორგიმ მწვრთნელს თავი მოაწონა. დღე-დღეზე კონტრაქტიც გაფორმდება. მხოლოდ პირობები დარჩა შესათანხმებელი“ — გვითხრა „არაუს“ ქართველმა თავდამსხმელმა ლევან ხომერიკმა, რომელსაც გუშინ შვეიცარიაში შევეხმიანეთ.

„სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ ანჩაბაძე ორ კვირაზე მეტია შვეიცარიაში იმყოფება. იგი „არაუს“ თავკაცმა როლფ ფრინგერმა მიიწვია გასასინჯად. იქ ჩასულმა ქართველმა ფეხბურთელმა საგანგებოდ მის შესამოწმებლად ჩატარებულ ამხანაგურ მატჩებში მიიღო მონაწილეობა. გოლებიც გაიტანა და მწვრთნელებსაც მოაწონა თავი.

იმედია, შვეიცარიული კლუბი და ჩვენებური პირობებზე მორიგდებიან და ანჩაბაძეც ხომერიკის თანაგუნდელი გახდება. ხომერიკი ბოლო დროს მშვენივრად ათამაშდა. შეგახსენებთ, გასულ შაბათს „ივერდონთან“ საშინაო შეხვედრაში ლევანმა ჰეთ თრიქიც შეასრულა, რისი წყალობითაც მასპინძლებმა მეტოქე 4:3 დაამარცხეს.

ასე რომ, დიდი შანსია, შვეიცარიის უმაღლეს დივიზიონში მოთამაშე ქართველთა რიცხვი ოთხამდე გაიზარდოს. მიხეილ ყაველაშვილი და გოჩა ჯამარაული კარგა ხანია, „ციურიხის“ ღირსებას იცავენ, ყაველაშვილს მანამდე „გრასჰოპერის“ შემადგენლობაში ქვეყნის ჩემპიონის ტიტულიც მოუპოვებია. ანჩაბაძის ნიჭისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, იქაურ ჩემპიონატს გიორგიც კარგად უნდა მოერგოს.

**განო ოძროპირიძე**

# რუსთავში — ყირიმი — დისკვალიფიკაცია

## ივეჩიანს გორდას პრეზიდენტი ემუქრება

**სამტრედიელი** ბიძინა ივეჩიანი XII ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე შეუერთდა რუსთავის „გორდას“. ამ შენამატით „მეფოლადეებს“ გუნდიდან ვარლამ კილასონიას წასვლით გამოწვეული დანაკლისი სრულად არ შეუვსიათ, მაგრამ ასე თუ ისე სწრაფი ივეჩიანი მოერგო მათ სათამაშო სტილს და იასონ ალადაშვილიც, გუნდის მთავარი მწვრთნელი, სისტემატურად აყენებდა ფეხბურთელს ძირითადი შემადგენლობის თავდასხმის ხაზში.

ასე უნდა მომხდარიყო კვირასაც, „გორდა“ — „მერანის“ შეხვედრაში, მაგრამ მოულოდნელად ივეჩიანის პოზიციაზე მცველმა ლაშა სილაგაძემ ითამაშა. ბიძინა არც „გორდას“ სათადარიგო სკამზე გამოჩენილა, მეტიც, იგი იმ დღეს საერთოდ არ ყოფილა რუსთავში.

ივეჩიანი უმადურად მოგვექცა, მოგვატყუა და ამისათვის დაისჯება კიდეცო, ცხარობდა ნამატჩევს იასონ ალადაშვილი.

საქმე ის გახლავთ, რომ ეს ფეხბურთელი რამდენიმე დღის წინ გუნდთან შეთანხმებით სიმფეროპოლს გაემგზავრა იქაურ „ტავრიაში“ გასასინჯად. ალადაშვილის თქმით, „გორდას“ მესვეურთ „იბერიის“ პრეზიდენტი ნუგზარ ნიკოლაიშვილი დაკავშირებია და დაპირებია, რომ ივეჩიანი ხუთშაბათს („მერანთან“ მატჩამდე სამი დღით ადრე) რუსთავში იქნებოდა, იგივე განუცხადებია თავად ფეხბურთელსაც, თუმცა რუსთაველებს ამაოდ მოუხდათ ცდა.

მოაწონა თუ არა თავი ივეჩიანმა „ტავრიას“, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, იმის თქმა კი დანამდვილებით შეგვიძლია, რომ რუსთავში დაბრუნებულს დიდი უსიამოვნება ელის. „გორდას“ პრეზიდენტი მომხდარით აღშფოთებულია, ივეჩიანი სამაგალითოდ დაისჯება, ჩვენ მას დისკვალიფიკაციას მივცემთ — გვითხრა ალადაშვილმა.

**ბაათა ქვანტალიანი**

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე
5 ტური
მიმოხილვა

# სამტრედიული სინამდვილე

**იშვიათად** შემხვედრია მწვრთნელი, რომელიც წაგებული თამაშის შემდეგ თავის შეცდომას აღიარებს. ქართველ სტრატეგთა უმრავლესობას მიზეზები არ ელევა — მსაჯმა მიკერძოებით განსაჯა, ფეხბურთელებმა დავალება ვერ შეასრულეს, იქ ცხელოდა, აქ წვიმდა, მინდორი არვარგოდა და ასე შემდეგ. არავინ ამბობს იმას, რატომ იყო მსაჯი ტენდენციური, რა მიზეზით ჩააგდო ფეხბურთელმა თამაში, ვინ არ უვლის სათამაშო სარბიელს და მისთანები. მერე უკვირთ, რად ეცემა ეროვნული ჩემპიონატის დონეო.

„ხუთი წუთიც რომ დაგვცლოდა, მატჩს მოვიგებდით." „გორდას" თავკაცს, იასონ ალადაშვილს ეტიკეტი არ დავიწყებია, კოლეგასაც მოუბოდიშა და თავისი სატკივარიც ალალად, გულწრფელად გამოხატა, მაგრამ რუსთაველთა დამრიგებელს თავისი გუნდის არასტაბილურ თამაშსა და დაშვებულ შეცდომებზე, მათ გამომწვევ მიზეზებზე არაფერი უთქვამს. არადა, მწარე სინამდვილე რომ გამოააშკარავოს, მისი ნაშრომი ერთიორად დაფასდება.

„დინამომ" ორი წელიც რომ არ ივარჯიშოს, მაინც ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნებაო. ვერავინ შეედავებოდა რევაზ არველაძეს, გარდასულ დღეებსა და გუნდზე რომ ელაპარაკა. ადრე „დინამოს" ტოლი ეროვნულ ჩემპიონატში თითქმის არავინ იყო.

ახლა „დინამომ" ორი წელი კი არა, ერთი და უფრო ნაკლები რომ არ ივარჯიშოს, აუცილებლად გავარდება. კლუბი ის აღარ არის და დროებაც სხვაგვარია.

იტალიელი კარნევალი „ბათუმიდან" დათხოვნილ ექვსეულს მისტირის და გუნდთან განშორებაზე საუბარსაც მოუხშირა, თუმც საქართველოდან ფეხს არ მოვიცვლი, ფეხბურთის ფედერაციასთან უკვე თითქმის ყველაფერი მოვაგვარეო.

სერგო გაბელაიას მეორე მუხინი სურს და გამარჯვებები მერე ნახეთო, გპირდება. ზოგს საერთოდ არავინ და არაფერი უნდა. თავადვე ვერ გაურკვევია, რატომ არის მწვრთნელი და რას მოითხოვენ მისგან.

ამასობაში ქართული ფეხბურთის ყველა ნაკლი განზე რჩება. ობიექტურ მიზეზებზე არავინ არაფერს ამბობს. იტყვი და უმუშევარიც დარჩები, უხელფასობა კი ყველამ იცის, რასაც ნიშნავს.

მიდის დრო უმოწყალოდ, არ ჩერდება ეს ოხერი. აგერ მეხუთე ტურიც ისტორიად გადაიქცა. კვირას ოთხივე მატჩი ლოგიკურად დასრულდა, ისე, როგორც თავიდანვე ვვარაუდობდით.



კვირას ეროვნულზე: „დინამო" — „ბათუმი" 2:0. გრიგოლ ბედიაშვილი მინდორს განრთხმია, ზვიად პაპიძე ბურთს დასდევნებია, დინამოს მეგოლეებს გიორგი მიქაძეს (მარჯვნივ) და რევაზ ქემოკლიძეს კი უკვე დაწინაურება უხარიათ



რუსთაველი ალექსანდრე ბურნაძე (მარცხნივ) და მერანელი იოსებ დევიძე

„ტორპედო" — „კოლხეთის" დაპირისპირება გაინტერესებთ?! გვერდზე გაიხედეთ, მატჩის ოქმს მოჰკრავთ თვალს. დანარჩენზე თავად იფიქრეთ, ჩვენგან მეტს ვერაფერს შეიტყობთ. ჯერჯერობით ასეა, მერე ვნახოთ, რაც იქნება.

ეროვნულზე ჩვეულებრივი სანახაობა, ქართული ფეხბურთისთვის ჩვეული და საკადრისი, გაიმართა. „დინამომ" მოუგო „ბათუმს", თანაც ისე, რომ დიდად არ შეწუხებულა და არც მეტოქე შეუწუხებია.

არსებული რეზერვით, არა მგონია, „ბათუმმა"ვინმეს გასვლითი მატჩი მოუგოს. ასე ექვსეული რომ სანატრელი გახდება, ფაქტია. ჯანი კარნევალის კი მიზნად ბავშვებთან მუშაობა დაუსახავს და „ბათუმთან" განშორების „მუქარაც" სულ უფრო რეალური ხდება.

რუსთავში ლაშა სილაგაძემ „მერანს" ისეთი გოლი გაუტანა, ბევრ თანამედროვე ევროპელს პირს დააღებინებდა. გორდელმა ყველა ლოგიკის გვერდის ავლით ჰაერში კამარა შეკრა და მრავლის მნახველი დევაძეც უსაქმოდ დატოვა.

მანამდე და მერეც ავჭალელები იგებდნენ. მუხინი ცენტრში ყველაფერს აწესრიგებდა, ხოლო ჭინჭარაულისა და გოდერძიშვილის თავურები უზუსტესი იყო.

ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტებულმა „გორდამ" წაგება მაინც არ ისურვა და ნაადრევად დამშვიდება არ აპატია მეტოქეს.

მცხეთაში თსუ-მ მოიგო. ცხადია, „დილა" წააგებდა, მაგრამ როგორ ახერხებდნენ მოშულარნი საგოლე მომენტების ფლანგვას, ბევრისთვის გაუგებარი დარჩა.

სტუდენტებმა ეპიზოდურად აკეთეს ის, რაც კარგად ეხერხებათ. „დილამ" ის მოისურვა, რაზეც ხელი არ მიუწვდებოდა და აკი დაკარგა კიდეც ქულები.

კვირას მშვიდად იყო მსაჯთა კორპუსიც ერთი-ორი უკმეხი სიტყვა კი მოისმინეს, მაგრამ არც არავინ მოსდევდათ მოსაკლავად და არც მათი კუთვნილი ავტომანქანები დაულეწია ვინმე თავზეხელაღებულს.

ორშაბათი დილაც გათენდა, შუადღემაც მოატანა და სამტრედიაში სათამაშოდ ჩასულმა „ვიტ ჯორჯიამ" საოცარი სანახაობა იხილა, „ეროსი მანჯგალაძე" მოუმზადებელი დახვდა სტუმარს. მინდორზე ბალახი ზომაზე მაღლა ბიბინებდა, მოედანიც დაუხაზავი იყო.

„იბერიაც" ისეთ დროს დაბრუნდა ქვიშხეთიდან, როცა საქმეს არაფერი ეშველებოდა. ვერც სათადარიგო სტადიონი იშოვეს სამტრედიელებმა და 3:0 გამარჯვება და სამი ქულაც კანონიერად ებოძა „ვიტ ჯორჯიას".

მიზეზთა ჩხრეკა შორს წაგვიყვანს, მხოლოდ ერთს ვიტყოდით — ამჟამინდელი „იბერია" შინ არ უნდა დაბრუნებულიყო. იქ მხოლოდ მტრობა და ხაფანგი დახვდა.

სოსო ფრუიძეს კი დაებედა თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ მსგავსი რამ თავს ადრეც გადახდომია. მეოთხე ჩემპიონატში ზესტაფონის „მარგვეთი" თბილისის „მრეტებს" გორში მასპინძლობდა. ზესტაფონური სარბიელი დისკვალიფიკაციის გამო უსაქმოდ იდგა. გორის „ცენტრალურის" სათამაშოდ გამზადება ზესტაფონელებმა დააგვიანეს და სამი ქულა „მრეტებს" მიეკუთვნა.

მომდევნო ჩემპიონატში ფრუიძის „მარგვეთი" შინ სათამაშოდ არ გამოუცხადდა „სამტრედიას" და, რა თქმა უნდა, წაგება ჩაეთვალა.

უსაქმოდ და უფულოდ დარჩნენ სამტრედიაში მივლენილი მსაჯებიც, თუმც სიმშვიდეც რომ არ დარღვევიათ, ფაქტია.

რა მოხდა ბოლნისში?

დიდიც არაფერი. ასეთი სურათი მეტად ნაცნობი და ახლობელია ბოლნისელთათვის. „სიონი" თავიდან 1:0 იგებდა და მასპინძელთა აზრით, მსაჯმა მათ სასარგებლოდ ასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა.

მერე „ლოკომოტივმა" ორი გოლი გაიტანა და თამაშიც სათავისოდ დაამთავრა.

იყო თუ არა თერთმეტმეტრიანი, ამას კომპეტენტური ხალხი გაარკვევს, მსაჯის კი თვლის, რომ ის სამართლიანი და ობიექტური იყო სადავო მომენტის განსჯისას.

„შალვა ისიანი მცველთან ჭიდილში დაეცა. ეს იმდენად ეფექტური იყო, რომ მსაჯს ან პენალტი უნდა დაენიშნა, ანაც ისიანისთვის ყვითელი ბარათი ეჩვენებინა. ფანიაშვილმა არც ერთი გააკეთა და არც მეორე". ეს მატჩის თვითმხილველის აზრია, რომელსაც ფეხბურთის ფედერაციაში განიხილავენ და საბოლოო ვერდიქტსაც გამოიტანენ.

ბოლნისის გამგებელმა ზურაბ ჯაფარიძემ კი კატეგორიული განცხადება გააკეთა: „ეროვნულ ჩემპიონატში ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას ხათრით ვაგრძელებთ თამაშს. ერთ-ორ ტურსაც დავიცდით და თუ არაფერი შეიცვალა, ჩემპიონატში მონაწილეობას აზრი დაეკარგება.

ეს პირველი მუქარაა, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის მიმართ გაისმა. მსგავსი მეთორმეტე ეროვნულის დაწყებიდან ჯერ არავის წამოსცდენია. ვნახოთ, ვისი არგუმენტი იქნება უფრო დამაჯერებელი.

არადა, ტური სრულიად უხმაუროდ ჩაივლიდა. მაგრამ, ეტყობა, ასეთი რამ მეთორმეტე ეროვნულს არ უწერია.

ჩატარებულ ხუთ მატჩში სტუმარმა ერთი მოიგო და ერთხელაც ფრეს გამოჰკრა ხელი. სამჯერ მასპინძელმა იზეირა. მეექვსე და ჩაშლილი თამაში, მართალია, სტუმართა წარმატებას მოწმობს, თანაც სამქულიანს და სამბურთიანსაც, მაგრამ რახან სამტრედიაში ფეხბურთი არ ყოფილა, ამიტომ სათვალავშიც არ ჩავაგდოთ.

ახლა მეექვსე ტურზე ვიფიქროთ. ბედის ირონიაა თუ მავანის შეცდომა, ვერ გეტყვით, მაგრამ „იბერიას" ისევ საშინაო მატჩი უწევს. ოღონდ ადვილი შესაძლებელია, ის თამაში სულ სხვა ქალაქსა და სტადიონზე ჩატარდეს.

**მამუკა ძვანტალიანი**

ოუენი, შირერი, მალდინი, პეტი, ჯორკაეფი...
შექმენით თქვენი ჩემპიონთა ლიგა!
მსოფლიოს უპოპულარულესი თოჯინები თქვენთვის და თქვენი ბავშვებისთვის


მაღაზია „ბარბი ტეფალი". ვაკე. ჭავჭავაძის 19

საქართველოს ჩემპიონატი · უმაღლესი ლიგა · პირველი წრე · 12

# 5 ტური

სტატისტიკა

## ჩემპიონატის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 5 |
| მატჩი | 29 |
| გოლი | 82 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,83 |
| მასპინძელთა მოგება | 15 (52%) |
| ფრეები | 3 (10%) |
| სტუმართა მოგება | 11 (38%) |
| საერთო დასწრება | 47 700 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 644 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | III: 6 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | III: 300 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 104 | 20,80 |
| სტუმარი | 116 | 23,20 |
| სულ | 220 | 44,00 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 20 | 4,00 |
| სტუმარი | 23 | 4,60 |
| სულ | 43 | 8,60 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 20 | 4,00 |
| სტუმარი | 36 | 7,20 |
| სულ | 56 | 11,20 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 31 | 6,20 |
| სტუმარი | 28 | 5,60 |
| სულ | 59 | 11,80 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 32 | 6,40 |
| სტუმარი | 17 | 3,40 |
| სულ | 49 | 9,80 |

*სემ - საშუალოდ ერთ მატჩში*

### ტორპედო 2:1 კოლხეთი

| | | |
|---|---|---|
| 18 | დაჯარიმდა | 22 |
| 6 | კუთხური | 2 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 6 | კარში დარტყმა | 4 |
| 5 | თამაშგარე | 0 |

### დინამო 2:0 ბათუმი

| | | |
|---|---|---|
| 27 | დაჯარიმდა | 19 |
| 6 | კუთხური | 1 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 6 | კარში დარტყმა | 2 |
| 4 | თამაშგარე | 1 |

### გორდა 2:2 მერანი

| | | |
|---|---|---|
| 24 | დაჯარიმდა | 34 |
| 1 | კუთხური | 3 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 5 | კარში დარტყმა | 10 |
| 6 | თამაშგარე | 9 |

### თსუ 3:1 დილა

| | | |
|---|---|---|
| 17 | დაჯარიმდა | 21 |
| 4 | კუთხური | 9 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 8 |
| 5 | კარში დარტყმა | 2 |
| 16 | თამაშგარე | 3 |

### სიონი 1:2 ლოკომოტივი

| | | |
|---|---|---|
| 18 | დაჯარიმდა | 20 |
| 3 | კუთხური | 8 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 9 | კარში დარტყმა | 10 |
| 1 | თამაშგარე | 4 |



„დილას" კარში მეორე გოლის გამტან რევაზ გოცირიძეს ამჯერად ვახტანგ აკოფიანმა და დავით მდივანმა (№1) აჯობეს

ნუკრი ვარდოსანიძის ფოტო

### ტორპედო 2:1 კოლხეთი

ქუთაისი
17 სექტემბერი
18 საათი
ტორპედო
3 000 (ტევადობა 19 432)

1:0 ჯანაშია (52), 1:1 ფანჩულიძე (65), 2:1 ჯანაშია (79)

**ტორპედო:** ზოიძე, ახვლედიანი (შალამბერიძე 70), მახვილაძე, თურმანიძე, ხვადაგიანი, ჩხაიძე (ჩხეტიანი 46), გუჯუა, კ. კვეტენაძე, იმედაძე (ასათიანი 78), ჯანაშია, იონანიძე

სათადარიგონი: ტოგონიძე, შევრილაძე, ვაჩიბერაძე, კვერნაძე

**კოლხეთი:** ჩემია, გოროზია, ტორჩინავა, პაპავა, მაღლაკელიძე, კედელაშვილი, კიკლიაშვილი, ფანჩულიძე, ლალანიძე, ე. გვასალია (ფრანგიშვილი 76), ხუჭუა

სათადარიგონი: მ. გვასალია, გ. ჩიტაია, შავგულიძე, თედიევი, ჯღარკავა, ქანტურიძე

**გაფრთხილება:** ფანჩულიძე (73), გოროზია (78), ჯანაშია (80), მახვილაძე (86)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე ვ. ჩოჩიშვილი, ს. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

### დინამო 2:0 ბათუმი

თბილისი
17 სექტემბერი
18 საათი
ეროვნული
2 000 (ტევადობა 70 900)

1:0 მიქაძე (33), 2:0 ქემოკლიძე (37)

**დინამო:** ჩიხრაძე, ქემოკლიძე, ი. ვაშაკიძე, ზამთარაძე, ა. სახვაძე, შაშიაშვილი, ჯინჭარაძე, სიჭინავა, გადელია (ბურდული 79), გ. ვ. მიქაძე (კ. გოგოლაძე 71), მაზიაშვილი (რუხაძე 78)

სათადარიგონი: ბათიაშვილი, კანდელაკი, დათუაძე, თ. მაისურაძე

**ბათუმი:** ბედიაშვილი, პაპიძე, მინდაძე, მჟავანაძე, კაკაბაძე, თედორაძე, ღლონტი (ჩოხელი 46), გულა ქორიძე, აფხაზავა, ა. მუჯირი (დარჩიძე 72), რომანაძე (ცულეიშვილი 55)

სათადარიგონი: ჯაში, ქაცარავა, სოხაძე, სიხარულიძე

**გაფრთხილება:** ზამთარაძე (54)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. მალალურაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

### გორდა 2:2 მერანი

რუსთავი
17 სექტემბერი
18 საათი
ფოლადი
2 000 (ტევადობა 10 700)

0:1 ქინქლარაული (2), 1:1 სილაგაძე (9), 1:2 გოდერძიშვილი (30), 2:2 მიშველიძე (90)

**გორდა:** ნიკურაძე, გაბელაია, ბექაური, ა. ბურნაძე, დ. ბერიძე, ა. ბუკია (კიტიაშვილი 46), პატარიძე (კ. ალადაშვილი 46), მელაძე, ზ. ლაბაძე, მიშველიძე, ლაშა სილაგაძე

სათადარიგონი: გორგაძე, ბაჩილავა, მ. სახვაძე, მჭედლიძე, ფოჩხუა

**მერანი:** დევაძე, გუჯაბიძე, დევიძე, ივანიშვილი, ხორხელი (გ. კვეტენაძე 46), კაკუბავა (ილურიძე 69), ქინქლარაული, მინაშვილი, მუხინი, გოდერძიშვილი, ბოლქვაძე (კობესაშვილი 59)

სათადარიგონი: კოროშინაძე, ოდიშარია, კოშკაძე, ბაჯელიძე

**გაფრთხილება:** პატარიძე (10), სილაგაძე (18), დევიძე (27), ივანიშვილი (62), ბურნაძე (88)

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. დოღრაშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** კ. ქრუაშვილი

### თსუ 3:1 დილა

მცხეთა
17 სექტემბერი
18 საათი
არმაზი
1 500 (ტევადობა 3 000)

1:0 გაგნიძე (10ს.კ.), 2:0 გოცირიძე (30), 2:1 ციცქიშვილი (54), 3:1 ერაძე (89)

**თსუ:** მამარდაშვილი, ზვ. ლაბაძე, ხარებავა, ებრალიძე, ადამია, სვანაძე, რ. გოცირიძე, ახალაძე (ვ. ალადაშვილი 81), მესხი, ერაძე, ა. ბოკერია (წუწუნავა 57)

სათადარიგონი: გუგუნავა, ბ. ნოზაძე, მორჩილაძე, ვადაჭკორია, კვიციანი

**დილა:** მდივანი, აკოფიანი, გრიგალაშვილი, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, საცვარელიძე (კოტორაშვილი 46), ციცქიშვილი, ხორგუაშვილი, ხმალაძე (ოლგუქაშვილი 46), ეელოშვილი (ტულუში 77)

**სათადარიგონი:** თ. ილურიძე, ხოხობაშვილი, დ. მაისურაძე, მ. ბურნაძე

**გაფრთხილება:** გაგნიძე (17), საცვარელიძე (36), ხორგუაშვილი (65), გოცირიძე (70)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); გ. კოკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ლ. ყოფიანი

### სიონი 1:2 ლოკომოტივი

ბოლნისი
18 სექტემბერი
17.45 საათი
თამურ სტეფანია
1 200 (ტევადობა 3 000)

1:0 მოსეშვილი (25), 1:1 გოჩაროვი (37), 1:2 პარამონოვი (83)

**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი (ჩაგელიშვილი 85), ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, დიმიტრიშვილი (მ. სამხარაძე 68), მოსეშვილი (თ. სამხარაძე 77), ვ. მაისურაძე, ბარნოვი, ისიანი, წივწივაძე, კ. მეტრეველი

სათადარიგონი: დალაქიშვილი, ჯაფარიძე, დემურიშვილი

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, აბრამიძე (გილაური 59), თოდუა, გოგიჩაიშვილი, კვარაცხელია, ხუროძე (რეკაია 46), დავითაშვილი (პარამონოვი 46), ხიზანიშვილი, გ. შენგელია, გოჩაროვი

სათადარიგონი: ივარდავა, სალუქვაძე, ქიქვიშვილი, დ. არჩვაძე

**გაფრთხილება:** თოდუა (65), გილაური (88)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე ა. მუშკოვი (ყველა თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

### იბერია 0:3 ვიტ ჯორჯია

სამტრედია
18 სექტემბერი
18 საათი
ეროსი მანჯგალაძე
700 (ტევადობა 15 000)

სამტრედიის „იბერიამ" მოედნის მომზადება (გაკრეჭვა-დახაზვა) ვერ უზრუნველყო და წაგება ჩაეთვალა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 6 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 4 - გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| იონანიძე | ტორპედო |
| 3 - ა. მუჯირი | ბათუმი |
| წუწუნავა | თსუ |

### სიმბოლური ნაკრები

შალვა ისიანი — სიონი
დავით ჯანაშია — ტორპედო
სოსო დევიძე — მერანი
ზაალ ლალანიძე — კოლხეთი
ანდრეი მუხინი — მერანი
კახა ახალაძე — თსუ
არჩილ სახვაძე — დინამო
მიშო კვარაცხელია — ლოკომოტივი
გოჩა გუჯაბიძე — მერანი
მურაზ ხარებავა — თსუ
გიორგი ლომაია — ლოკომოტივი

გუნდი: ლოკომოტივი
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი



სტუდენტთა მეკარე დავით მამარდაშვილი (№1) და გორელი აკაკი ხმალაძე

ნუკრი ვარდოსანიძის ფოტო

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 5 | 5 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 |
| 2 ლოკომოტივი | 5 | 4 | 0 | 1 | 14:3 | 11 | 12 | 2 | 1 | 0 | 1 | 6:1 | 5 | 3 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 6 | 9 |
| 3 ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 6 | 10 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 7 |
| 4 დინამო | 5 | 3 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 |
| 5 მერანი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 2 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 |
| 6 გორდა | 5 | 2 | 2 | 1 | 8:11 | -3 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:8 | -6 | 1 |
| 7 დილა | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | -3 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | -2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 8 ბათუმი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:9 | -3 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | -6 | 0 |
| 9 თსუ | 5 | 2 | 0 | 3 | 9:12 | -3 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | -3 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 3 |
| 10 კოლხეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:8 | -3 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | -3 | 0 |
| 11 სიონი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:7 | -3 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 3 |
| 12 იბერია | 5 | 0 | 0 | 5 | 1:10 | -9 | 0 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | -5 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |

# ორი ოთხთან გადადეს

**მოგეხსენებათ,** საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს 7 ოქტომბერს, ლიტვაში თამაშით იწყებს.

სწორედ ამასთან დაკავშირებდით, ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები უკეთ რომ მოემზადონ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ჩემპიონატის მეშვიდე ტურის ორი მატჩის გამართვა 2 ოქტომბრის ნაცვლად წინადღეს გადაწყვიტა — სხვა მატჩებივით „გორდა“ — „ვიტ ჯორჯია“ და „ბათუმი“ — „ლოკომოტივი“ 1 ოქტომბერს ჩატარდება. 2 ოქტომბერს კი „ვიტ ჯორჯიასა“ და „ლოკომოტივში“ მოთამაშე ეროვნულ-ახალგაზრდულ ნაკრებთა წევრები დანარჩენებთან ერთად შეიკრიბებიან და 3-ში ჩარტერული რეისით ლიტვას მიაშურებენ.

ისე, კაცმა რომ თქვას, 3 ოქტომბრიდან 11-მდე „ლოკომოტივში“ ერთიორი კაცი თუ დარჩება, თითქმის ყველა ნაკრებთა წევრია.

**ლუკა თალაკვაძე**

# ქართულ ფეხბურთს შემოაღამდა

**მეთორმეტე** ეროვნული ჩემპიონატის კალენდრის დამტკიცებისას სფფ-მ, ბუნებრივია, მატჩების დაწყების დროც განსაზღვრა: აგვისტოში თამაში 19 საათზე, სექტემბერში — 18 საათზე, ხოლო ოქტომბერ-ნოემბერში 16 საათზე ბრძანა. ამ გადაწყვეტილების სისწორე თავიდანვე საეჭვო იყო და ეს კიდეც დადასტურდა, რადგან უპროჟექტორო ქართულ სარბიელებს შემოდგომაზე ბინდი წამოეპარათ და ზოგიერთი მატჩის მონაწილეებს ლამის მოედანზე დაუღამდათ. ასე რომ იქნებოდა, ამას რა დიდი ცოდნა-გამოცდილება უნდოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, სფფ შეცდომას ასწორებს. V ტურის „სიონი“ — „ლოკომოტივის“ შეხვედრა 17.45 საათზე დაიწყო (ანუ დათქმულზე 15 წუთით ადრე), VI ტურიდან კი ქართული გუნდები სასექტემბრო მატჩებს 17 საათზე გამართავენ — ასეთია სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტის გადაწყვეტილება.

მოკლედ, ქართულ ფეხბურთს ამ მხრივაც დაუღამდა.

**ბაათა ძგანტალიანი**

# სულაქველიძე გიწვევთ...

**ადრე** იქ ნაგავსაყრელი და ჭაობი იყო. ძნელად თუ ვინმე გაიფიქრებდა იქაურობის გაწმენდას და მით უმეტეს საფეხბურთო სკოლის მოწყობას.

თენგიზ სულაქველიძემ ჩანაფიქრი ახლობლებს გაანდო და ლამის გიჟადაც შერაცხეს, მაგრამ მონდომებამ და მუხლჩაუხრელმა შრომამ თავისი გაიტანა. ლიუბლიანის ცხრამეტ ნომერში დღეს საფეხბურთო სკოლა ფუნქციონირებს, რომელიც ისევ შენდება და ლამაზდება.

ორი სტანდარტული სავარჯიშო მინდორი, ერთიც შედარებით მომცრო, გასახდელები, ოთახები თეორიული მეცადინეობისთვის, სამედიცინო კაბინეტი, საწყობი. ირგვლივ 200 ძირი ნაძვის ნერგებია ჩაყრილი, ცალკეც ხეხილი.

თენგიც სულაქველიძის სახელობის ბავშვთა საერთაშორისო ფეხბურთის აკადემიაში ნორჩების მიღება უკვე დაწყებულია. დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე შვიდიდან ცამეტ წლამდე მოზარდებს ნებისმიერ დღეს შეუძლიათ იქ მისვლა. მოაგვარებთ ფორმალურ მხარეს და სკოლის სრულუფლებიანი წევრი გახდებით.

მაშ ასე, გიწვევთ ევროპის თასთა თასის მფლობელი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, პრიზიორი და თასის მფლობელი.

... არადა, ორიოდ წლის წინ იქაურობა უპატრონო ძაღლების, ქვეწარმავლებისა და მწერების საბუდარი იყო...

საბოლოო მიზანი კი დიდია — ისწავლეთ და ითამაშეთ ფეხბურთი.

**დათო დანელია**

საქართველოს ჩემპიონატი 12 პირველი ლიგა პირველი წრე

**4 ტური** მიმოხილვა

# ჩვენს ტკბილ მოგონებებს გაუმარჯოს!..

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 3 - კალანდაძე | შუქურა |
| ბოჭორაძე | ცხინვალი |
| გ. გვაზავა | მეტალურგი |
| 2 - არუთინიანი | ცხინვალი |
| მარლიშვილი | ცხინვალი |
| გ. ჯანაშია | თორი |
| კუტალია | ზუგდიდი |
| კრავეიშვილი | ოკეანე |
| ხურცილავა | ხობი |
| ჯულელი | გურია |

**V ტური**

20 სექტემბერი, ოთხშაბათი

შუქურა — თორი

ზუგდიდი — სამგურალი

ოკეანე — თბილისი

ხობი — მეტალურგი

ცხინვალი — გურია

მილანი — ივერია

## 15-16 სექტემბერი ქართველ მსაჯებს ალბათ დიდხანს ემახსოვრებათ

**უმაღლესი** ლიგის არ იყოს, ერთგვარი დაძაბულობა და ინტრიგა 12-გუნდა პირველ ლიგასაც თან სდევს, მაგრამ თამაშის ხარისხი რომ დაბალი და ქართული ფეხბურთის შესაფერია, ალბათ, ზედმეტ ახსნას არ საჭიროებს.

განვლილი მეოთხე ტური ბევრს ვერაფერს შეჰმატებს სფფ-ის სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის მუშაობას. ნაცემი არც ერთი შავოსანი დარჩენილა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მოედნიდანაც არავინ მიუბრძანებიათ არბიტრებს. მოკლედ, ეს ტური უჩვეულოდ მშვიდობიანად ჩამთავრდა.

ქომაგმა წყალობის თვალით გადახედა „სამგურალი“ — „შუქურას“ შეხვედრას — წყალტუბოში მატჩს 1 500 გულშემატკივარი დაესწრო, თუმც „26 მაისზე“ თავშეყრილებმა გოლი ვერ ნახეს.

უსახური სტარტის შემდეგ საგრძნობლად მოუმატა „ზუგდიდმა“. ვლადიმერ თუთბერიძის შეგირდებმა სტუმრად „თბილისი“ დაამარცხეს და ლიდერს სამი ქულითღა ჩამორჩებიან.

თერთმეტწლიანი შესვენების შემდეგ შესაძლოა „ცხინვალი“ უმაღლეს ლიგას დაუბრუნდეს. ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ შემადგენლობამოძლიერებული „ცხინვალი“ დაუმარცხებლად მიიწევს წინ და უპრობლემოდ უსწორდება მეტოქეებს. შიდაქართლელებმა შაბათს მეზობელ „ივერიას“ სძლიეს სტუმრად და ერთპიროვნულად ლიდერობენ გათამაშებას.

უმაღლესი ლიგის საგზურის კიდევ ერთი მაძიებლის, „მეტალურგის“ საქმეც არ მიდის ურიგოდ, არადა გეხსომებათ, პირველი ტურის გადადებულ მატჩში წყალტუბოში მომხდარი ინციდენტის შემდეგ „მეტალურგი“ დაშლის პირას მივიდა. იმ მატჩში მომხდარ სკანდალს ოთხი ზესტაფონელი ფეხბურთელი ემსხვერპლა — მატჩის ინსპექტორმა მალხაზ ლაცაბიძემ თან გაიყოლა ამაშუკელის, ქურციკიძის, ლურსმანაშვილის და ნიქაბერიძის ბარათები, მაგრამ შემადგენლობაშესუსტებულმა იმერლებმა შინ სამტრედიულ „ოკეანეს“ სძლიეს და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეც აინაცვლეს. ერთიცაა, კონკურენტებისგან განსხვავებით სამწვრთნელო საქმეში ახალბედა ვასილ ჭეიშვილის გუნდს თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული, ანუ ჯერაც გასარკვევი წყალტუბოური მატჩის ბედი. ამას დღეს შეკრებილი სტკ გააკეთებს.

რკინიგზას შეკედლებულმა „გურიამ“ მოლოდინისამებრ შინ „ხობი“ დაჩაგრა და შვიდქულიანთა მარაქაშიც გაერია. ბუნებრივია ლანჩხუთელებსაც უმაღლეს ლიგაში დაბრუნება სურთ და, თუკი გასვლით მატჩებს მეტი ყურადღებით მოეკიდებიან, ეგებ არც კი გაუჭირდეთ მიზნის მიღწევა.

მოულოდნელად ლიდერთა შორის არ იმყოფება წნორის „მილანი“. გუნდის პრეზიდენტმა ავთანდილ მანგოშვილმა სეზონის წინ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი დაიმატა და პირველი ლიგის კვალობაზე სოლიდურ შემადგენლობასაც მოუყარა თავი. მზადებითაც გულმოდგინედ და ნაყოფიერად ემზადებოდნენ კახელები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სამი შეკრება გაიარეს, მაგრამ „მილანი“ ჯერჯერობით ერთობ უსუსურად თამაშობს და მეოთხე ტურშიც დამარცხდა. კახელებს მარცხი „თორმა“ აგემა, გუნდმა, რომელსაც ასევე ძლიერი შემადგენლობა ჰყავს და საბოლოო წარმატების არცთუ ურიგო შანსს ფლობს.

მეხუთე ტური დღეს გაიმართება. ცენტრალურ მატჩში „ცხინვალი“ „გურიას“ უმასპინძლებს.

**ბაათა ძგანტალიანი**



წინა ტურში წყალტუბოში ლამის განახევრებულმა „მეტალურგმა“ (თეთრ ფორმაში) „ოკეანესთან“ აღარ წაიფორხილა

ბორჯომი
16 სექტემბერი
18 საათი
ჯემალ ზეინკლიშვილი
1 200 (ტევადობა 3 000)

### თორი 2:0 მილანი

1:0 თალაკვაძე (58), 2:0 ვარდიაშვილი (75)
**თორი:** ა. ლაბაძე, ლეკიშვილი, მ. ლომიძე, ქობქაშვილი, გ. ლომიძე, სეფერთელაძე (ზაქარეიშვილი 83), თალაკვაძე, ხოსროშვილი (ფირცხალავა 81), კ. ჯანაშია, ვარდიაშვილი (მალიკაშვილი 85), გლუნჩაძე
სათადარიგონი: სულავა, სუხიაშვილი, ტარიელაშვილი
**მილანი:** გ. სომხიშვილი, კ. მელქაძე (მავშიშვილი 25), ქეთინა, ვარამაშვილი (კიკვიძე 69), კობაიძე, ტოკლიკიშვილი (სოსელია 46), მედოევი, ინასარიძე, კაპანაძე, ტარუალაშვილი, თელიაშვილი
სათადარიგონი: ჩიტაური, მ. სომხიშვილი, მეტონიძე
**გაფრთხილება:** თალაკვაძე (33), კობქაშვილი (51), გლუნჩაძე (56), სოსელია (57)
**მსაჯები:** ბ. დოგრაშვილი; გ. კაკჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი)

წყალტუბო
16 სექტემბერი
18 საათი
26 მაისი
1 500 (ტევადობა 12 000)

### სამგურალი 0:0 შუქურა

**სამგურალი:** ფოფხაძე, ბერაძე, მ. ჯინჭარაძე, თიქია, ბაბუნაშვილი, შ. ფუტკარაძე, ფხაკაძე, მაჭარაძე (დ. ჯიქია 46), ქუთათელაძე, ქელიძე, გოლეთიანი (კიკვაძე 46)
სათადარიგონი: ბოდოკია, ტეხოვი, ლ. ქობულაძე, ბარაბაძე, ლეჟავა
**შუქურა:** გოგუა, კოროტკოვი, ზ. კვეკვესკირი, ოქროპირიძე, ქუტიძე, ბ. ფუტკარაძე, ჩადუნელი, გეგეშიძე, კალანდაძე, კვირკველია, ბალუნაიშვილი (კაკალაძე 46)
სათადარიგონი: ბერმინოვი, ჩელებაძე, მესხიძე, ჩახუნაშვილი, გორჯელაძე, ყალიჩავა
**გაფრთხილება:** ბ. ფუტკარაძე (58), ოქროპირიძე (63), ბაბუნაშვილი (89)
**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ლ. სილაგავა (თბილისი), გ. მარლიშვილი (ქარელი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

ზესტაფონი
16 სექტემბერი
18 საათი
მეტალურგი
600 (ტევადობა 10 000)

### მეტალურგი 2:1 ოკეანე

1:0 გვაზავა (22), 2:0 გურეშიძე (36), 2:1 კრავეიშვილი (82)
**მეტალურგი:** ოდიკაძე, გურეშიძე, გოგაძე, მერებაშვილი, ბაქრაძე, აბაზაძე (აქარაძე 68), კაციაშვილი, ორმოცაძე, ძიძიკაშვილი, გ. გვაზავა, ფირცხალეიშვილი (მოდებაძე 76)
სათადარიგონი: მშვენიერაძე, ფანცხავა, გავაშელიძე, მახათაძე, კვანტრიშვილი
**ოკეანე:** თავაძე, ტონია, ი. ჯიქია, თოფაძე, მაღლაკელიძე (გაბედავა 46), ს. გოგია, ლორთქიფანიძე, კაცაძე (გოგიბერიძე 68), კრავეიშვილი, მაღალურაძე (ქიმაძე 57), ჯიქიძე
სათადარიგონი: ქუასელი, ჯულაყიძე, ფირცხალაიშვილი
**გაფრთხილება:** გოგაძე (8), ძიძიკაშვილი (86), ქიმაძე (86)
**მსაჯები:** კ. გაბრიაძე (ქუთაისი); მ. ჟორჟოლაძე, ზ. ჯღამაძე (ორივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

ხაშური
16 სექტემბერი
18 საათი
გრიგოლ ჯღამარიძე
500 (ტევადობა 8 000)

### ივერია 0:2 ცხინვალი

0:1 ბოჭორაძე (27), 0:2 გვირჯიშვილი (73)
**ივერია:** ხვედელიძე (ბალიანი 46), ყაჩლავაშვილი (ლეკიშვილი 52), ყეშაბიძე, პავლიაშვილი, ნეკრაშვილი, გ. ლურსმანაშვილი, ჯობაძე (ვლასოვი 46), გოგალაძე, გელაშვილი, ჯაფარაშვილი, თ. ხაჩიძე
სათადარიგონი: ნ. ჩალაძე, ულუმბელაშვილი
**ცხინვალი:** ქესანაშვილი, ცხადაძე, ხაჭაპურიძე, ტყემალაძე (გვირჯიშვილი 75), ყაჩლავაშვილი, მოსიაშვილი, არუთინიანი, მარგიევი, მარლიშვილი, ნასყიაშვილი (ზ. მაისურაძე 60), ბოჭორაძე (მურადელი 65)
სათადარიგონი: დ. მაისურაძე, ნიქარიძე, ი. ჩაჩიბაია
**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

ლანჩხუთი
16 სექტემბერი
18 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
700 (ტევადობა 22 000)

### გურია 3:1 ხობი

0:1 ხურცილავა (51), 1:1 გაბრიჭიძე (53), 2:1 ჯულელი (56), 3:1 სულაკაძე (72)
**გურია:** დოლიძე, ორბელაძე, გაბრიჭიძე, მ. ლონლაძე, ჯღარკავა (მატარაია 80), სულაკაძე, განევი (დაცურია 65), ჯულელი, ჩიტია (მელიძე 76), ქადელაძე, კუკულაძე
სათადარიგონი: მერკვილიშვილი, კირკიტაძე, ძნელაძე, ლორია
**ხობი:** შ. გოგია, ჯამბურია, ქეცია (მ. ტყებუჩავა 63), ლ. ჯაბუა, ი. ჯაბუა, ხურცილავა, ვართაგავა, ქაშიბაძე, არ. ჯიქია (ზაზა აიანადი 46), ქიქინაძე, აბაკელია
სათადარიგონი: რ. თოლორდავა, ხორავა
**გაფრთხილება:** ორბელაძე (35), ლ. ჯაბუა (88)
**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი, ლ. რაზმაძე (ორივე გორი), ი. აფციაური (დუშეთი); ა. შილაკაძე (თბილისი)

თბილისი
16 სექტემბერი
18 საათი
ისანი
300 (ტევადობა 3 000)

### თბილისი 0:2 ზუგდიდი

0:1 ყოლბაია (26), 0:2 ონიანი (34)
**თბილისი:** კუპატაძე, გ. ჩალაძე (ნიკურაძე 75), ჯაფარიძე, დ. ტყებუჩავა, სახურია, ქიაბრიშვილი (მ. ფირცხალავა 64), სტურუა (მუმლაძე 75), ქუხილავა, კოხრეიძე, სალარეიშვილი, ლუჭაშვილი
სათადარიგონი: კოდალაევი, მანაგაძე, დ. შენგელია, გოგმაჩაძე
**ზუგდიდი:** ნაყოფია, ლურწკაია, ქითანავა, გეჯენიძე, ვ. გველესიანი, ონიანი, ყოლბაია, კუტალია (გამსახურდია 77), ლ. ბუკია, თორია, კალმახელიძე (ჩიქობავა 73)
სათადარიგონი: მ. კვარაცხელია, ქურლულია, თოლორაია
**გაფრთხილება:** ბუკია (15), ონიანი (16), სახურია (27)
**მსაჯები:** მ. მაღალურაძე, ა. ნონიკაშვილი, კ. თბილელი (ყველა თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)

| პირველი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ცხინვალი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 10 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 |
| 2 მეტალურგი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 3 შუქურა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:1 | 4 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 |
| 4 გურია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 2 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 |
| 5 ზუგდიდი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 3 |
| 6 თორი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 |
| 7 სამგურალი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 8 მილანი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 |
| 9 ხობი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 10 ოკეანე | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | -1 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 11 თბილისი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:7 | -6 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |
| 12 ივერია | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |

## ქართველები სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე

Sydney 2000

19 სექტემბერი

**ამ დღეს ქართველი სპორტსმენები არ ასპარეზობდნენ**

# ავსტრალიის ოქროს მარაგის ნახევარი იან ტორპის ფეხებზე ჰკიდია




იან ტორპი მესამე ოქროს მოსაპოვებელ სტარტზე

### ქვეყანათა მონაგარი

| ქვეყანა | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| აშშ | 7 | 6 | 5 |
| ავსტრალია | 6 | 5 | 6 |
| ჩინეთი | 6 | 2 | 7 |
| საფრანგეთი | 5 | 6 | 2 |
| იაპონია | 3 | 3 | 1 |
| იტალია | 3 | 2 | 3 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 1 |
| რუსეთი | 2 | 4 | 3 |
| გერმანია | 2 | 3 | 2 |
| უკრაინა | 2 | 3 | 0 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 1 |
| ბულგარეთი | 2 | 1 | 1 |
| თურქეთი | 2 | 0 | 0 |
| კორეა | 1 | 4 | 3 |
| დიდი ბრიტანეთი | 1 | 3 | 2 |
| შვეიცარია | 1 | 2 | 1 |
| კუბა | 1 | 1 | 2 |
| უნგრეთი | 1 | 1 | 0 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 2 |
| შვედეთი | 1 | 0 | 1 |
| ესპანეთი | 1 | 0 | 1 |
| კანადა | 1 | 0 | 1 |
| მექსიკა | 1 | 0 | 0 |
| ლიტვა | 1 | 0 | 0 |
| ხორვატია | 1 | 0 | 0 |
| სლოვაკეთი | 0 | 3 | 1 |
| ბელარუსი | 0 | 1 | 2 |
| ჩრდილოეთ კორეა | 0 | 1 | 1 |
| საბერძნეთი | 0 | 1 | 1 |
| ბრაზილია | 0 | 1 | 1 |
| იუგოსლავია | 0 | 1 | 0 |
| ტაივანი | 0 | 1 | 0 |
| ინდონეზია | 0 | 0 | 2 |
| კოსტა რიკა | 0 | 0 | 2 |
| ბელგია | 0 | 0 | 2 |
| სამხრეთ აფრიკა | 0 | 0 | 1 |
| ტაილანდი | 0 | 0 | 1 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 1 |
| ლატვია | 0 | 0 | 1 |
| ყირგიზეთი | 0 | 0 | 1 |
| ინდოეთი | 0 | 0 | 1 |
| საქართველო | 0 | 0 | 1 |
| ესტონეთი | 0 | 0 | 1 |

### დღის გმირი

19 სექტემბერი

**იანა კლოჩკოვა**

უკრაინა, ცურვა



18 წლის უკრაინელი ასული იანა კლოჩკოვა დღის გმირად იმიტომ არ დაგვისახელებია, რომ პირმშვენიერია — გუშინ 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ოლიმპიური რეკორდი დაამყარა და ოქროს მედალი მოიპოვა. ისიც გასაგებია, რომ ოლიმპიური რეკორდი მსოფლიოსას ჩამოუვარდება, ხოლო ოქროთი სხვებმაც დაიმშვენეს მკერდი, მაგრამ თუ კომპლექსურად მოცურავეს კომპლექსურად განვიხილავთ და გუშინდელ მიღწევას პირველი დღის ოქროს მედალსა და 400 მეტრზე დამყარებულ მსოფლიო რეკორდს დავამატებთ, დაგვეთანხმებით ხარკოველის სასარგებლოდ არგუმენტები მნიშვნელოვნად გაძლიერდება.

მძლეოსანი მშობლების სასახელო შვილმა ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადაზე ჩინელი ლინ ლის დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა. მისი შედეგი 2:11.65 გახლდათ.

## ჩემპიონები და პრიზიორები

19 სექტემბერი

### სროლა

ვაჟები. ნებისმიერი პისტოლეტი
1. ტანიუ კირიაკოვი (ბულგარეთი)
2. იგორ ბასინსკი (ბელარუსი)
3. მარტინ ტენკი (ჩეხეთი)

ქალები. დაბლ ტრეპი
1. პია ჰანსენი (შვედეთი)
2. დებორა ჯელისიო (იტალია)
3. კიმბერლი როუდი (აშშ)

### ცხენოსნობა

სამჭიდი. გუნდური
1. ავსტრალია
(ფილიპ დატონი, ენდრიუ ჰოი, სტიუარტ ტინი, მეტ რაიანი)
2. დიდი ბრიტანეთი
3. აშშ

### მშვილდოსნობა

ქალები
1. იუნ მი ჯინი (კორეა)
2. კიმ ნამ სუნი (კორეა)
3. კიმ სუ ნიუნგი (კორეა)

### ძალოსნობა

ქალები. 63 კგ
1. ჩენ სიაომინი (ჩინეთი)
2. ვალენტინა პოპოვა (რუსეთი)
3. იოანა ხაძიიოანუ (საბერძნეთი)

ქალები. 69 კგ
1. ლინ ვეინინგი (ჩინეთი)
2. ერჟებეტ მარკუში (უნგრეთი)
3. კარნამ მალესვარი (ინდოეთი)

### ველოტრეკი

ვაჟები. გუნდური რბოლა გამოდევნებით
1. გერმანია
(გვიდო ფულსტი, რობერტ ბარტკო, დანიელ ბეკე, იენს ლემანი)
2. უკრაინა
3. დიდი ბრიტანეთი

### ტანვარჯიში

ქალები. გუნდური
1. რუმინეთი
(მარია ოლარუ, სიმონა ამანარი, კლაუდია პრესაკანი, ანდრეია ისარესკუ, ანდრეია რადუჩანი, ლორედანა ბობოჩი)
2. რუსეთი
3. ჩინეთი

### ძიუდო

ვაჟები. 81 კგ
1. მაკოტო ტაკიმოტო (იაპონია)
2. ჩო ინ ჩული (კორეა)
3. ალექსეი ბუდოლინი (ესტონეთი)
3. ნუნიო დელგადო (პორტუგალია)

ქალები. 63 კგ
1. სევრინ ვანდენენდი (საფრანგეთი)
2. ლი შუფანგი (ჩინეთი)
3. გელა ვანდეკავეი (ბელგია)
3. იუნგ სუნგ სუკი (კორეა)

### ფარიკაობა

ქალები. დაშნა. გუნდური
1. რუსეთი
(ტატიანა ლოგუნოვა, ოქსანა ერმაკოვა, მარია მაზინა, კარინა აზნავურიანი)
2. შვეიცარია
3. ჩინეთი

### ცურვა

ვაჟები. 200 მ. ბატერფლაი
1. ტომ მალჩოუ (აშშ)
2. დენის სილანტიევი (უკრაინა)
3. ჯასტინ ნორისი (ავსტრალია)

ვაჟები. 4X200 მ. ესტაფეტა. თავისუფალი სტილი
1. ავსტრალია
(იან ტორპი, მაიკლ კლიმი, ტოდ პირსონი, უილიამ კირბი)
2. აშშ
3. ჰოლანდია

ქალები. 200 მ. თავისუფალი სტილი
1. სუზან ონილი (ავსტრალია)
2. მარტინა მორავცოვა (სლოვაკეთი)
3. კლაუდია პოლი (კოსტა რიკა)

ქალები. 200 მ. კომპლექსური
1. იანა კლოჩკოვა (უკრაინა)
2. ბეატრის კასლარუ (რუმინეთი)
3. კრისტინა ტოიშერი (აშშ)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცურვა

# გმირად, კლოჩკოვას მშობლებს ბილიკები აჩრიათ

**აშშ-ის** ოლიმპიური ნაკრების ხელმძღვანელი სანდი ბოლდუინი სიდნეის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე აცხადებდა, უმთავრესი ბრძოლები ცურვაში გაჩაღდება, რადგან ოლიმპიადის მასპინძლებთან დიდი ბატალიები გველისო. თუმცა იმასაც აღნიშნავდა, ტიტანთა ამ ბრძოლაში რუსი ალექსანდრ პოპოვი და ჰოლანდიელი ინგე დე ბრუინი თუ ჩაერევიან, რადგან ყველა დანარჩენ მედალს ერთმანეთში იანკები და ოზები გაიყოფენო.

ბოლდუინის პროგნოზი ნაწილობრივ გამართლდა, მაგრამ არც დე ბრუინის და ჰოგენბანდის მწვრთნელი, იაკო ვერხერენი ცდებოდა, რომ ამბობდა, ოლიმპიადაზე ხალხი სიურპრიზის მოწმე გახდებაო. ამაში იგი უპირველეს ყოვლისა ალბათ თავისსავე შეგირდ ჰოგენბანდს გულისხმობდა, რადგან ამერიკელებმა, დე ბრუინისგან განსხვავებით, მფრინავი ჰოლანდიელი სათვალავშიც არ ჩააგდეს და ძალიანაც შეცდნენ.

— თუ ავსტრალიელები და ამერიკელები ფიქრობენ, რომ მხოლოდ მათ აქვთ ოქროს მედლების მოპოვების შანსი, ფრთხილად იყვნენ, თორემ შოკს ვერ გადაურჩებიან — იქადნებოდა ვერხერენი.

მართალია, ჰოლანდიელები ყოველთვის ძლიერები იყვნენ ცურვაში, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჰოგენბანდი პირველი კაცი მოცურავე შეიქნა, რომელმაც ჰოლანდიას ოლიმპიური ოქრო მოუტანა, თანაც მასპინძელთა კერპის, ტორპის მსოფლიო რეკორდი დაამხო.

მისი ასეთი წარმატება რომ შემთხვევითი არ იყო, ეს გუშინაც დამტკიცდა, როდესაც 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ნახევარფინალური გაცურვისას ავსტრალიელი მაიკლ კლიმის მიერ ასპარეზობის პირველ დღეს 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში სასტარტო გაცურვისას დამყარებულ მსოფლიოს რეკორდს



REUTERS სიდნეიდან

ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი ავსტრალიის ნაკრები: ტოდ პირსონი, მაიკლ კლიმი, იან ტორპი და უილიამ კირბი

(48,18) წირვა გამოუყვანა — 47,84. ახლა იგი ამ დისციპლინაში დედამიწის უსწრაფესი მოცურავე გახდა, რითაც მშვენიერი ფონიც შეიქმნა დღევანდელი ფინალისთვის, სადაც უპირატესობის დამტკიცება მას ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონთან, პოპოვთან მოუწევს.

სიდნეის საერთაშორისო საცურაო ცენტრში წარმატებას მიაღწია 18 წლის პირმშვენიერმა (ტანზე რომ არაფერი ვთქვათ) უკრაინელმა იანა კლოჩკოვამ, რომელმაც თავი პირველივე დღეს გამოიჩინა, როდესაც 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა — 4.33,59 და უკრაინელებს ოქროს მედალიც მოუტანა. თუმცა იგი ამაზე არ გაჩერებულა. გუშინ იმავე დისციპლინაში 200 მეტრზე ოლიმპიური რეკორდი — 2.10,68 — დაამყარა და მეორედ იზეიმა ჩემპიონობა. სხვათა შორის, უკრაინელი ახლოს იყო ჩინელი ვუ იანიანის მსოფლიოს რეკორდთანაც (2.09,72), რომელიც დოპინგ-ტესტირებისას ჩაფლავდა.

— ვერასდროს ვიოცნებებდი ამაზე. ერთი ოქროს იმედი მქონდა. მსოფლიოს რეკორდზე ნამდვილად არ მიფიქრია, მხოლოდ საკუთარი თავის უკეთ წარმოჩენისთვის ვიბრძოდი — განაცხადა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

საინტერესოა, რომ აქაც, სიდნეის ოლიმპიადაზე, ისევე როგორც ფინეთის ევროპის ჩემპიონატზე, კლოჩკოვას მეტოქე იყო რუმინელი ბეატრის კასლარუ, რომელთან ერთადაც მაშინ ფინეთის დედაქალაქში ევროპის ჩემპიონის ტიტული გაიყო, რადგან ფინალში ორივემ ერთნაირი შედეგი აჩვენა. ასეთი საფრთხე კი სიდნეის საცურაო აუზში მას არ დამუქრებია, რადგან უკრაინელმა საკმაო უპირატესობით ჩამოიტოვა რუმინელი და მხოლოდ ვერცხლის მედალს დააჯერა.

სხვათა შორის, ჩემპიონის მშობლები ყოფილი მძლეოსნები არიან, თუმცა, როგორც ჩანს, სარბენი ბილიკების ნაცვლად იანას საცურაო ბილიკებზე ასპარეზობის მეტი ნიჭი აღმოაჩნდა. ახლა, როდესაც მან 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში უძლიერესის სახელი დაიგდო, შანსი აქვს, იგივე წარმატებას მიაღწიოს 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაშიც, თუ, რა თქმა უნდა, ამას მოინდომებს, რადგან ჯერ კიდევ ფიქრობს, მიიღოს თუ არა ასეთი გადაწყვეტილება. ზემოჩამოთვლილი წარმატებები ხომ საკმაო ენერგიას მოითხოვს. არც დაუმალავს, თქვა, ცოტა დავიღალეო.

ასე თუ ისე, გუშინდელი დღე მაინც ავსტრალიელების იყო, რადგან ოზებმა ორჯერ იზეიმეს გამარჯვება. 27 წლის მასპინძელმა სუზან ონილმა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში საჩემპიონო დრო უჩვენა — 1.58,24 და ავსტრალიელთა ყულაბას ოქროს მედალი შეჰმატა. ამ ვეტერანი მოცურავისთვის ეს მეორე მიღწევაა, ატლანტის ოლიმპიადაზე 200 მეტრზე ბატერფლაით მოპოვებული ოქროს შემდეგ. გარდა ამისა, იგი ამ დისციპლინაში მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი და პლანეტის საუკეთესო შედეგის მქონეცაა.

აღსანიშნავია, რომ ონილის საჩემპიონო გაცურვას თვალს ადევნებდა ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი ჯონ ჰოვარდი, რომელიც გაწბილებული არ უნდა იყოს.

ონილი მწვანე კონტინენტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტსმენია. ამ ბოლო გამარჯვებით იგი კიდევ უფრო პოპულარული გახდა, თანაც სიდნეური ოქროს მოპოვებით ისტორიაშიც შევიდა, რადგან ლეგენდარული დონ ფრეზერის დარად მანაც ზედიზედ მეორე ოლიმპიადაზე შეძლო ჩემპიონობა, რაც ავსტრალიელ ქალ მოცურავეთაგან არავის გაუკეთებია.

და მაინც, ყველაზე საინტერესო ავსტრალიელთა კვარტეტის — იან ტორპის, მაიკლ კლიმის, ტოდ პირსონის და უილიამ კირბის 4X200 თავისუფალ ესტაფეტაში გამოსვლა გახლდათ, რადგან მასპინძლებმა სიდნეის ოლიმპიურ აუზში ყველას დაანახვეს, როგორ უნდა მსოფლიოს რეკორდის დამყარება და ამერიკელთა დამარცხება. მათი პაექრობები ხომ ყოველთვის დაძაბულია.

ავსტრალიელებმა აშკარა უპირატესობით დაჯაბნეს იანკები, რადგან ეს უკანასკნელნი მთელი დისტანციის მანძილზე მდევრის როლში გამოდიოდნენ. მდევარიცაა და მდევარიც, მასპინძლებმა ამერიკელებს ხუთი წამით აჯობეს და 1999 წლის აგვისტოში იმავე აუზში ტორპის, კირბის, გრანტ ჰეკეტისა და მაიკლ კლიმის მიერ დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (7.08,79) კიდევ შეამცირეს — 7.07,05.

ტორპი ამ გამარჯვებით კმაყოფილი უნდა იყოს, რადგან წინა დღით ნაწნევ მარცხს ნაწილობრივ მაინც გაუქარწყლებს, თანაც თავად აცხადებდა, ესტაფეტაში გამარჯვება ჩემთვის უფრო სასიხარულოა, რადგან შენთან ერთად გამარჯვებას შენი თანაგუნდელებიც იზიარებენო.

**გიგა გურასაშვილი**

ქალები. 200 მ. თავისუფალი სტილი
**1. სუზან ონილი (ავსტრალია) 1.58,24; 2. მარტინა მორავცოვა (სლოვაკეთი) 1.58,32; 3. კლაუდია პოლი (კოსტა რიკა) 1.58,81**

ქალები. 200 მ. კომპლექსური
**1. იანა კლოჩკოვა (უკრაინა) 2.10,68; 2. ბეატრის კასლარუ (რუმინეთი) 2.12,57; კრისტინა ტოიშერი (აშშ) 2.13,32**

ვაჟები. 4X200 მ. ესტაფეტა. თავისუფალი სტილი
**1. ავსტრალია (იან ტორპი, მაიკლ კლიმი, ტოდ პირსონი, უილიამ კირბი) 7.07,05; 2. აშშ (სკოტ გოლდბლატი, ჯოშ დევისი, ჯეიმი როუჩი, კლეტ კელერი) 7.12,64; 3. ჰოლანდია (მარტინ ზუიდვეგი, იოჰან კენკჰუიზი, მარსელ ვოუდა, პიტერ ვან ჰოგენბანდი) 7.12,70**

ვაჟები. 200 მ. ბატერფლაი
**1. ტომ მალჩოუ (აშშ) 1.55,35; 2. დენის სილანტიევი (უკრაინა) 1.55,76; 3. ჯასტინ ნორისი (ავსტრალია) 1.56,17**

კალათბურთი

# იტალია: ოფლმდენი საშუალება ამერიკისთვის

ვაჟები

A ჯგუფი

**აშშ 93:61 იტალია**

**აშშ: კარტერი (13), მურნინგი (12), ბეიკერი (11), ალენი (9), აბდურ-რაჰიმი (8), ჰიუსტონი (8), მაკდაიესი (8), ჰარდევეი (6), პეიტონი (5), სმიტი (4), კიდი (4), გარნეტი (4)**

**იტალია: მაიერსი (11), კიაჩიგი (10), გალანდა (8), ფუჩკა (8), მარკონატო (7), მენეგინი (5), აბიო (5), მიანი (5), ბაზილე (2)**

**ჩინეთი 75:60 ახალი ზელანდია**

**ლიტვა 81:63 საფრანგეთი**

A ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 2 | 2 | 0 | 212:133 | 4 |
| ლიტვა | 2 | 1 | 1 | 129:113 | 3 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 139:131 | 3 |
| ჩინეთი | 2 | 1 | 1 | 147:179 | 3 |
| იტალია | 2 | 1 | 1 | 111:141 | 3 |
| ახალი ზელანდია | 2 | 0 | 2 | 110:151 | 2 |

B ჯგუფი

**რუსეთი 71:63 ესპანეთი**

**კანადა 99:54 ანგოლა**

**იუგოსლავია 80:66 ავსტრალია**

**იუგოსლავია: ბოდიროგა (19), დანილოვიჩი (16), ობრადოვიჩი (9), ტარლაჩი (9), რებრაჩა (8), შჩეპანოვიჩი (6), ტომაშევიჩი (6), ლუკოვსკი (5), რაკოჩევიჩი (2)**

B ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კანადა | 2 | 2 | 0 | 200:144 | 4 |
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 146:126 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 127:116 | 3 |
| რუსეთი | 2 | 1 | 1 | 131:129 | 3 |
| ავსტრალია | 2 | 0 | 2 | 156:181 | 2 |
| ანგოლა | 2 | 0 | 2 | 99:163 | 2 |

**არსებითად** ჩინეთისა და იტალიის ეროვნულ ნაკრებებს ერთმანეთისგან ბევრი რამ განასხვავებს — თამაშის სტილი, გაქანება და დასახული მიზნები. იტალიელებს თვალი მედლებისკენ უჭირავთ, მაშინ, როცა ჩინელებს, თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მედლის მოპოვების იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდეთ. მაგრამ მათ ერთი საერთო აქვთ — როგორც აზიის, ისე ევროპის ჩემპიონები სიდნეის ოლიმპიადაზე ამერიკელთა იოლი მსხვერპლნი შეიქმნენ. მსოფლიოს უძლიერესი საკალათბურთო ქვეყნის სპორტის ამ სახეობაში საუკეთესო წარმომადგენლებმა (თუმც არც მთლად ასეა საქმე) გასაოცარი სიმსუბუქით დასცეს კონტინენტთა ჩემპიონები. ახლა ამერიკელებს ორი გამარჯვება აქვთ და A ჯგუფის ცხრილს სათავეში თავს იწონებენ.

ერთი კია, ამერიკელებს ევროპელთა ძლევა უფრო გაუჭირდათ, თუ შეიძლება, ამას გაჭირვება დავარქვათ. იტალიელები საკმაოდ მობილიზებულები და საბრძოლველად განწყობილნი გავიდნენ მოედანზე, შიშის და მღელვარებისა არაფერი ეტყობოდათ. ისინი თამაშობდნენ, როგორც შეეძლოთ და ძლევამოსილ მეტოქეს საკმარის პრობლემებს უქმნიდნენ. ამერიკელებმაც ნება იბოძეს, ცოტაოდენი ოფლი მოიდინეს და პირველი ტაიმის მხოლოდ ათი ქულის სხვაობით მოგება მოახერხეს — 45:35. ტაიმის შუამდე თამაში სულაც თანაბარი გახლდათ და იტალიელები მხოლოდ მას შემდეგ გატყდნენ, რაც აშშ-ს ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრმა ვინს კარტერმა მათ სასწაული ბურთი ჩაუტენა.

მეორე ტაიმში კი ლამის ცალფარა თამაში გაჩაღდა. ამერიკელები ხშირად ცვლიდნენ შემადგენლობას ისე, რომ ეს მათი თამაშის ხარისხზე თითქმის არ მოქმედებდა, იტალიელთა სათადარიგოები კი მათ ვერავითარ წინააღმდეგობას ველარ უწევდნენ. სხვაობამაც თვალსა და ხელს შუა მიაღწია ჯერ ოცს, შემდეგ კი ოცდაათ და მეტ ქულას. „გუნდები ცუდად არ თამაშობენ ჩვენს წინააღმდეგ და ამიტომ ხშირად გვიხდება ნამდვილ თამაშში ჩართვა. საერთოდ ოლიმპიადაზე სუსტი გუნდი არ არსებობს და ყველა გამარჯვებისთვის იბრძვის, მაგრამ ჩვენ დამარცხებას არ ვაპირებთ" — ამბობს ამერიკელი სტივ სმიტი.

სმიტი მართალია, ოლიმპიადაზე უღირს გუნდს რა უნდა, მაგრამ ყველაფერი ხომ შედარებითია. A ჯგუფსაც ჰყავს თავისი აუტსაიდერი — ეს ახალი ზელანდია გახლავთ, რომელმაც მეორე თამაშიც წააგო, ამჯერად ჩინეთთან, რომელსაც ნამდვილად ვერ შევრაცხავთ ტურნირის ფავორიტად. გამარჯვებულთა რიგებში 19 ქულით ყველაზე შედეგიანი იყო 216-სანტიმეტრიანი ცენტრი ვანგ ჟიჟი.

„როგორც იქნა, მოვიგეთ და ეს შანსს გვაძლევს, მედლებისთვის გავაგრძელოთ ბრძოლა. ვფიქრობ, ჩვენ ეს შეგვიძლია" — ამბობდა ლიტველი თავდამსხმელი საულიუს შტომბერგასი ლიტვა — საფრანგეთის თამაშის შემდეგ. ბალტიისპირელებმა დამაჯერებლად დაამარცხეს საკმაოდ სერიოზული მეტოქე და ამით მომავლის რწმენა შეინარჩუნეს. არადა, დამარცხების შემთხვევაში ლიტვა დიდი სირთულის წინაშე დგებოდა, მით უმეტეს, რომ მომდევნო, მესამე ტურში აშშ-ს ხვდება. მათდა საბედნიეროდ, შტომბერგასმა, გინტარას ეინიკისმა (19 ქულა) და სხვებმა თავიანთი უპირატესობა საეჭვოდ არ გახადეს.

სატურნირო ვითარება ერთობ დაიძაბა B ჯგუფში. იქ ექვსი გუნდიდან ხუთი ინარჩუნებს მეოთხედფინალში გასვლის შანსს. ოლიმპიადის მასპინძელთა გულის გასახეთქად, სავსებით შესაძლებელია, ჯგუფის პირველ ოთხეულში ვერ მოხვდეს ავსტრალიის არცთუ ურიგო გუნდი. მასპინძლებმა მსოფლიოს ჩემპიონ იუგოსლავიასთანაც წააგეს და ახლა, ისევე როგორც ოლიმპიადის ყველაზე უსახურ გუნდს, ანგოლას, ორი წაგება აქვთ. ეს უკანასკნელი ავსტრალიის წინა ტურში მძლეველმა კანადამ საშინლად დაამარცხა. ახლა კანადა ჯერჯერობით ჯგუფში პირველ ადგილზეა და ცალი ფეხით მეოთხედფინალშია, თუმც კანადელების უმთავრესი მიზანი ჯგუფის მოწინავე სამეულში მოხვედრაა. მეოთხე ადგილზე გასული გუნდი წინასწარ განწირულია, რადგან მეოთხედფინალში პირდაპირ ამერიკელთა კლანჭებში ვარდება.

**ირაკლი ფირაშვილი**

მშვილდოსნობა

ქალები

ფინალი

**იუნ მი ჯინი (კორეა) — კიმ ნამ სუნი (კორეა) 107:106**

მესამე ადგილისთვის

**კიმ სუ ნიუნგი (კორეა) — ჩოე ოკ სილი (ჩრდილოეთ კორეა) 103:101**

სროლა

ვაჟები. ნებისმიერი პისტოლეტი
**1. ტანიუ კირიაკოვი (ბულგარეთი) 666,0; 2. იგორ ბასინსკი (ბელარუსი) 663,3; 3. მარტინ ტენკი (ჩეხეთი)**

ქალები. დაბლ ტრეპი
**1. პია ჰანსენი (შვედეთი) 148,0; 2. დებორა ჯელისიო (იტალია) 144,0; 3. კიმბერლი როუდი (აშშ) 139,0**

ცხენოსნობა

სამჭიდი. გუნდური
**1. ავსტრალია (ფილიპ დატონი, ენდრიუ ჰოი, სტიუარტ ტინი, მეტ რაიანი) 146,80 საჯარიმო ქულა; 2. დიდი ბრიტანეთი (იან სტარკი, ჯანეთ ბრეიკველი, პიპა ფანელი, ლესლი ლოუ) 161,00 საჯარიმო ქულა; 3. აშშ (ნინა ფოუტი, კარენ ოკონორი, ლინდენ ვისმანი, დევიდ ოკონორი) 175,80 საჯარიმო ქულა**

ბალახის ჰოკეი

ვაჟები

B ჯგუფი

**ავსტრალია 2:2 ინდოეთი**

**არგენტინა 2:2 კორეა**

**პოლონეთი 4:1 ესპანეთი**

ქალები

A ჯგუფი

**ავსტრალია 1:1 ესპანეთი**

B ჯგუფი

**ჰოლანდია 2:2 სამხრეთ აფრიკა**

ბეისბოლი

**კუბა 6:5 კორეა**

**აშშ 6:2 ჰოლანდია**

**იტალია 13:0 სამხრეთ აფრიკა**

**იაპონია 7:3 ავსტრალია**

სოფტბოლი

**ავსტრალია 1:0 კანადა**

**ჩინეთი 10:0 ახალი ზელანდია**

**იტალია 1:0 კუბა**

**იაპონია 2:1 აშშ**

ძალოსნობა

ქალები. 63 კგ.
**1. ჩენ სიაოშინი (ჩინეთი) 242,5კგ; 2. ვალენტინა პოპოვა (რუსეთი) 235,0კგ; 3. იონა ხაძიიოანუ (საბერძნეთი) 222,5კგ**

ქალები. 69 კგ.
**1. ლინ ვეინინგი (ჩინეთი) 242,5კგ; 2. ერჟებეტ მარკუში (უნგრეთი) 242,5კგ; 3. კარნამ მალესვარი (ინდოეთი) 240,0კგ**

კრივი

პირველი წრე

**51 კგ. ვლადიმირ სიდორენკო (უკრაინა) — დანიელ პონსე დე ლეონ მენდესი (მექსიკა) 16:8; ომარ ნარვაესი (არგენტინა) — კარლოს ვალკარსელი (პუერტო-რიკო) 12:6; ვიჟან პონლიდი (ტაილანდი) — ვარდან ზაქარიანი (გერმანია) ნოკაუტი; არლან ლერიო (ფილიპინები) — ჯეკსონ ასიკუ (უგანდა) ნოკაუტი; ანდრეი რჟანი (პოლონეთი) — სელესტინი აუგუსტინი (მადაგასკარი) 15:13; ენდრიუ კუნერი (კანადა) — ნასერ კედამი (ალჟირი) 18:11; მანუელ მანტილა როდრიგესი (კუბა) — კიმ ტაიკიუ (კორეა) 20:8; ბოგდან დობრესკუ (რუმინეთი) — იანგ ქსიანჟონგი (ჩინეთი) 12:3; ჰიშამ მესბაჰი (მაროკო) — ჰალილ იბრაჰიმ თურანი (თურქეთი) 17:11; ხოსე ნავარო (აშშ) — ჰერმენსიენ ბალო ბალო (ინდონეზია) 16:10; დრისა ტოუ (ბურკინა ფასო) — რაჰიმი მოჰამად რაჰიმი (ირანი), რაჰიმი არ გამოცხადდა; ჟერომ ტომასი (საფრანგეთი) — ერლ უალტშირი (ავსტრალია) 13:1.**

**71 კგ. ადნან ჩატიჩი (გერმანია) — დილშოდ იარბეკოვი (უზბეკეთი) 10:6; რიჩარდ როულისი (ავსტრალია) — ხუან ხოსე უბალდო კაბრერა (დომინიკის რესპუბლიკა) 16:7; სკოტ მაკინტოში (კანადა) — საკიო ბიკა მბა (კამერუნი) 8:5; ჯერმენ ტეილორი (აშშ) — დიმიტრი უსაგინი (ბულგარეთი) ნოკაუტი; ელი იანესი (ვენესუელა) — ნურბეკ კასენოვი (ყირგიზეთი) 20:12; იერმახან იბრაიმოვი (ყაზახეთი) — იუსიფ მასასი (სირია) ნოკაუტი; მოჰამედ სალაჰ მარმური (ტუნისი) — ადამა ოსუმანუ (განა) ნოკაუტი; ხუან ერნანდეს სიერა (კუბა) — სტეფანე ნზუე მბა (გაბონი) ნოკაუტი; მარინ სიმიონი (რუმინეთი) — ჩირო ფაბიო დი კორსია (იტალია) 19:8; ხოსე ლუის ზერტუჩე ჩავესი (მექსიკა) — სიდი სანდი (გვინეა) ნოკაუტი; ფირატ კარაღოლლუ (თურქეთი) — მაიკლ როუჩი (ირლანდია) 17:4; ფრედერიკ ესთერი (საფრანგეთი) — ანდრეი მიშინი (რუსეთი) 16:11.**

ფეხბურთი

# ბრუკნერის მკვლელი დოშეკი



კამერუნელი ჟერემი ნჯიტაპი ჩეხ ტომაშ კუბერის გაურბის

REUTERS

ამრიგად ჯო ბონფრერს და მის გუნდს მძიმე პლეი ოფი ელის. სხვათა შორის, იტალიასთან მატჩის შემდეგ ნიგერიელებს მაყურებელმა ერთობ გალიზიანებით უსტვინა.

შეხვედრას, რომელსაც იტალიის ნაკრები უკვე მეოთხედფინალისტად შეხვდა, ტრიბუნიდან 18 340 ქომაგმა ადევნა თვალი. უმეტესობა ავსტრალიაში მცხოვრები იტალიელები იყვნენ. ანგარიში თერთმეტმეტრიანი დარტყმით ჰოლანდიური „როდას“ მოთამაშემ გარბა ლავალმა გახსნა. პენალტი მეკარე კრისტიან აბიატის შეცდომის ბრალი გახლდათ. „მილანის“ კარის მცველმა პიუს იკედიას ბრწყინვალე დრიბლინგის შემდეგ ვიქტორ აგალი წააქცია თავის საჯარიმოში.

„სკუადრა აძურამ“ შესვენების შემდეგ გაქვითა: 30 მეტრიდან ბარონიოს უძლიერეს დარტყმულ და გბენგა ოკუნოვოსგან ასხლეტილ ბურთს მეკარე გრეგ ეტავიამ ვერაფერი მოუხერხა.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ მეოთხედფინალში ნიგერიელებს ორი ძლიერი მცველი არ ეყოლებათ, თუმცა იტალიელებზე არაფერი გვითქვამს. დანაკარგი მათაც აქვთ, შემდგომ ეტაპზე ვერ ითამაშებს ბარონიო, რომელმაც პირველ ტაიმში ბრაით იგბინადოლორთან უხეშობისთვის მიიღო ყვითელი ბარათი.

საგულისხმოა, რომ ვინაიდან ამ შეხვედრაში იტალიელებს შედეგი მაინც და მაინც არ აინტერესებდათ, მწვრთნელმა მარკო ტარდელიმ სასტარტო შემადგენლობა მოედანზე ექვსი ფეხბურთელით გადასხვაფერებული მოედანზე.

A ჯგუფელთა მეორე წყვილში ჰონდურასმა მასპინძელსა და ასე საბრალო ავსტრალიას 2:1 სძლია. სიტყვა საბრალო ავსტრალიელებს იმიტომ ვაკადრეთ, რომ საკუთარ ქვეყანაში ამ ერთი შეხედვით პრეტენზიულმა გუნდმა ჯგუფურ ტურნირში სამივე მატჩი წააგო.

C ჯგუფში კი ამერიკელებმა შეძლეს ის, რაც მათმა ოდინდელმა წინათაობამ 1956 წელს მელბურნის ოლიმპიადაზე შეძლო — მეოთხედფინალში გავიდნენ. საამისოდ მათ ბოლო ტურში 3:1 მოუგეს ქუვეითს, რომელზეც, სრულიად სამოყვარულო გუნდი რომაა, ადრეც ვთქვით. ბუნებრივია, აშშელთა თავკაცი კლაივ ჩარლზი ბედნიერი იყო, თუმცა...

„დღეს კი გავიმარჯვეთ, მაგრამ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ პირველ ორ შეხვედრაში ჩეხეთსა და კამერუნთან უკეთ ვითამაშეთ. არადა, ის მატჩები ფრედ დამთავრდა. დღეს იღბალმაც გაგვიღიმა, თუმცა მწამს, მეოთხედფინალში გაცილებით ძლიერნი ვიქნებით“ — თქვა მან.

პლეი ოფში თანაჯგუფელთაგან ამერიკელებს კამერუნელები გაჰყვნენ. მათ ჩეხეთთან ითამაშეს ფრედ — 1:1, თუმცა 90-ე წუთზე ნამდვილად გადარჩნენ: დოშეკმა აფრიკელთა მეკარეს აჯობა, მაგრამ ბურთი ხარიხას ირიოდ სანტიმეტრით გადააცილა.

„ეს მომენტი ძალიან დიდ ხანს მოიკლავს გულს. გონება მას ჩემდა სამწუხაროდ, კიდევ უამრავჯერ გაიმეორებს“ — ბრძანა ჩეხთა დაზაფრულმა თავკაცმა კარელ ბრუკნერმა.

### ვაჟები

#### A ჯგუფი

**იტალია 1:1 ნიგერია**

0:1 ლავალი (40პ), 1:1 ოკუნოვო (65ს.კ.)

**ჰონდურასი 2:1 ავსტრალია**

1:0 სუასო (3), 1:1 როსალესი (5ს.კ.), 2:1 სუასო (60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ნიგერია | 3 | 1 | 2 | 0 | 7:6 | 5 |
| ჰონდურასი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | 4 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 0 | 3 | 3:6 | 0 |

#### C ჯგუფი

**აშშ 3:1 ქუვეითი**

1:0 კლიფი (40), 2:0 ოლბრაიტი (63), 2:1 ნაიემი (83), 3:1 დონოვანი (88)

**ჩეხეთი 1:1 კამერუნი**

0:1 ეტამე მაიერი (24), 1:1 დოშეკი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| კამერუნი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| ქუვეითი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:8 | 3 |
| ჩეხეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | 2 |

### ქალები

#### A ჯგუფი

**გერმანია 1:0 შვედეთი**

1:0 პინგსტი (88)

**ბრაზილია 2:1 ავსტრალია**

0:1 პიუზი (33), 1:1 რაკელი (56), 2:1 კატია (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| ბრაზილია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| შვედეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |

წინა ოლიმპიადის გამარჯვებული ნიგერიის ნაკრები ბოლო ტურში იტალიასთან 1:1-ის შედეგად მეოთხედფინალში გავიდა, მაგრამ შეჯიბრება აქ ხომ არ მთავრდება, მთავარი ხომ წინაა და ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი წამყვანი მცველის, აზუბიკე ოლისეს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აფრიკელებს დიდ უხერხულობას შეუქმნის.

ოლისე ადელაიდის „ჰინდმარშ სტედიუმზე“ იტალიასთან ხსენებული შეხვედრის მე-60 წუთზე გააძევეს. მან ჯერ კიდევ მე-9 წუთზე მოახერხა ყვითელი ბარათის მიღება, როდესაც რობერტო ბარონიოს წინააღმდეგ იუხეშა, ხოლო მეორე ტაიმის მე-15 წუთზე იგლი ვანუჩისთან „იბრძოლა“ და მექსიკელი მსაჯის რისო რამოსის წითელმა სასჯელმაც არ დააყოვნა. აღსანიშნავია, რომ ოლისე შეჯიბრებაში ერთხელ, ავსტრალიასთან შეხვედრაში უკვე გახლდათ გაფრთხილებული.

ერთი სიტყვით უხეში მცველი შაბათს, მელბურნში მეოთხედფინალს ხომ გამოსტოვებს და შეიძლება ნახევარფინალის ტრიბუნიდან ცქერაც მიუსაჯონ, თუ, რასაკვირველია, ნიგერია ამ ეტაპზე საერთოდ გავა. სავარაუდოდ ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონ ქვეყანას მეოთხედფინალში ჩილე ან ესპანეთი შეხვდება.

აღსანიშნავია, რომ ნიგერიის დანაკარგი მხოლოდ ოლისეთი არ ამოიწურება. ორმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო შაბათს ვერ ითამაშებს კაპიტანი, ლონდონის „ჩელსის“ მცველი სელესტინ ბაბაიაროც. ბაბაიარო ავსტრალიასთან შეხვედრაში ჩხუბის გამო გააძევეს.

**ბაჩუნა ძიდია**

ჩოგბურთი

# გუგას დაბალი დონე

**როლან გაროსის** ჩემპიონსა და მსოფლიოს მესამე ჩოგან გუსტავო კუერტენს ოლიმპიური ტურნირის პირველ წრეში, ალბათ, პროფესიონალური კარიერის ყველაზე იოლი მეტოქე ერგო — ბენინელი კრისტოფ პონიონი სიდნეიში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიწვევით მოხვდა, თორემ კლასიფიკაციაში ისეთი ადგილი უკავია, ამაზე ვერც იოცნებებდა.

„გუგამ“, რომელმაც სპონსორთა უთანხმოების გამო ერთი ხანობა საერთოდ აიღო ხელი ავსტრალიაში წასვლაზე, ბედის საჩუქარი შეირგო და უმწეო აფრიკელს სულ 38 წუთში, 6:1, 6:1 მოუღო ბოლო.

„ვერ ვიხსენებ ისეთ შეხვედრას, ასე სწრაფად რომ მომეგოს. ერთხელ ამაზე ცოტა დროში კი წავაგე, მაგრამ ეს ათწლამდელთა ტურნირზე იყო“ — გაიღიმა ბრაზილიელმა.

ყველაზე მეტად სიდნეიში აშშ-ის პირველობის ორგზის გამარჯვებული პატრიკ რაფტერი ხარობს. კიკინიანოზს რამდენიმე დღის წინ ოლიმპიური ჩირაღდნის ტარების პატივი ერგო, პოპულარობაში კი მას ავსტრალიელთა შორის ერთადერთი მოცურავე იან ტორფი თუ გაეჯიბრება.

„მზად ვარ, „ოუფენის“ ერთი ტიტული ოლიმპიურ ოქროში გავცვალო. აქ გამარჯვება ძალიან გამახარებს, ეს დაუვიწყარი იქნება“ — ამბობს ავსტრალიელი.

ჯერჯერობით კი რაფტერმა მშვიდობიანად უწია ოლიმპიადის მეორე წრეს. მისი მეტოქე, აშშ-ის ნაკრებში ანდრე აგასის ნაცვლად მოხვედრილი ვინსენტ სპედეა წლეულს წაგებებში ისე დაოსტატდა (ზედიზედ 22 მარცხით მსოფლიოს რეკორდიც მოხსნა), მავნე ჩვევას ვერ ღალატობს და ვერც მასპინძელთა ფავორიტს გაუწია რიგიანი წინააღმდეგობა — 4:6, 3:6.

თუმცა ავსტრალიელმა ისიც აღიარა, რომ 10-ათასკაციანი, პირთამდე სავსე ტრიბუნების წინ თამაშმა უსაშველოდ გაანერვიულა, ხოლო როდესაც ზოგიერთმა „უოლცინგ მატილდას“ (მწვანე კონტინენტის არაოფიციალური ჰიმნი) სიმღერა წამოიწყო, ტანში ჟრუანტელმა დაუარა: „საკუთარი ქვეყნის სახელით ასპარეზობისას ყოველთვის ვღელავ. ამ მხრივ ოლიმპიადა დევისის თასს ჰგავს, იმ განსხვავებით, რომ ეს მაინც ინდივიდუალური ტურნირია, წაბორძიკების უფლება არ გაქვს და თანაგუნდელებიც ვერ გშველიან. სწორედ ამიტომ დღეს უდიდეს ზეწოლას ვგრძნობდი“.

თავად რაფტერი ამჟამად ოლიმპიურ სოფელში ბინადრობს და თანამემამულეების საქომაგოდ სხვა სპორტულ შეჯიბრებსაც ესწრება. თუმცა ბილეთების შოვნა ხშირად მასაც კი უჭირს: „ყველანაირად ვცდილობ, ჩემი ავტორიტეტი გამოვიყენო. თუ პოლიციელებს ვერ დავუმეგობრდები, იქნებ ავტოგრაფიანი ჩოგნები მაინც გავცვალო ბილეთებში“.

პირველი დღის ყველაზე დიდი მოულოდნელობა მეცხრედ განთესილი ამელი მორესმოს მარცხი გახლდათ კოლუმბიელ ფაბიოლა ზულუაგასთან. სამხრეთამერიკელმა ზურგის ტრავმით შეჭირვებულ ლესბოსელს სამ ზელში, 6:3, 3:6, 6:2 მოუგო.

### ვაჟები

პირველი წრე

**გუსტავო კუერტენი (2, ბრაზილია)** — კრისტოფ პონიონი (ბენინი) 6:1, 6:1; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — ტოდ მარტინი (აშშ) 6:2, 6:0; **მარკ ფილიპუსისი** (11, ავსტრალია) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:6 (8:6), 6:4; **პატრიკ რაფტერი** (13, ავსტრალია) — ვინსენტ სპედეა (აშშ) 6:4, 6:3; **პარადორნ სრიჩაპანი** (ტაილანდი) — ატილა სავოლტი (უნგრეთი) 6:2, 1:6, 7:5; **კრისტიან პლესი** (დანია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:3, 6:4; **კევინ ულიეტი** (ზიმბაბვე) — ალბერტ კოსტა (15, ესპანეთი) 6:3, 3:6, 11:9; **არნო დი პასკუალე** (საფრანგეთი) — ნიკოლას კიფერი (9, გერმანია) 6:4, 6:3; **ივან ლუბიჩიჩი** (ხორვატია) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:1, 1:6, 6:3; **ევგენი კაფელნიკოვი** (5, რუსეთი) — ხუან ანტონიო მარინი (კოსტა რიკა) 6:0, 6:1; **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:7 (5:7), 7:5, 6:1; **ნიკოლას მასიუ** (ჩილე) — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) 6:2, 7:6 (7:5); **ხუან კარლოს ფერერო** (8, ესპანეთი) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (კორეა) 6:7 (5:7), 7:6 (8:6), 7:5; **ვლადიმირ ვოლჩკოვი** (ბელარუსი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 7:6 (7:4), 4:6, 6:1; **მაგნუს ნორმანი** (3, შვედეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:7 (4:7), 6:3, 10:8

### ქალები

პირველი წრე

**მონიკა სელეში (3, აშშ)** — კატალინ მაროზი (უნგრეთი) 6:0, 6:1; **მირიამ ორემანსი** (ჰოლანდია) — ფლორენსია ლაბატი (არგენტინა) 6:2, 6:4; **პატრიცია ვარტუში** (ავსტრია) — ოლგა ბარაბანშიკოვა (ბელარუსი) 6:4, 6:2; **დომინიკ ვან რუსტი** (7, ბელგია) — ადრიანა გერში (ჩეხეთი) 6:1, 6:1; **ანასტასია მისკინა** (რუსეთი) — ელენა დანილიდუ (საბერძნეთი) 6:1, 7:5; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (5, ესპანეთი) — ლი ნა (ჩინეთი) 6:1, 7:5; **იანა კანდარი** (გერმანია) — ელენა ლიხოვცევა (15, რუსეთი) 6:4, 6:4; **ფაბიოლა ზულუაგა** (კოლუმბია) — ამელი მორესმო (9, საფრანგეთი) 6:3, 3:6, 6:2; **ნატალი დეში** (11, საფრანგეთი) — მაგი სერნა (ესპანეთი) 6:1, 6:2; **სილვია ტალაია** (13, ხორვატია) — ნეისა ეტიენი (ჰაიტი) 6:1, 6:0; **სილვია ფარინა** (იტალია) — კარა ბლექი (ზიმბაბვე) 6:2, 3:6, 6:3; **ტამარინე ტანასუგარნი** (ტაილანდი) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 6:4, 6:3; **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:3, 6:3; **ელს კალენსი** (ბელგია) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:0, 6:4; **ემანუელა გალიარდი** (შვეიცარია) — უინ პრაკუსია (ინდონეზია) 6:4, 7:6 (7:2); **ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:2

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS

პატრიკ რაფტერი

ხელბურთი

# პავილიონში ჯერ სიმშვიდეა

**ხელბურთელთა** ტურნირის განრიგი ისეა შედგენილი, რომ ქალები და კაცები მონაცვლეობით, დღეგამოშვებით თამაშობენ. გუშინ „პავილიონში“ მანდილოსანთა დღე იყო.

ორი ხუთგუნდიანი ქვეჯგუფიდან ოთხ-ოთხი საუკეთესო ნახევარფინალში გავა, დანარჩენები კი V-X ადგილებისთვის იბრძოლებენ.

უამრავი გულშემატკივრის მხარდაჭერით გამხნევებულმა მასპინძლებმა უმთავრეს ფავორიტ ნორვეგიასთან მატჩი ენერგიულად კი დაიწყეს, მაგრამ ძალა მხოლოდ პირველ ტაიმისთვის ეყოთ, რომელიც მინიმალური სხვაობით დათმეს — 11:12. შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონთა დონე ანგარიშშიც აისახა. ოლიმპიურ ჩემპიონ დანიასაც არ გასჭირვებია ავსტრიელთა დამარცხება.

მოულოდნელობა არც „A“ ჯგუფში მომხდარა, თუმცა წინა ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორ უნგრელებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ფრანგების წინააღმდეგობის დასაძლევად.

### ქალები

#### A ჯგუფი

**კორეა 34:25 რუმინეთი**

**უნგრეთი 23:22 საფრანგეთი**

#### B ჯგუფი

**ნორვეგია 28:18 ავსტრალია**

**დანია 30:26 ავსტრია**

წყალბურთი

### ქალები

16 სექტემბერი

**ავსტრალია 9:2 ყაზახეთი**

**რუსეთი 7:7 კანადა**

**აშშ 6:4 ჰოლანდია**

17 სექტემბერი

**ავსტრალია 6:3 რუსეთი**

**კანადა 8:8 აშშ**

**ჰოლანდია 8:6 ყაზახეთი**

18 სექტემბერი

**ჰოლანდია 5:4 ავსტრალია**

**აშშ 7:5 რუსეთი**

**კანადა 10:3 ყაზახეთი**

19 სექტემბერი

**ჰოლანდია 7:4 კანადა**

**ავსტრალია 7:6 აშშ**

**რუსეთი 15:6 ყაზახეთი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ველოტრეკი

# ოქროს ხათრით ტრეკსაც აკოცებ



REUTERS

მინდა გაკოცო! იენს ლემანის ტრადიციული რიტუალი

**გუშინ** ველომრბოლელებმა მედლების მხოლოდ ერთი კომპლექტი გაითამაშეს. ვაჟები გამოდევნებით გუნდურ რბოლაში (4 კმ) შეეჯიბრნენ ერთმანეთს. მსოფლიოს ჩემპიონი გერმანია პირველი ნაკრები გახდა, რომელმაც ოთხ წუთზე ნაკლები მოანდომა დრო ამ დისტანციის დაფარვას, თანაც ეს ფინალში შეძლო და შესაბამისად ოქროც მას ხვდა წილად.

გერმანელებმა უკრაინელები დაამარცხეს და ნახევარფინალში დამყარებული მსოფლიოს რეკორდიც ჩამოართვეს. ბრინჯაოს მედლები დიდბრიტანელებს ხვდათ წილად, რომლებმაც მესამე ადგილი 1996 წლის ოლიმპიურ ჩემპიონ ფრანგებს არ დაუთმეს.

სლავებმა ფინალამდე ერთი საათით ადრე ნახევარფინალში ბრიტებს აჯობეს და წამის მეათედით გააუმჯობესეს იტალიელთა ოთხი წლის წინანდელი რეკორდი. მათ 4 კილომეტრის გავლას 4 წუთი და 83 მეასედი წამი მოანდომეს, თუმცა გერმანელებთან მაინც ვერაფერი გააწყვეს.

„ძალას ერთმანეთის რწმენა და დისციპლინა გვაძლევს. ჩვენი დამმარცხებელი არავინაა“ — თქვა დანიელ ბეკემ, რომლის გუნდმაც ნახევარფინალში უკრაინაზე თითქმის ოთხი წამით უარესი შედეგი აჩვენა. ფინალის შემდეგ იენს ლემანი ველოსიპედიდან ჩამოვიდა თუ არა, დანკ გრეის სახელობის ტრეკის იატაკს აკოცა და თქვა, რომ ეს მისი ტრადიციაა. „ყოველთვის ვკოცნი ტრეკის იატაკს გამარჯვების შემდეგ“ — განაცხადა ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

ოლექსანდრ სიმონენკო კი ძალიან იმედგაცრუებული იყო წაგებით და მხოლოდ ერთი საათის მანძილზე მსოფლიოს რეკორდსმენობით. „ჩვენ აქ მოსაგებად ვიყავით ჩამოსულნი. ძალიან ბევრს ვვარჯიშობდით. ოლიმპიური ოქროსკენ 10 წელია მოვდიოდით და ბოლო ნაბიჯის გადადგმა ველარ შევძელით“ — თქვა უკრაინელმა.

და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი. დიდი ბრიტანეთის გუნდში საკვალიფიკაციო რბოლებში ორი ისეთი სპორტსმენიც გამოდიოდა, მესამე ადგილისთვის მატჩში რომ არ მიიღეს მონაწილეობა. ახლა ბრიტანელებმა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირს თხოვნით მიმართეს, ბრინჯაოს მედლები რობ ჰეილესსა და ჯონ კლეისაც გადაეცითო და იმედიც აქვთ, რომ მათ თხოვნას ველოსპორტის ხელმძღვანელები ყურად იღებენ.

**გაიოზ თალაკვაძე**

**ვაჟები. გუნდური რბოლა გამოდევნებით**

**1. გერმანია (გვიდო ფულსტი, რობერტ ბარტკო, დანიელ ბეკე, იენს ლემანი) 3 წთ. 59,710; 2. უკრაინა (ოლექსანდრ ფედენკო, ოლექსანდრ სიმონენკო, სერგიი მატვეევი, სერგიი ჩერნიავსკი) 4 წთ. 04,520; 3. დიდი ბრიტანეთი (ბრაიან სტილი, პოლ მენინგი, ბრედლი ვიგინსი, კრის ნიუტონი) 4 წთ. 01,979**

ფრენბურთი

# გამოკვეთილი ოთხეული და გაურკვევლობა

**ფრენბურთელთა** ტურნირზე სამშაბათს მხოლოდ ვაჟებმა ითამაშეს. მათ მეორე ტურის მატჩები გამართეს. A ჯგუფში ფაქტობრივად უკვე გამოიკვეთა ის ოთხეული, რომელიც მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებს. ბრაზილიამ და ჰოლანდიამ შესაბამისად ეგვიპტესა და ოლიმპიადის მასპინძელ ავსტრალიას ზედიზედ მეორე მარცხი აგემეს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არც აფრიკელებს და არც ავსტრალიელებს ჯერ ერთი ხელიც არ მოუგიათ, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ჯგუფის საუკეთესო ოთხეულში ვერაფრით მოხვდებიან და შინაც ნაადრევად დაბრუნდებიან, თუმცა ეგვიპტელები კი წავლენ, მაგრამ ოზები?! კუბამ პირველი წაგების ჯავრი ესპანეთზე იყარა და იგი საკმაოდ იოლად დაამარცხა. აქ ახლა გასარკვევი მხოლოდ პირველი ოთხეულის თანმიმდევრობაა.

B ჯგუფში ყველაფერი გაცილებით რთულადაა. იტალიამ ძლივს მოუგო იუგოსლავიას. პირველი პარტია აპენინელებისა იყო (25:19), მეორეში იმავე ანგარიშით უკვე იუგებმა იმარჯვეს. მერე ისევ იტალიამ იძალა (25:22), ბოლო ორი ხელი კი ძალიან დაძაბული გამოდგა. მეოთხე იუგოსლავიის სასარგებლოდ დამთავრდა (33:31), ტაიბრეიკი კი 15-ის ნაცვლად 22 ქულამდე გაგრძელდა და იტალიამ მეტად რთული გამარჯვება იზეიმა. არგენტინას და რუსეთს მომდევნო მოგებების მოპოვება ნაკლებად გაუჭირდათ. ახლა აქ სამ გუნდს ორ-ორი გამარჯვება აქვს, სამსაც — ორ-ორი წაგება. თუმცა იუგოსლავიაც, აშშ-ც და კორეაც საკმაოდ კარგი გუნდები ჩანან და თავისუფლად შეიძლება, რომელიმე მათგანმა დაწინაურებული სამეულიდან ვინმეს გადაუსწროს.

**გაგი გურული**

**ვაჟები**

19 სექტემბერი

II ტური

A ჯგუფი

**ბრაზილია 3:0 ეგვიპტე**

**კუბა 3:1 ესპანეთი**

**ჰოლანდია 3:0 ავსტრალია**

B ჯგუფი

**იტალია 3:2 იუგოსლავია**

**არგენტინა 3:1 კორეა**

**რუსეთი 3:1 აშშ**

**ქალები**

18 სექტემბერი

II ტური

**რუსეთი 3:2 კუბა**

*ამ მატჩის შედეგი გუშინდელ „სარბიელში“ მიმოხილვაში სწორად, ოქმში კი შეცდომით (კუბა 3:2 რუსეთი) ეწერა, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.*

დოპინგი

# საბჭოს მსხვერპლნი

**ნაყოფიერად** წაიმუშავა გუშინ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) საბჭომ, რომელიც სიდნეიში შეიკრიბა. ფედერაციის სპიკერმა ჯორჯო რაინერიმ საბჭოს სულ ცნცხალი ცნობა წარუდგინა: საერთაშორისო ანტისადოპინგო სააგენტოს (ვადა) მძლეოსანთა შემთხვევითი ტესტირება ჩაუტარებია და ორი კაცი გამოუჭერია — კენიელი სიმონ კიმბოი და ნიგერიელი ქალბატონი დუპე ოსიმე. რაინერის თქმით, მათთვის სიდნეის ოლიმპიადა დამთავრდა, ხოლო სასჯელის ზომას ეროვნული ფედერაციები დაუდგენენ. კიმბოი კენიელთა 4X400-მეტრიან ესტაფეტაზე მორბენალი ოთხეულის წევრი იყო, ოსიმე-800 მეტრზე ნიგერიის რეკორდსმენი.

საბჭოს სხდომაზე უფრო მწვავე თემებიც წამოიჭრა. უკრაინელი ბირთვის მკვრელ, ალექსანდრ ბაგაჩი პარასკევის წინასწარი შეჯიბრიდან მოხსნეს, დი ერ ბაუმანს მთელი გაზაფხულ-ზაფხულის გარჯა წყალში ჩაუყარეს. გეხსომებათ, როგორ დარბოდა სასამართლოებში გერმანელი სტაიერი და დაუცხრომლად ამტკიცებდა, დოპინგი არ მიმიღია, პროვოკატორებმა კბილის პასტაში შემაპარეს და სისხლში ჯაგრისიდან მოხვდაო. ბაუმანი გერმანიის სასამართლომ გაამართლა, მაგრამ მსოფლიო მძლეოსნობის მოთავეებზე ამანაც ვერ იმოქმედა — გუშინ ბაუმანის დისკვალიფიკაცია ძალაში დარჩა. საყურადღებო ფაქტია: გერმანიის სამოქალაქო სამართალი და იააფ-ის კანონები თურმე სრულიად შეუსაბამოა. ეს გერმანელ ათლეტთა შეფმა ჰელმუტ დიგელმა აღნიშნა და მას იააფ-ის პრეზიდენტი ლამინ დიაკიც დაეთანხმა, ოღონდ მარტო იმაში, რომ კანონთა შორის უთანხმოება მართლაც არსებობს. რაც შეეხება ამის მართებულობას, დიაკმა თქვა: „ეს არაა პირველი შემთხვევა: ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში გვქონდა მსგავსი პრეცედენტები და ყოველთვის უპირატესობას ჩვენს წესებს ვანიჭებდით. ახლაც ასე მოვიქცევით“.

და კიდევ — საბჭომ დაადასტურა თავისი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება მერლინ ოტის გამართლების თაობაზე, ხოლო მარკ რიჩარდსონმა მანამ თქვა უარი სიდნეიში სირბილზე, სანამ სასამართლო საბოლოოდ განსჯიდა. ოტი ვახსენეთ და იგი იამაიკელთა 100 მეტრზე მორბელთა ჯგუფში ჩარიცხეს, იამაიკის ჩემპიონის, პეტა გეი დონის მაგივრად და ოლიმპიური სოფლის იამაიკური ნაწილი ამ წუთებშიც გვარიანად ქოთქოთებს — ეს დანარჩენი იამაიკელი გოგოები აღშფოთებულან მომხდარი უკანონობის გამო. იამაიკის ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის შედეგებით ოტის 100 მეტრზე გამოსვლის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ... იმ დისტანციაზე 11 წამზე ნაკლები ოტის გარდა არც ერთ იამაიკელს რომ არ დაუხარჯავს?

**დავით გულუა**

## სიდნეის ნაირ-ნაირი

**„სიეტლ სუპერსონიქსის“** ფორვარდი ვინ ბეიკერი, ჩვენებური ვოვა სტეფანიას სამწუხაროდ, პენსიაზე გასვლას ჯერ არ აპირებს, მაგრამ ისე დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგაც არ დარჩება უსაქმოდ — უამრავი მილიონერი კოლეგა ფულს არ დაიშურებს მის პირად მზარეულად გადასაბირებლად.

ამ რამდენიმე დღის წინ სიდნეის ერთ-ერთ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავებულ NBA-ს ვარსკვლავებს მდიდრულ რესტორნებში ღრეობის ნაცვლად თავად მოუნდათ წვეულების მოწყობა, ჰოდა, ბეიკერმაც თავი გამოიდო, საჭმელებს არავის გავაკარებ, ყველაფერი თავად უნდა გავაკეთოო.

ადგილობრივ სუპერმარკეტში ერთი კონტეინერი ხორცის ყიდვას წინ რაღა დაუდგებოდა, 210-სანტიმეტრიანმა გიგანტმა კი წინსაფარი მოირგო და... ეს შემწვარი ნეკნებიო, წიწილებიო, მწვადებიო, კარტოფილი, პიურე, სოუსი და ათასგვარი ნუგბარი-ნუგბარიც გააკეთა.

„არა, კალათბურთის თამაში რომ ეხერხებოდა, ვიცოდი, მაგრამ თუ ასეთი მზარეული იქნებოდა, ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი“ — განაცხადა ფენიქსელმა გამთამაშებელმა ჯეისონ კიდმა. „სულ ვჭამდი და ვჭამდი, ყველაფერი საოცრად გემრიელი იყო“ — დაუმატა „მაიამი ჰითის“ ცენტრმა ალონზო მურნინგმა.

„არაჩვეულებრივი იყო. ბიჭები გამუდმებით ეპატიჟებოდნენ სასტუმროს სხვა მაცხოვრებლებსაც, რათა მათაც გაესინჯათ. ახლაც არ შემიძლია ჭამა, არადა, 24 საათი გავიდა“ — ეს აშშ-ის ქალთა ნაკრების წევრის, კარა უოლტერსის სიტყვებია. მოკლედ, ასეთი რეცენზიები გამოცდილ მზარეულსაც შეშურდებოდა.

მთელი ამ აურზაურის მთავარმა გმირმა კი ჟურნალისტების წინ ცოტათი დაიმორცხვა: „ალბათ, სეზონებს შორის არდადაგების დროს ზოგიერთი თანაგუნდელის მოწვევას მივიღებ. უბრალოდ, ძალიან მიყვარს საჭმელების კეთება, განსაკუთრებით, თუ ხალხს მოსწონს და ასე შემაქებენ.“

Sydney 2000

**საიმონ უიტფილდის** მოულოდნელი ოქროს მედალი კაცების ტრიატლონში იმას ნიშნავს, რომ კანადელებმა უკვე გააუმჯობესეს თავიანთი მიღწევები მშობლიური, 1976 წლის მონრეალის ზაფხულის თამაშებთან შედარებით.

მაშინ კანადელებმა ერთი მეტად უსიამოვნო ანტირეკორდი დაამყარეს — ისინი დღემდე რჩებიან ერთადერთ მასპინძელ ქვეყნად, რომლის წარმომადგენლებმაც ერთი ოქროს მედლის მოპოვებაც ვერ შეძლეს.

Sydney 2000

**მისი** დიამეტრი 68 მილიმეტრია, სისქე — 5, სულ 210 გრამს იწონის, რომლისგანაც ოქრო მხოლოდ ექვსი გრამია, დანარჩენი კი ვერცხლი. ის მთავარი მიზეზია, რისთვისაც 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებზე 11 ათასი სპორტსმენი შეიკრიბა.

საუბარი, რაღა თქმა უნდა, ოლიმპიურ ოქროს მედალს ეხება.

სიდნეიში სულ 2050 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალს დაარიგებენ, რაც გაცილებით აღემატება თანამედროვეობის პირველი, ათენის ოლიმპიადის მარაგს — 1896-ში სულ 125 მედალი გათამაშდა.

ახლანდელი ოლიმპიადის მთელი „ძვირფასეულობა“ ადგილობრივი, ავსტრალიური წარმოშობისაა: ოქრო ახალი სამხრეთ უელსიდან, ვერცხლი ქუინსლენდიდან, ბრინჯაოს მედლებისთვის კი ძველი ერთი და ორცენტიანი მონეტები გამოიყენეს, რომლებიც აღარ იხმარება (ავსტრალიაში ყველაზე წვრილი ფული ხუთცენტიანია და ფასებსაც ასე ამრგვალებენ).

მედლების დიზაინი პოლონელ ემიგრანტ ვოიცეკ პეტრანეკს ეკუთვნის. თავიდან მასალის არ იყოს, ისიც ავსტრალიური უნდა ყოფილიყო და ბერძნული გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს სიდნეის ოპერაში სტუმრობის სცენა უნდა აესახა. ამ ორიგინალურ გადაწყვეტილებას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი აღუდგა წინ მოთხოვნით, მედლებზე რაიმე არქაული სარბიელი გამოესახათ.

შედეგად ოპერამ მედლის მეორე მხარეს გადაინაცვლა ოლიმპიურ ჩირაღდანსა და რგოლებთან ერთად, მისი ადგილი კი კოლიზეუმმა დაიჭირა. გარკვეული უსიამოვნებები ამასაც მოჰყვა: ავსტრალიის ბერძნულენოვანმა გაზეთმა „ო კოსმოსმა“ დაიჩივლა, რაღა რომაული შენობა გამოსახეთ მედალზე და არა ძველბერძნულიო.

სხვათა შორის, მედლის მფლობელებს ოლიმპიურ სოფელშივე შეუძლიათ მათზე თავიანთი გვარ-სახელების ამოტვიფრვა.

Sydney 2000

**როგორც** ეტყობა, ზოგიერთ მილიონერს ვიწრო, არცთუ კომფორტულ ოთახებში ცხოვრებისა და საერთო აბაზანებით სარგებლობის პერსპექტივა არც ისე აშინებს.

კვირას იმ 6000 სპორტსმენს, რომლებიც ამჟამად ოლიმპიურ სოფელში ბინადრობენ, ორი ქალი ჩოგბურთელიც შეემატათ — დიდი სლემის ტურნირების არაერთგზის ჩემპიონები, ამერიკელები მონიკა სელეში და ლინდსი დევენპორტი სიდნეის სასტუმროდან წამოვიდნენ და უახლოეს ორ კვირას ერთ ოთახში გაატარებენ.

„ისინი ბავშვებივით გახარებულნი არიან და სურთ, სრულიად გამოსცადონ ოლიმპიური თამაშების ხიბლი“ — განაცხადა აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა სენდი ბოლდუინმა, რომელიც ამ ფაქტით ყველაზე მეტად დაზარალდა — იგი მანამდე ბინაში მარტო ცხოვრობდა, მაგრამ ადგილი სელეშ-დევენპორტს დაუთმო და კომიტეტის სამ წევრთან გადაბარგდა დიდ სივიწროვეში.

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

**12 სექტემბრიდან სიდნეიში მუშაობას შეუდგა საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის პრესცენტრი.**
**თქვენთვის საინტერესო ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ ყოველდღე, თბილისის დროით 17.30-დან 19 საათამდე.**
**ტელეფონი: (612) 8 11 35 445**

# ჰეთ თრიქი შვეიცარიაში დუბლი გერმანიაში




ალექსანდრე იაშვილმა (მარჯვნივ) „კოტბუსს“ ორჯერ გაუტანა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | კოტბუსი 4:1 | 90 | 2 გოლი | 5 | 2 | 4 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | კოტბუსი 4:1 | 90 | | 5 | 1 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | კოტბუსი 4:1 | 90 | | 4 | 0 | 4 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | ლაუტერნი 1:3 | 76 | შეცვალეს | 5 | 0 | 14 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი | შ | ალენი 5:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 1 | 0 | 7 |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | სანდერლენდი 1:2 | 63 | შეცვალეს | 3 | 0 | 19 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | ლესტერი 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 17 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | ს | უიმბლდონი 1:1 | 0 | სათადარიგო | 5 | 2 | 18 |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | სენტ ჯონსონი 0:0 | 90 | | 6 | 0 | 5 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | ს | ალკმარი 2:3 | 36 | ტრავმის გამო შეცვალეს | 5 | 2 | 8 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | შ | სპარტა 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი . | შ | ანტვერპენი 4:1 | 90 | 1 გოლი | 5 | 1 | 7 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | ს | სტანდარდი 0:7 | 0 | საქართველოში იმყოფება | 0 | 0 | 18 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | გრასჰოპერი 1:1 | 90 | | 10 | 2 | 10 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | გრასჰოპერი 1:1 | 90 | | 9 | 5 | 10 |
| ლევან ხომერიკი | არაუ | შ | ივერდონი 4:3 | 88 | 3 გოლი, 1 პენალტით | 11 | 5 | 8 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | რიგა 4:0 | 90 | 1 გოლი | 14 | 3 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | რიგა 4:0 | 37 | შეცვლაზე ითამაშა | 14 | 4 | 1 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | რიგა 4:0 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 4 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | რიგა 4:0 | 0 | სათადარიგო | 13 | 3 | 1 |
| ვალერი გაგუა | პოლიციასი | შ | დინაბურგი 0:3 | 0 | სათადარიგო | 13 | 1 | 8 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

**ᲒᲐᲡᲣᲚᲘ** უქმეები ქართველი ლეგიონერებისთვის ერთობ მოსავლიანი გამოდგა.

არაუში ლევან ხომერიკმა „ივერდონს“ სამი ბურთი გაუტანა. წლევანდელ სეზონში ეს ქართველი ლეგიონერის პირველი ჰეთ თრიქი გახლდათ. ლევანმა ანგარიში დასაწყისშივე გახსნა პენალტით. მერე, მეორე ტაიმის ხუთწუთიან მონაკვეთში კიდევ ორჯერ შეაგდო და თავისი შვეიცარიული გოლების ჯამი ხუთამდე გაზარდა.

ყველაზე გამორჩეული ამბავი გერმანიაში მოხდა. ბუნდესლიგაში ჩვენმა ფრაიბურგელებმა ისახელეს თავი. სამივე ქართველმა ალექსანდრე იაშვილმა, ლევან კობიაშვილმა და ლევან ცქიტიშვილმა შეუცვლელად ითამაშეს. იაშვილმა კი, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და წლევანდელ სეზონში პირველი ორი ბუნდესლიგური გოლი მიითვალა.

საინტერესოა, რომ პირველ ტაიმში იაშკამ ძელსაც გაარტყა ბურთი, ხოლო პირველი გოლი თავით... გაიტანა. უცნაურია არა, ქართველებს თავით ძალიან იშვიათად გააქვთ, ტანმორჩილი იაშვილისგან კი ასეთი რამ მითუმეტეს მოულოდნელია. კარგი იქნება თუკი ეს ეპიზოდი ეპიზოდად არ დარჩება და იაშვილი თავით თამაშსაც დახვეწს. „კიკერმა“ ის ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა, რაც წლეულს უკვე მეორედ მოხდა.

ახლა „ფრაიბურგი“ მეოთხე ადგილზეა და ლიდერ „ბაიერნს“ მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება. მართალია, კლუბის მიზანი წლეულსაც ბუნდესლიგაში მყარად დამკვიდრებაა, მაგრამ თუ ცოტა იღბალიც ექნათ, ევებ უეფას ზონაშიც მოხვდნენ.

„ფრაიბურგი“ „ფრაიბურგად“, მაგრამ გერმანულ პრესაში რამდენჯერმე გაკვრით ახსენეს, თუ კრისტოფ დაუმი გაისად ბუნდესნაკრების მწვრთნელად დანიშნეს, „ლევერკუზენი“, შესაძლოა, „ფრაიბურგის“ თავკაცმა ფოლკერ ფინკემ ჩაიბაროსო. თუ ასე მოხდა, ფინკე ახალ გუნდში, ალბათ ქართველებსაც წაიყვანს და ვინძლო წლეულს „ასპირინებსაც“ ვუქომაგოთ, რათა გაისადაც ჩემპიონთა ლიგაში მოხვდნენ.

„კიოლნის“ არჩილ არველაძემ კვლავ უგოლოდ დატოვა მინდორი. მისმა გუნდმა კი კაიზერსლაუტერნში 1:3 წააგო. ერთი კია, სტუმრები მედგრად ებრძოდნენ მასპინძლებს და მხოლოდ ბოლო ორ წუთში გატყდნენ. არჩილს მეორე ტაიმში კიოლ[illegible] ყველაზე ნაღდი შანსი ჰქონდა, როცა საჯარიმოს სიახლოვეს ეფექტური ხერხით მოწინააღმდეგის ორი მცველი ჩამოიცილა, მაგრამ მეკარეს ველარ ააცილა. ის გოლიც, რომელიც კიოლნელმა ტიმმა საჯარიმო დარტყმით შეაგდო, ჯორკაეფის მიერ არველაძის წაქცევას მოჰყვა. სხვა მხრივ, ვინც პარასკევს ამ მატჩს უცქირა, დამეთანხმება, აჩიკოს მეტი მოძრაობა მართებდა.

არჩილის ტყუპისცალმა აიაქსელმა შოთა არველაძემ „ალკმართან“ გასვლით მატჩში სულ 36 წუთი ითამაშა. მიზეზი მასპინძელთა მცველების უხეშობა გახლდათ, რის გამოც ქართველს მინდვრის ნაადრევად დატოვება მოუხდა. „აიაქსმა“ კი 2:3 წააგო და მერვე ადგილამდე დაქვეითდა.

მეზობელ ბელგიაში „ლიერსმა“ შინ 4:1 მოუგო „ანტვერპენს“. სტუმართა განადგურებას ექსბათუმელმა გელა შეყილაძემ 71-ე წუთზე დაუსვა წერტილი. ეს გელას პირველი გოლი იყო წლევანდელ სეზონში.

ახლა „ბრიტანელ“ ქართველებზეც ვთქვათ. გიორგი ქინქლაძემ „სანდერლენდთან“ 63 წუთი ითამაშა და როგორც ჩანს, ამჯერად თავი არაფრით გამოუჩენია. ყოველ შემთხვევაში, ბრიტანული წყაროები მის შესახებ არაფერს გვეუბნებიან.

რატი ალექსიძე კვლავაც „ჩელსის“ სარეზერვო გუნდშია. მინდორზე არც თემურ ქეცბაია გამოჩენილა, ხოლო მისმა „ვულვერჰემპტონმა“ სტუმრად პრემიერლიგიდან დაქვეითებულ „უიმბლდონთან“ ფრედ 1:1 ითამაშა და გათამაშების ცხრილში ბოლოდან მეშვიდეა.

გიორგი ნემსაძემ „დანდის“ გასვლითი მატჩი „სენტ ჯონსტონთან“ სრულად ჩაატარა. ერთხელ საგოლე პასიც მისცა პარტნიორ სარას, მაგრამ ამან შანსი ხელიდან გაუშვა.

ლატვიაში ჩემპიონატი განახლდა. ხუთი ქართველიდან მხოლოდ ორმა, რეხვიაშვილმა და მენთეშაშვილმა ითამაშეს. ამათმა „სკონტომ“ ფანაქალაქელ „რიგას“ სტუმრად 4:0 მოუგო და კვლავ ლიდერია. მენთეშაშვილმა მინდორზე 53 წუთი დაჰყო, ალეკო რეხვიაშვილმა კი მატჩი სრულად ითამაშა, გოლიც გაიტანა და გაფრთხილებაც მიიღო. ჩალაძეს კვლავ ტრავმა აწუხებს, კორღალიძე კი, ისევე როგორც „პოლიციასის“ გაგუა სათადარიგოთა შორის იყო.

**ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ**




ექსბათუმელმა ლევან ხომერიკმა (№9) შვეიცარიაში პირველი ჰეთ თრიქი მიითვალა

# მანჩესტერამდე ორი წელია




**ინგლისის** ნაკრებისა და „ლივერპულის" ფორვარდ მაიკლ ოუენს, რომელიც ამჟამად პრემიერლიგის ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას, მიაჩნია, რომ მისი კლუბი ქვეყნის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს" სულ მცირე ორი სეზონი ვერ შეებრძოლება და სათანადო კონკურენციას ვერ გაუწევს. „ჩემი აზრით, სადღეისოდ ინგლისში ყველაზე ძლიერი კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედია". ეჭვი მეპარება, რომ სულ ცოტა ორი სეზონის განმავლობაში მათ ვინმე გაეჯიბრება" — განუცხადა 20 წლის ინგლისელმა ამომავალმა ვარსკვლავმა ბრიტანულ პრესას.

ოუენის გუნდი პრემიერლიგის ცხრილში ახლა მეოთხე პოზიციაზეა და ოთხი ქულით ჩამორჩება ლიდერს, სათავეში კი ორხელისუფლებიანობაა — პირველობას „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ლესტერი" იყოფენ. „ლივერპულმა" წინა უქმეებზე ლონდონიდან ქულა წამოიღო, მას შემდეგ, რაც იქაურ „ვესტ ჰემთან" ფრე გაახერხა, „იუნაიტედი" კი ოუენის მშობლიურ ქალაქ ლივერპულს ეწვია და „ევერტონთან" ჭიდილში სამი ქულა მოიპოვა.

„ჩვენი ამოცანა ჩემპიონთა ლიგაში თამაშია — ამბობს ყმაწვილი ინგლისელი — თუ სეზონის ბოლოს ამას შევძლებთ, ჩავთვლით, რომ წელიწადი ნაყოფიერი იყო. სიმართლეს თვალი გავუსწოროთ — ახლა „იუნაიტედი" ყველა დანარჩენ ინგლისურ კლუბზე ერთი თავით მაღლა დგას, ფერგიუსონის გუნდი ჩვენსასაც კი სჯობს".

პრემიერლიგის ახლანდელმა ბომბარდირმა ინგლისის ნაკრებზეც ისაუბრა. მას სურს, რომ ეროვნულ გუნდში ხშირად ითამაშოს და ნაკრებიდან წასული ალან შირერის ადგილიც უყოყმანოდ ანდონ.

„დარწმუნებული ვარ, ინგლისის ნაკრების ძირითადი ფორვარდის პოზიციაზე თამაშს შევძლებ — აცხადებს ოუენი — თუმცა ეს ყველაფერი მწვრთნელის, კევინ კიგანის გადასაწყვეტია. მე კი ჩემი მხრივ ყველაფერს ვილონებ, რათა გუნდის ძირითად შემადგენლობაში დავმკვიდრდე".

**ნიკა შუბლაძე**

# კი გავცვლი მე ჩემ სამშობლოს...



დაქვეითების ოსტატი ფრიდჰელმ ფუნკელი აწი „ჰანზას" გაწვრთნის

**პირველი** ბუნდესლიგის კლუბის როსტოკის „ჰანზას" ხელმძღვანელობამ გუნდის წარუმატებელი სტარტის წამალს მიაგნო. როსტოკელებმა, პირველი სამი ტურის შემდეგ ქულაც რომ არ ებადათ, ბურთების შეფარდება კი 0:9-თან ჰქონდათ, მწვრთნელი ანდრეას ცახჰუბერი გაუშვეს, ყველაფერი შენი ბრალიაო. გუნდის გაწვრთნა კი დროებით ცახჰუბერის თანაშემწე იური შლიუნცს დაავალეს. მისი ხელმძღვანელობით „ჰანზამ" ორი მატჩი გამართა და ოთხი ქულა მოაგროვა: „ფრაიბურგთან" 0:0-ს ჰანზელებმა სტუმრად „ლევერკუზენის" სენსაციური დამარცხება (2:1) მოაყოლეს. კლუბის პრეზიდენტმა ეკ-ჰარდტ რეებერგმაც „რეალისა" და „ბარსელონას" მაგალითი აიღო და თანაშემწე შლიუნცს მთავარი მწვრთნელის პოსტი შესთავაზა.

გუშინ „ჰანზას" ახალი თავკაცი ოფიციალურად დაინიშნა. ამიერიდან კლუბს ორი წლით... ფრიდჰელმ ფუნკელი გაწვრთნის, რადგან შლიუნცმა თავკაცობა იუარა, „თხილი" მირჩევნიაო, „ჩხიკვთა ქორწილის" წრუწუნასავით თქვა. რეებერგმაც არჩევანი ფუნკელზე შეაჩერა, ვისაც კლუბების პირველიდან მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების კარგი სტაჟი აქვს. მის ხელში ჯერ „ურდინგენი" დაემშვიდობა გერმანულ ელიტას, შარშან კი „დუისბურგსაც" იგივე ბედი ეწია. სწორედ ამ ფაქტს ემსხვერპლა ფუნკელი, თუმც უმუშევარი, როგორც ხედავთ, დიდხანს არ დარჩენილა.

„შიში არ მჩვევია. ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული იმაში, რომ „ჰანზა" ბუნდესლიგაში ადგილს შეინარჩუნებს. მე ვუყურე მის თამაშს „ლევერკუზენთან" და ძალიან მომეწონა. გუნდმა დისციპლინა და მებრძოლი სული გამოავლინა, რაც ბუნდესლიგის კლუბებს ნაკლებად სჩვევიათ."

რაო, გერმანულ გუნდებს მებრძოლი სული აკლიათო? მართლაც, ამ კაცისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

აქვე ბარემ სხვა გერმანულ ამბებზეც ვთქვათ.

ჩეხეთის ნაკრების თავდამსხმელმა პაველ კუკამ გუშინ „კიკერის" საშუალებით საზოგადოებას ამცნო, რომ „შტუტგარტის" დატოვება სურს. „ამ გუნდში ჩემს დარჩენას აზრი არ აქვს. აშკარაა, „შტუტგარტს" ვერ ვერგები, ამიტომაც სხვაგან წასვლა გადავწყვიტე" — განაცხადა კუკამ, რომელსაც ეროვნულ გუნდში 81 მატჩი ჩაუტარებია.

კუკას უკმაყოფილება გუნდის თავკაც რალფ რანგნიკს უკავშირდება, რომელმაც 32 წლის თავდამსხმელი შემადგენლობიდან ამოაგდო და იშვიათად, შეცვლებზეღა ათამაშებს.

„ვიცით, რომ პაველს კლუბის დატოვება და ჩეხეთში დაბრუნება სურს. ჩვენ ხელს არ შევუშლით" — თქვა ამ ამბავთან დაკავშირებით „შტუტგარტის" მენეჯერმა კარლ-ჰაინც ფიორსტერმა, წარსულში სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა.

ტოგოელი ბაშირუ სალუ კი სულ მალე გერმანიის მოქალაქე გახდება. რამდენიმე წელია, იგი გერმანიაში მოღვაწეობს. „აინტრახტის" გოლეადორი ევროპაში ჩასვლის შემდეგ ჯერ „მიონხენგლადბახში" თამაშობდა, მერე კი „დუისბურგისა" და „დორტმუნდის" ფორმაც ემოსა.

29 წლის სალუს სანაკრებო კარიერის დასრულებაც გადაუწყვეტია, მთელი ჩემი ცოდნა და ენერგია „აინტრახტს" უნდა მოვახმაროო. სალუმ ერთხელ ტოგოს ნაკრები უკვე დაალალატა: იანვარში გამართულ აფრიკის თასზე მთელ ტოგოს მისი იმედი ჰქონდა, მაგრამ ბაშირუმ ეროვნული გუნდის მაისურით თამაშს „აინტრახტთან" ერთად ბუნდესლიგის მეორე წრისთვის მზადება არჩია... როგორც ძველი „მოამბე" იტყოდა, დაავიწყდა სალუს რაფიელ ერისთავის ლექსი....

**განო ოქროპირიძე**

# ცრვენა ზვეზდა მისამართს იცვლის

**ბელგრადის** „ცრვენა ზვეზდა" დღემდე აპროტესტებს უეფასეულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც ინგლისური „ლესტერის" მასპინძლობა უეფას თასზე შინიდან შორს, ნეიტრალურ მოედანზე მოუწევს.

შეგახსენებთ, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოჩხრიკა, რომ 24 სექტემბერს იუგოსლავიაში საპრეზიდენტო არჩევნებია და დაასკვნა, პოლიტიკური აქტივობის პერიოდში იუგოსლავიაში ჩვენი მოქალაქეების სტუმრობა არასასურველიაო. „ლესტერსაც" ეს უნდოდა, უმალ კაცი აფრინა უეფაში და სიტყვაც დააბარა, ჩვენ რომ ბელგრადში სტუმრობისას რაიმე ხიფათს გადავეყაროთ, ვინ არის პასუხისმგებელიო. უეფა შეფიქრიანდა, ბელგრადის ხელისუფალთ უსაფრთხოების გარანტიები მოსთხოვა და რაკი იქიდან მიღებულმა პასუხმა ვერ დააკმაყოფილა, ბრძანა, თამაში ნეიტრალურ, უსაფრთხო მოედანზე გამართულიყო.

თავშიც ვთქვით, რომ „ცრვენა ზვეზდა" ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებს, მაგრამ იქაური საფეხბურთო მოღვაწენი იმასაც ხვდებიან, რომ ამ საკითხზე უეფასთან ჭიდილი არ გამოუვათ და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს. მოკლედ, უეფას მატჩის გამართვის ადგილის ორი შესაძლო ვარიანტი აუწყეს — ავსტრიის დედაქალაქი ვენა ან მაკედონიის დედაქალაქი სკოპიე. საბოლოოდ რომელ ვარიანტს მიენიჭება უპირატესობა, დღეს შევიტყობთ.

ისე, პირველი მატჩის შემდეგ, როცა „ცრვენა ზვეზდა" ლესტერში მეტოქეს ფრედ ეთამაშა და გვარიანად ანერვიულა, ბელგრადელთა მწვრთნელი სლავოლუბ მუსლინი ამბობდა, საპასუხო შეხვედრა თუგინდ ისევ ლესტერში გავმართოთო, მაგრამ, მიხვედრებოდით, ეს მხოლოდ მეტოქის დასაკნინებლად იყო ნათქვამი, რეალურად კი ან ვენა, ან სკოპიე.

# ვინ გაუტანს „სპარტაკს"?

**დღეს** ჩემპიონთა ლიგა. II ტური

### A ჯგუფი. რეალი — სპარტაკი



„რეალი" ურაულოდ დარჩა

**ფერნანდო** მორიენტესის დაშავების შემდეგ მადრიდის „რეალმა" მეორე დიდი დანაკლისი განიცადა — დღეს, ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურში, ესპანელებს „სპარტაკის" წინააღმდეგ რაული არ ეყოლებათ.

რაულმა ვარჯიშის დროს ზურგი იტკინა და ვისენტე დელ ბოსკეს თავად სთხოვა, ოთხშაბათს არ მათამაშოო. „მორიენტესის მერე რაულის დაკარგვა ჩვენთვის უაღრესად მტკივნეულია, მაგრამ რამეს მოვახერხებთ" — თქვა დაღონებულმა მწვრთნელმა.

სავარაუდოდ, რაულს გუტი შეცვლის, რომლის გოლმაც გასულ შაბათს „რეალს" მალაგიდან ქულა წამოაღებინა, მორიენტესის ადგილას პეტრო მუნიტისის ხილვას კი უკვე შევეჩვიეთ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი ფერნანდო იეროს დაბრუნებაა. როგორც იქნა, მადრიდელთა კაპიტანს ტრავმა მოუშუშებია და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დღეს სასტარტო შემადგენლობაში იქნება.

### C ჯგუფი. ჰერენვენი — ვალენსია

**თითქოს** რა პრობლემა უნდა ჰქონდეს „ვალენსიას" „ჰერენვენთან" თამაშისას, თუნდაც მატჩი ჰოლანდიაში ტარდებოდეს, მაგრამ... ექტორ რაულ კუპერი იმ მოსაზრებას ეთანხმება, რომლის თანახმადაც ჩემპიონთა ლიგაში სუსტები ვერ ხვდებიან და ნებისმიერ მეტოქეს პატივი უნდა სცე. ამიტომაც იყო, რომ მწვრთნელმა გასულ შაბათს პრიმერადივიზიონში „მალიორკას" წინააღმდეგ კილი გონსალესი არ ათამაშა, აქაოდა, არგენტინელი „ჰერენვენს" დასვენებული შეხვდესო.

ვალენსიიდან შემაშფოთებელი (იქაური კლუბის ქომაგთათვის) ცნობაც მოვიდა, გაისკა მენდიეტამ იმავე „მალიორკას" წინააღმდეგ მატჩში ორი თითი მოიტეხაო. საზოგადოდ, ფეხბურთელისთვის (თუ მეკარე არაა) დიდი მნიშვნელობა აქვს, ხელის თითებს მოიტეხს, თუ ფეხისას. ამის თაობაზე ვალენსიური წყარო არაფერს იუწყება, ხოლო რაკი კუპერი მენდიეტას სასტარტო შემადგენლობისთვის ამზადებს, უნდა ვივარაუდოთ: ფეხბურთელს ხელის თითები მოუტეხია ან თუ ფეხისა, ტკივილს არად აგდებს. უფრო დაზუსტებული ცნობა მენდიეტას თითებზე, სამწუხაროდ, არ გვაქვს.

ექტორ კუპერს ერთ დილემაზეც მოუწევს ტვინის ჭყლეტა. მას გადაუწყვეტია, რომ თავდასხმაში დიეგო ალონსო ეყოლება. აი, მეორე თავდასხმელის შერჩევა კი ერთობ გასჭირვებია და ზლატკო ზაჰოვიჩსა და ხუან სანჩესს შორის არჩევანის გაკეთებაზე ფიქრობს.

„ჰერენვენს" კი რა? საეჭვოა, მოკრძალებული გუნდი წაგებისთვის ვინმემ დაძრახოს, მაგრამ თუნდაც ერთ გამარჯვებაზე, აბა, ვინ იტყვის უარს. „ჰერენვენს" ბევრად უკეთ შეუძლია თამაში და „ლიონთან" დაშვებულ შეცდომებს ამჯერად აღარ გავიმეორებთ" — ამბობს ჰოლანდიელთა სამხრეთაფრიკელი მეკარე ჰანს ვონკი. მათი მწვრთნელი ფოპ დე ჰაანი კი გუნდში ცვლილებებს არ აპირებს. ანკი ვინ უნდა შეცვალოს? „ჰერენვენის" საუკეთესო თავდამსხმელები — დენის დე ნოიერი და რომანო დენებუმი ჯერაც ტრავმირებულნი არიან — როგორც ჩანს, დიდი ხნით.

### D ჯგუფი. მონაკო — რეინჯერსი

**საფრანგეთის** ჩემპიონს დღეს შოტლანდიის უძლიერესი გუნდი ესტუმრება. პირველ ტურში გლაზგოში გრაცის „შტურმის" განადგურების შემდეგ „რეინჯერსის" ფეხბურთელები ჩინებულ განწყობაზე არიან და არც მალავენ, რომ მონაკოშიც უმაღლესი მიზნის მისაღწევად ჩავიდნენ. თუ მათ ეს მოახერხეს, მომდევნო ეტაპზე მოხვედრის შანსები გაეზრდებათ, საფრანგეთის ჩემპიონები კი სრულიად საპირისპირო ვითარებაში აღმოჩნდებიან.

„მონაკომ" პირველი მატჩი „გალათასარაისთან" წააგო და ამით უკანდასახევი გზა მოეჭრა. დღეს მას გამარჯვება სჭირდება, ეს კი ჩვენთვის უკეთესია, მინდორზე მეტი თავისუფლება გვექნება — თამამად აცხადებს „რეინჯერსის" ჰოლანდიელი ნახევარმცველი რონალდ დე ბური, რომელიც გლაზგოურ კლუბში რამდენიმე კვირის წინ „ბარსელონადან" გადავიდა. დე ბური იქვე დასძენს — თუ მოვიგებთ, მყარ ნაბიჯს გადავდგამთ წარმატებისკენ, მეტოქეს კი საქმეს ორმაგად გავურთულებთო.

„რეინჯერსს" „მონაკოს" წინააღმდეგ შესაძლოა გერმანელი იორგ ალბერტცი ვერ დაეხმაროს. ნახევარმცველს თვალში ინფექცია შეეჭრა. იგი გუნდს მონტე კარლოში მაინც ჩაჰყვა, მაგრამ ძლიერი ტკივილი აწუხებს და მარჯვენა თვალს ვერ ახელს. ამის გამო იქნებ მატჩი გამოტოვოსო, ვარაუდობენ გუნდის ექიმები. „კვირას ტკივილმა გამაღვიძა — თქვა გერმანელმა — არც კი ვიცი, ინფექცია სად ან როგორ შემეჭრა. ახლა ვმკურნალობ, თუმცა დაზუსტებით ვერავინ ამბობს, შევძლებ თუ არა თამაშს. თავად ვიმედოვნებ, რომ „მონაკოს" წინააღმდეგ მინდორზე გამოვალ".

ვინ ეგულება დიკ ადვოკაატს ალბერტცის შემცვლელად? — გაისმის კითხვა. ვარაუდობენ, რომ ეს ნილ მაკკანი იქნება, შოტლანდიის ნაკრების წევრი, რომელიც ალბერტცის არყოფნაში „რეინჯერსის" მარცხენა ფრთას გაამაგრებს. ამის გარდა, ადვოკაატი სხვა ორი ფეხბურთელის ტრავმებსაც შეუწუხებია. ვარჯიშის დროს ფორვარდი მიხაელ მოლსი და ნახევარმცველი კლაუდიო რეინა დაშავდნენ, ორივეს კუნთი დაეჭიმა.

სტამბოლში წაგებული მატჩის შემდეგ ფრანგები გონს მოსვლას ცდილობენ და ახლა გამარჯვებისთვის ილესავენ კბილებს. „ახლა თავს ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად კარგად ვგრძნობთ — აცხადებს საფრანგეთის ჩემპიონთა თავკაცი კლოდ პუელი, რომლის შეგირდებმაც „გალათასარაისთან" დამარცხების შემდეგ საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში შინ აუტსაიდერი „ტულუზი" 3:0 დაამარცხეს — ოთხშაბათის მატჩი იმის ნათელი დასტური იქნება, თუ რისი მიღწევა შეგვიძლია წლევანდელ სეზონში".




რონალდ დე ბურმა გოლებს უწმინა

„მონაკოს" მცველი მარტინ ჯეტუ: „ჩვენ ვიცით „რეინჯერსის" სიძლიერე და მოწადინებულნი ვართ, მათ წინააღმდეგ ღირსეულად ვითამაშოთ. მწამს, მატჩი ლამაზი სანახავი გამოვა". საფრანგეთის ჩემპიონს სამი დისკვალიფიცირებული დააკლდება, შეხვედრას არგენტინელი გამთამაშებელი მარსელო გალიარდო, მცველები — უსმან დაბო და ფრანკ ჟურიეტი გამოტოვებენ.

## გადაფრენა ჰოსპიტალში



**შორია** ავსტრალია. თან არა მარტო ჩვენთვის. აგერ, უეფას 70 წლის პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირზე დასწრება გადაწყვიტა, ჩაჯდა თვითმფრინავში, ოღონდ სტადიონის ნაცვლად თავი ადელაიდის საავადმყოფოში ამოჰყო. უეფას მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ შვედს მგზავრობისას გულის უკმარობა დაემართა.

აღელვებული საზოგადოება წუხელ უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა დაამშვიდა: ბატონი იუჰანსონის ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება და რამდენიმე დღეში ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდებაო.

# პრემიერლიგა ტელევიზორით შემიყვარდა

**ახალი სეზონის დაწყებასთან ერთად „მეინ როუდზე" ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა — რამდენიმე სეზონის წინ მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული ჟორჟ ვეა „სიტის" ღირსებას იცავს. საფრანგეთსა და იტალიაში თამაშის დროს ლიბერიელმა არაერთი ჯილდო მოიგო და მოწადინებულია პრემიერლიგაშიც იგივე გაიმეოროს.**



ჟორჟ ვეა (მარცხნივ) მორიგი ჯილდოებისთვის იბრძვის

**— „სიტიში" თქვენი გადასვლა ბევრისთვის მოულოდნელი იყო. ეს გადაწყვეტილება სწრაფად მიიღეთ?**

— პრემიერლიგაში დარჩენა მსურდა, რადგან „ჩელსიში" ცუდი დრო არ გამიტარებია. როცა „სიტის" თავკაც ჯო როილს შევხვდი და ვიგრძენი, რომ ვჭირდებოდი, მანჩესტერში გადასვლა ვარჩიე. თან ვგრძნობ, გუნდშიც კმაყოფილნი არიან.

**— შეეძლო „მილანის" ხელმძღვანელობას, იტალიაში დაეტოვებინეთ?**

— დიახ, შეეძლო, მაგრამ მე ინგლისში თამაშის სურვილი გამოვთქვი. შემდეგ „მილანის" პრეზიდენტს პირადად ვესაუბრე. ის ძალიან კარგი პიროვნებაა. საბოლოოდ შევთანხმდით, რომ „მილანთან" კონტრაქტს შევწყვეტდი და კლუბის გამოცვლა თავისუფლად შემეძლებოდა.

**— „სიტის" წლეულს წარმატების წინაპირობა თუ აქვს?**

— ამ სეზონში პრემიერლიგის მოგება უფრო ოცნებაა, თუმცა გუნდში იმიტომ მივედი, რომ მასთან ერთად ჯილდოები მოვიპოვო. იმის საფუძველი ნამდვილად არის, რომ სეზონის ბოლოს ევროთასებზე გამსვლელ ადგილებზე მოვხვდეთ. „მეინ როუდი" ევროთასების მატჩების მასპინძლობას იმსახურებს. გუნდს განსაკუთრებულად თბილი გულშემატკივრები ჰყავს, რომელთაც დიდი ფეხბურთი მოაკლდათ და ჩვენი ამოცანაა, მათ ეს სიამოვნება დავუბრუნოთ.

**— ზოგი თვლის, რომ თქვენმა საუკეთესო წლებმა უკვე ჩაიარა. ამ აზრს თუ ეთანხმებით?**

— ამას ვერ ვიტყოდი. „ჩელსიში" მივედი და ვაჩვენე, რომ საქმის კეთება კვლავაც ძალმიძს. არიან ჩემზე ასაკოვანი ფეხბურთელებიც, რომელთაც სარგებლობის მოტანა შეუძლიათ. მეც ასე ვარ — სანამ თამაში და ბურთის გატანა შემეძლება, თავს კარგად ვიგრძნობ. მერწმუნეთ, წარმატებებს კვლავაც მივაღწევ.

**— გრძნობთ, რომ რაღაც დასამტკიცებელი კიდევ დაგრჩათ და ამას ინგლისში თამაშით შეძლებთ?**

— „მონაკოსა" და „პარი სენ ჟერმენში" ვთამაშობდი, ამის შემდეგ კი იტალიაში მოვხვდი. მაშინ ოპონენტები თვლიდნენ, რომ სერია A ჩემთვის ძალიან რთული იქნებოდა. მე ყოველთვის ვცდილობდი, დამემტკიცებინა მათთვის, რომ ცდებოდნენ. „მანჩესტერ სიტიშიც" ამავე განზრახვით მივედი. შრომა მიყვარს და ამიტომ არა მგონია, ინგლისში რაიმე სირთულე შემექმნას.

**— ბევრი იცოდით „სიტიზე", სანამ ამ კლუბში ჩაირიცხებოდით?**

—ბავშვობაში, როცა ლიბერიაში ფეხბურთს ვუყურებდით, ტელევიზიით ხშირად პრემიერლიგის მატჩებს აჩვენებდნენ. ინგლისის ჩემპიონატი მას შემდეგ მომწონს. მაშინ „სიტი" ერთ-ერთი წარმატებული გუნდი იყო. კლუბს დიდი ტრადიციები და გულშემატკივართა მხურვალე მხარდაჭერა უმაგრებდა ზურგს. მიხარია, ამ ქომაგთა თვალწინ მეც რომ შემეძლება თამაში. „სიტის" რამდენიმე მატჩი შარშანაც ვნახე. მაშინ გუნდი პირველ დივიზიონში იყო. ისე, ინგლისელი გულშემატკივრები მაოცებენ. ისინი გუნდს სულ მხარში უდგანან, თუნდაც მათი რჩეული დაბალ ლიგაში დაქვეითდეს. იტალიასა და საფრანგეთში ამას ნაკლებად თუ შეხვდებით.

**— დაბოლოს, მანჩესტერულ დერბიზეც გკითხავთ. ძალუძს „სიტის" ჩემპიონთან ღირსეულად გამკლავება?**

— ქალაქური დაპირისპირება მართლაც მეტად მომხიბლავია. ჩვენი სიძლიერე „იუნაიტედს" უკვე წლეულს უნდა დავუმტკიცოთ. შედეგის რა გითხრათ, თუმცა ჩვენი ყოველი მატჩი დაძაბული და ლამაზი სანახავი იქნება.

**თარგმნა ნიკა შუბლაძემ**

## ნიუკასლშიც ლუა ლუა იუნაიტედი

„ნიუკასლში" მატებაა. ბობი რობსონის გუნდს გუშინ მეორედივიზიონელი „კოლჩესტერიდან" ფორვარდი ლომანა ტრეზორ ლუა ლუა შეუერთდა. ფეხბურთელი წარმოშობით ზაირელია და მის სანაცვლოდ „კაჭკაჭებმა" 2,25 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

ლუა ლუამ არაერთი პრემიერლიგური კლუბის ყურადღება მიიპყრო, ვინაიდან 19 წლის თავდამსხმელმა სეზონში უკვე ხუთი გოლი გაიტანა. საბოლოოდ მისი ხელში ჩაგდება „ნიუკასლმა" მოახერხა.

„ლომანას შენარჩუნება შეგვეძლო, მაგრამ მისი გაყიდვა ვამჯობინეთ, რადგან ტრანსფერზე გაუთავებელი ლაპარაკი მის ფორმაზე იმოქმედებდა — განაცხადა „კოლჩესტერის" მენეჯერმა სტივ უიტონმა და დასძინა — შემოთავაზებული თანხა ჩვენთვის მისაღები იყო, კლუბის დირექტორთა საბჭოც ტრანსფერზე დათანხმდა."

## უნგრეთი

VIII ტური

A ჯგუფი

შოპრონი — ტატაბანია 3:4; ჰალადაში — ფერენცვაროში 3:0; დიორ ეტო — ნიირშეგი 2:0; ჰონვედი — დუნაფერი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დიორ ეტო | 8 | 5 | 1 | 2 | 14:9 | 16 |
| დუნაფერი | 7 | 4 | 3 | 0 | 17:6 | 15 |
| ტატაბანია | 8 | 4 | 3 | 1 | 16:12 | 15 |
| შოპრონი | 8 | 3 | 1 | 4 | 12:14 | 10 |
| ჰონვედი | 7 | 1 | 5 | 1 | 9:8 | 8 |
| ფერენცვაროში | 8 | 2 | 2 | 4 | 13:17 | 8 |
| ჰალადაში | 8 | 2 | 1 | 5 | 8:15 | 7 |
| ნიირშეგი | 8 | 2 | 0 | 6 | 4:12 | 6 |

B ჯგუფი

დებრეცენი — მტკ 2:3; პეჩი — ზალაეგერსეგი 0:1; ნადიკანიჟა — ვიდეოტონი 1:0; ვაშაში — უიპეშტი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მტკ | 8 | 5 | 3 | 0 | 18:5 | 18 |
| უიპეშტი | 8 | 5 | 2 | 1 | 25:10 | 17 |
| ვაშაში | 8 | 3 | 3 | 2 | 13:8 | 12 |
| დებრეცენი | 8 | 3 | 2 | 3 | 14:13 | 11 |
| ვიდეოტონი | 8 | 3 | 1 | 4 | 12:14 | 10 |
| ზალაეგერსეგი | 8 | 2 | 4 | 2 | 6:12 | 10 |
| ნადიკანიჟა | 8 | 2 | 1 | 5 | 6:20 | 7 |
| პეჩი | 8 | 0 | 2 | 6 | 4:16 | 2 |

## ლიტვა

30-ე ტური: ჟალგირისი — კაუნასი 1:1; ატლანტასი — პოლონია 5:1; კარედა — ბანგა 1:1; ეკრანასი — ნევეჟისი 0:0; ინკარასი — დაინავა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟალგირისი | 29 | 22 | 6 | 1 | 92:16 | 72 |
| კაუნასი | 27 | 18 | 8 | 1 | 81:16 | 62 |
| ატლანტასი | 28 | 18 | 2 | 8 | 54:28 | 56 |
| კარედა | 30 | 14 | 9 | 7 | 45:34 | 51 |
| ეკრანასი | 29 | 14 | 7 | 8 | 44:24 | 49 |
| ნევეჟისი | 29 | 9 | 11 | 9 | 24:36 | 38 |
| დაინავა | 30 | 7 | 8 | 15 | 30:56 | 29 |
| პოლონია | 30 | 6 | 6 | 18 | 24:68 | 24 |
| ინკარასი | 30 | 3 | 5 | 22 | 20:82 | 14 |
| ბანგა | 30 | 1 | 6 | 23 | 16:70 | 9 |

## რუმინეთი

მე-6 ტური: ფორესტა — რაპიდი 1:0; უნივერსიტატია — ნაციონალი 2:0; დინამო — არჯეში 2:1; გლორია — სტიაუა 1:1; როკარი — გაც მეტანი 2:1; ბრაშოვი — ოცელული 0:0; ჩაჰლაული — ასტრა 0:0; პეტროლული — ბაკეუ 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 6 | 4 | 2 | 0 | 15:9 | 14 |
| უნივერსიტატია | 6 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 13 |
| როკარი | 6 | 3 | 1 | 2 | 14:12 | 10 |
| ბაკეუ | 6 | 3 | 1 | 2 | 12:10 | 10 |
| პეტროლული | 6 | 3 | 1 | 2 | 8:6 | 10 |
| ოცელული | 6 | 3 | 1 | 2 | 10:9 | 10 |
| დინამო | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 19 |
| ბრაშოვი | 6 | 3 | 1 | 2 | 3:2 | 10 |
| ფორესტა | 6 | 3 | 1 | 2 | 8:9 | 10 |
| არჯეში | 6 | 3 | 0 | 3 | 8:11 | 9 |
| რაპიდი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:6 | 7 |
| ასტრა | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| გლორია | 6 | 1 | 2 | 3 | 5:7 | 5 |
| გაც მეტანი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:7 | 4 |
| ნაციონალი | 6 | 1 | 1 | 4 | 8:11 | 4 |
| ჩაჰლაული | 6 | 0 | 2 | 4 | 3:11 | 2 |

## არგენტინა

მე-7 ტური: ლოს ანდესი — რივერ პლეიტი 0:4; ბოკა ხუნიორსი — ალმაგრო 2:0; სან ლორენსო — ლანუსი 4:2; ინდეპენდიენტე — კოლონი 2:1; ჩაკარიტა ხუნიორსი — ურაკანი 1:2; ხიმნასია ლა პლატა — ნიუელს ოლდ ბოიზი 4:3; არგენტინოს ხუნიორსი — ბელგრანო 1:1; ტალერესი —ველეს სარსფილდი 1:0; უნიონი — რასინგი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 7 | 6 | 1 | 0 | 18:5 | 19 |
| ბოკა ხუნიორსი | 7 | 5 | 2 | 0 | 18:7 | 17 |
| სან ლორენსო | 7 | 5 | 0 | 2 | 14:6 | 15 |
| ტალერესი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:6 | 14 |
| ურაკანი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:6 | 14 |
| ლა პლატა | 7 | 4 | 2 | 1 | 15:3 | 14 |
| ოლდ ბოიზი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 11 |
| ესტუდიანტესი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:5 | 9 |
| ლოს ანდესი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:16 | 9 |
| კოლონი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:8 | 8 |
| ლანუსი | 7 | 2 | 1 | 4 | 13:12 | 7 |
| ველესი | 7 | 1 | 4 | 2 | 6:7 | 7 |
| არგ. ხუნიორსი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:8 | 6 |
| ჩაკარიტა | 7 | 1 | 3 | 3 | 4:8 | 6 |
| ინდეპენდიენტე | 7 | 1 | 3 | 3 | 5:8 | 6 |
| ბელგრანო | 7 | 0 | 5 | 2 | 7:10 | 5 |
| უნიონი | 7 | 1 | 2 | 4 | 3:9 | 5 |
| ალმაგრო | 7 | 0 | 3 | 4 | 4:10 | 3 |
| როსარიო | 6 | 0 | 3 | 3 | 6:12 | 3 |
| რასინგი | 6 | 0 | 2 | 4 | 3:11 | 2 |

## საბერძნეთი

1-ლი ტური: ოლიმპიაკოსი (პირეოსი) — ეთნიკოსი (ასტერასი) 6:0; პანათინაიკოსი (ათენი) — პასი (იოანინა) 2:1; პანახაიკი — შკოდა (ქსანტი) 1:1; იონიკოსი — ათინაიკოსი 1:0; პანილიაკოსი — პანიონიოსი 1:1; კალამატა — პაოკ (სალონიკი) 0:0; აეკ (ათენი) — ირაკლისი (სალონიკი) 2:0; ოფი (კრეტა) — არისი (სალონიკი) 2:3

## უკრაინა

თასის მეთექვსმეტედფინალი

პრიკარპატიე (ივანო-ფრანკოვსკი) — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 1:3; ჩერნომორეცი (ოდესა) — კარპატი (ლვოვი) 3:1; ლვოვი — ვოლინი 0:0 (პენ.3:0); მეტალურგი (ნიკოპოლი) — დნიპრო (დნეპროპეტროვსკი) 1:3; ბორისფენი (ბორისპოლი) — ცსკა (კიევი) 1:2; მაშინობუდიველნიკი (დრუჟკოვკა) — მეტალისტი (ხარკოვი) 1:1 (პენ.4:5); მეტალურგი (მარიუპოლი) — ზოლინი (ლუცკი) 3:2; ზირკა (კიროვოგრადი) — მეტალურგი (დონეცკი) 1:2; სკა (მიკოლაევი) — ტავრია (სიმფეროპოლი) 0:3; ჩერკასი — ნივა (ტერნოპოლი) 0:1; სპარტაკი (სუმი) — დინამო (კიევი) 0:0 (პენ.4:2); სოკოლი (ზოლოჩივი) — სტალი (ალჩევსკი) 2:1; პოლიგრაფტექნიკა (ოლექსანდრია) — შახტარი (დონეცკი) 0:3

## შვედეთი

მე-20 ტური: აიკ – იორებრო 1:2; ჰალმსტადი – ჰამარბი 4:1; ტრელებორგი – იორგრიტე 1:1; ფრიოლუნდა – სუნდსვალი 2:2; ჰელსინგბორგი – ნორჩიოპინგი 3:1; ელფსბორგი — ჰაკენი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 20 | 12 | 4 | 4 | 36:19 | 40 |
| აიკ | 20 | 11 | 4 | 5 | 31:24 | 37 |
| ჰელსინგბორგი | 20 | 11 | 2 | 7 | 37:23 | 35 |
| ელფსბორგი | 19 | 10 | 2 | 7 | 32:27 | 32 |
| იორგრიტე | 19 | 9 | 3 | 7 | 25:21 | 30 |
| გიოტებორგი | 19 | 7 | 7 | 5 | 27:22 | 28 |
| იორებრო | 20 | 8 | 4 | 8 | 33:29 | 28 |
| ნორჩიოპინგი | 20 | 6 | 9 | 5 | 27:23 | 27 |
| ჰამარბი | 20 | 7 | 6 | 7 | 24:27 | 27 |
| ტრელებორგი | 20 | 6 | 7 | 7 | 19:22 | 25 |
| სუნდსვალი | 20 | 5 | 6 | 9 | 26:33 | 21 |
| ჰაკენი | 20 | 3 | 10 | 7 | 29:36 | 19 |
| გაის | 19 | 2 | 8 | 9 | 16:28 | 14 |
| ფრიოლუნდა | 20 | 2 | 6 | 12 | 14:42 | 12 |

## ჩეხეთი

მე-7 ტური. სპარტა — დრნოვიცე 3:0; ბოჰემიანსი — ბლშანი 4:0; ლიბერეცი — პლზენი 2:0; ბანიკი — სინოტი 0:0; პრჟიბრამი — იაბლონეცი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 6 | 6 | 0 | 0 | 17:2 | 18 |
| ლიბერეცი | 7 | 5 | 1 | 1 | 15:6 | 16 |
| სინოტი | 7 | 3 | 4 | 0 | 12:4 | 13 |
| სიგმა | 6 | 3 | 2 | 1 | 10:5 | 11 |
| სლავია | 5 | 3 | 2 | 0 | 8:4 | 11 |
| ბოჰემიანსი | 7 | 2 | 4 | 1 | 10:6 | 10 |
| ტეპლიცე | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| ბანიკი | 7 | 2 | 2 | 3 | 6:10 | 8 |
| პრჟიბრამი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | 7 |
| ბლშანი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:8 | 6 |
| ჟიჟკოვი | 6 | 2 | 0 | 4 | 8:13 | 6 |
| დრნოვიცე | 7 | 2 | 0 | 5 | 7:13 | 6 |
| პლზენი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:14 | 6 |
| იაბლონეცი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | 5 |
| ბუდეიოვიცე | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | 4 |
| ბრნო | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | 1 |

## დანია

მე-9 ტური: ვიბორგი — სილკებორგი 1:1; ოლბორგი — ორჰუსი 2:1; ჰადერსლევი — ლიუნგბიუ 2:4; ჰერფიოლგე — მიდტიულანდი 0:1; კოპენჰაგენი — ოდენსე 1:0; აკადემისკი — ბრონდბიუ 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიუნგბიუ | 9 | 6 | 0 | 3 | 17:15 | 18 |
| ბრონდბიუ | 9 | 5 | 2 | 2 | 25:8 | 17 |
| მიდტიულანდი | 9 | 5 | 2 | 2 | 16:9 | 17 |
| კოპენჰაგენი | 9 | 5 | 1 | 3 | 12:7 | 16 |
| სილკებორგი | 9 | 4 | 4 | 1 | 12:14 | 16 |
| ოდენსე | 9 | 4 | 1 | 4 | 14:7 | 13 |
| ვიბორგი | 9 | 3 | 4 | 2 | 10:7 | 13 |
| ოლბორგი | 9 | 4 | 1 | 4 | 13:14 | 13 |
| ჰერფიოლგე | 9 | 3 | 1 | 5 | 12:20 | 10 |
| აკადემისკი | 9 | 2 | 3 | 4 | 12:14 | 9 |
| ორჰუსი | 9 | 3 | 0 | 6 | 11:19 | 9 |
| ჰადერსლევი | 9 | 0 | 1 | 8 | 9:29 | 1 |

## ავსტრია

მე-11 ტური: გრაცერი — აუსტრია 1:0; ადმირა — ტიროლი 1:0; ბრეგენცი — რიდი 0:0; რაპიდი — ზალცბურგი 3:0; ლინცერი — შტურმი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 11 | 7 | 3 | 1 | 24:7 | 24 |
| რაპიდი | 11 | 7 | 3 | 1 | 24:10 | 24 |
| გრაცერი | 11 | 5 | 3 | 3 | 19:14 | 18 |
| ზალცბურგი | 11 | 5 | 2 | 4 | 12:14 | 17 |
| რიდი | 11 | 4 | 4 | 3 | 17:14 | 16 |
| ტიროლი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:13 | 15 |
| შტურმი | 11 | 4 | 1 | 6 | 18:17 | 13 |
| ბრეგენცი | 11 | 3 | 3 | 5 | 12:19 | 12 |
| ლინცერი | 11 | 2 | 2 | 7 | 9:24 | 8 |
| ადმირა | 11 | 1 | 2 | 8 | 9:28 | 5 |

## ნორვეგია

23-ე ტური: ბრანი — სტაბეკი 2:2; ოდ გრენლანდი — ტრომსიო 3:0; ჰაუგესუნდი — სტარტი 1:2; ლილესტრიომი — მოსი 1:0; მოლდე — ბრინი 1:1; ვიკინგი — ვოლერენგა 1:1; როზენბორგი — ბოდიო გლიმტი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენბორგი | 23 | 15 | 4 | 4 | 49:23 | 49 |
| ვიკინგი | 23 | 12 | 5 | 6 | 46:36 | 41 |
| სტაბეკი | 22 | 11 | 4 | 7 | 54:28 | 37 |
| მოლდე | 23 | 10 | 7 | 6 | 43:39 | 37 |
| ბრანი | 22 | 10 | 5 | 7 | 43:37 | 35 |
| ტრომსიო | 23 | 10 | 5 | 8 | 39:41 | 35 |
| ლილესტრიომი | 21 | 9 | 6 | 6 | 35:23 | 33 |
| ოდ გრენლანდი | 23 | 9 | 5 | 9 | 34:29 | 32 |
| მოსი | 23 | 7 | 7 | 9 | 35:41 | 28 |
| ბოდიო გლიმტი | 23 | 6 | 9 | 8 | 44:51 | 27 |
| ბრინი | 23 | 6 | 6 | 11 | 31:48 | 24 |
| ვოლერენგა | 23 | 4 | 8 | 11 | 27:38 | 20 |
| სტარტი | 21 | 5 | 5 | 11 | 32:52 | 20 |
| ჰაუგესუნდი | 23 | 4 | 4 | 15 | 29:55 | 16 |

## პოლონეთი

მე-8 ტური: პოგონი — რაძიონკოვი 1:0; ოდრა — ზაგლებე 0:1; კატოვიცე — პლოცკი 0:0; გურნიკი — გროცლინი 1:2; პოლონია — ლეგია 0:0; შლიონსკი — რუხი 3:2; სტომილი — ვისლა 0:3; ამიცა — ვიძევი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოგონი | 8 | 6 | 2 | 0 | 11:4 | 20 |
| ვისლა | 8 | 6 | 1 | 1 | 21:5 | 19 |
| ლეგია | 8 | 4 | 4 | 0 | 9:3 | 16 |
| ამიცა | 8 | 4 | 3 | 1 | 14:9 | 15 |
| პოლონია | 8 | 4 | 2 | 2 | 11:7 | 14 |
| ზაგლებე | 8 | 4 | 1 | 3 | 12:10 | 13 |
| სტომილი | 8 | 4 | 1 | 3 | 8:11 | 13 |
| ვიძევი | 8 | 2 | 3 | 3 | 13:15 | 9 |
| შლიონსკი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:12 | 9 |
| გროცლინი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:13 | 8 |
| ოდრა | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | 8 |
| კატოვიცე | 8 | 0 | 7 | 1 | 2:3 | 7 |
| პლოცკი | 8 | 2 | 1 | 5 | 8:11 | 7 |
| რაძიონკოვი | 8 | 2 | 0 | 6 | 8:16 | 6 |
| გურნიკი | 8 | 1 | 2 | 5 | 9:12 | 5 |
| რუხი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:14 | 5 |

## რუსეთი

გადადებული მატჩები

ანჟი 3:2 ზენიტი

ნ. ნოვგოროდი 0:0 როსტსელმაში

ალანია — ცსკა კვლავ გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 26 | 19 | 1 | 6 | 60:27 | 58 |
| ლოკომოტივი | 24 | 15 | 7 | 2 | 33:12 | 52 |
| ანჟი | 24 | 13 | 5 | 6 | 35:21 | 44 |
| ჩერნომორეცი | 24 | 11 | 8 | 5 | 38:20 | 41 |
| დინამო | 24 | 11 | 7 | 6 | 37:30 | 40 |
| ტორპედო | 25 | 11 | 7 | 7 | 32:27 | 40 |
| ზენიტი | 24 | 10 | 7 | 7 | 30:21 | 37 |
| სატურნი | 25 | 9 | 8 | 8 | 25:25 | 35 |
| ცსკა | 24 | 8 | 5 | 11 | 26:32 | 29 |
| ალანია | 24 | 7 | 7 | 10 | 25:32 | 28 |
| როტორი | 24 | 7 | 7 | 10 | 29:43 | 28 |
| როსტსელმაში | 24 | 4 | 13 | 7 | 18:20 | 25 |
| კრილია | 24 | 6 | 4 | 14 | 22:40 | 22 |
| ფაკელი | 24 | 4 | 9 | 11 | 20:40 | 21 |
| ნ. ნოვგოროდი | 24 | 3 | 7 | 14 | 12:31 | 16 |
| ურალანი | 24 | 2 | 6 | 16 | 16:37 | 12 |

## იტალია

სერია C1/A

მე-2 ტური: ალბინოლეფე — სპეცია 1:0; ალესანდრია — კომო 0:1; ბრეშელო — არეცო 1:1; კარარეზე — სპალ 0:0; ლეკო — ლივორნო 1:0; ლუკეზე — რეჯანა 3:1; მოდენა — ლუმეცანე 3:1; პიზა — ჩეზენა 1:1; ვარეზე — ალძანო 1:1

სერია C1/B

მე-2 ტური: ატლეტიკო — სავოია 2:3; აველინო — ფ. ანდრია 1:2; დი სანგრო — კატანია 1:2; ჯულიანოვა — ასკოლი 0:0; აკილა — ტორესი 2:0; ლოდიჯანი — ბენევენტო 1:2; პეზარო — პალერმო 0:1; ვიტერბეზე — ნოჩერინა 0:1; ფერმანა — მესინა 1:1

**იურიდიული და საადვოკატო მომსახურება**

**შეღავათიან ფასად. ფირმების რეგისტრაცია სწრაფად და იაფად**

*მარჯანიშვილის ქუჩა №5; II სართული; ოთახი №228*

ტელეფონი: 95 53 20; 62 56 52 (საღამოს)

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | იტალია. სერია B. გადადებული მატჩები | | | |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 002 | რავენა-პიაჩენცა 18.00 | 3,0 | 2,5 | 2,5 |
| 001 | მონცა-სალერნიტანა | 2,5 | 2,4 | 3,1 |
| 003 | სამპდორია-პისტოიეზე | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| 004 | სამპდორია-პისტოიეზე 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 005 | ტორინო-ვენეცია | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| | შოტლანდია | | | |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 006 | დანდი-დანდი იუნაიტედი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 007 | ჰართსი-სენტ მირენი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| | შვედეთი. მე-20 ტური | | | |
| | 21 სექტემბერი | | | |
| 010 | იორგრიტე-ელფსბორგი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 011 | ჰამარბი-აიკ | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| | ნორვეგია. გადადებული მატჩი | | | |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 012 | ბრანი-სტარტი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 013 | ბრანი-სტარტი0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| | ინგლისი. ლიგის თასის II ეტაპი. I მატჩები | | | |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 034 | მანჩ.სიტი-ჯილინგემი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 035 | ნიუკასლი-ლეიტონი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 036 | საუთჰემპტონი-მენსფილდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 037 | სტოკი-ჩარლტონი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 038 | ევერტონი-როვერსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | ჰოლანდია. თასის I ეტაპი | | | |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 039 | ტილბურგი-ეინდჰოვენი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 043 | უტრეხტი-ვეენდამი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 21 სექტემბერი | | | |
| 040 | დენ ჰააგი-ცვოლე | 3,5 | 3,3 | 1,8 |
| 044 | ვალვაიკი-ჰერაკლესი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 046 | ემენ-ოსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 047 | იგლსი-ექსელსიორი | 2,4 | 3,0 | 2,6 |
| | ჩემპიონთა ლიგა. მე-2 ტური | | | |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 509 | რეალი-სპარტაკი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 510 | ლევერკუზენი-სპორტინგი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 511 | ლაციო-სპარტა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 512 | არსენალი-შახტარი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 513 | ჰერენვენი-ვალენსია | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 514 | ოლიმპიაკოსი-ლიონი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 515 | შტურმი-გალათასარაი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 516 | მონაკო-რეინჯერსი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | უეფას თასი. I ეტაპი. საპასუხო მატჩები | | | |
| | 21 სექტემბერი | | | |
| 518 | ჰერტა-ზიმბრუ | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 517 | კაიზერსლაუტ.-ბოჰემიანსი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | ოლიმპიადა. ფეხბურთი. კაცები | | | |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 405 | კორეა-ჩილე 14.00 | 4,0 | 3,2 | 1,7 |
| 406 | ესპანეთი-მაროკო 14.00 | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 407 | ბრაზილია-იაპონია 14.00 | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 408 | სლოვაკეთი-ს.აფრიკა 14.00 | 3,4 | 3,4 | 1,7 |
| | ოლიმპიადა. ფეხბურთი. ქალები | | | |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 411 | აშშ-ნიგერია 13.30 | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 412 | ნორვეგია-ჩინეთი 13.30 | 3,8 | 3,2 | 1,75 |
| | ოლიმპიადა. კალათბურთი. კაცები | | | |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 419 | იტალია-ახ.ზელანდია | 1,02 | 12,0 | 10,0 |
| 420 | კანადა-ესპანეთი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 421 | ჩინეთი-საფრანგეთი 08.30 | 5,0 | 12,0 | 1,1 |
| 422 | აშშ-ლიტვა 08.30 | 1,01 | 15,0 | 15,0 |
| 423 | იუგოსლავია-ანგოლა13.30 | 1,01 | 15,0 | 15,0 |
| 424 | ავსტრალია-რუსეთი 13.30 | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| | ოლიმპიადა. კალათბურთი. ქალები | | | |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 425 | კანადა-საფრანგეთი | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| 426 | კუბა-ახ.ზელანდია | 1,02 | 12,0 | 7,5 |
| 427 | ბრაზილია-სენეგალი 08.30 | 1,01 | 15,0 | 15,0 |
| 428 | აშშ-რუსეთი 08.30 | 1,05 | 12,0 | 5,0 |
| 429 | ავსტრალია-სლოვაკეთი 13.30 | 1,02 | 12,0 | 10,0 |
| 430 | კორეა-პოლონეთი 13.30 | 1,5 | 12,0 | 1,9 |
| | ოლიმპიადა. ხელბურთი. კაცები | | | |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 431 | ტუნისი-შვედეთი | 7,5 | 8,0 | 1,05 |
| 432 | რუსეთი-კორეა | 1,15 | 8,0 | 4,0 |
| 433 | ეგვიპტე-კუბა 08.30 | 1,25 | 8,0 | 3,1 |
| 434 | ავსტრალია-სლოვენია10.30 | 10,0 | 10,0 | 1,02 |
| 435 | ესპანეთი-საფრანგეთი 13.30 | 1,3 | 8,0 | 2,8 |
| 436 | იუგოსლავია-გერმანია15.30 | 1,35 | 8,0 | 2,5 |
| | ოლიმპიადა. ხელბურთი. ქალები | | | |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 441 | ბრაზილია-ავსტრია 08.30 | 7,5 | 8,0 | 1,05 |
| 442 | ანგოლა-რუმინეთი 10.30 | 8,5 | 8,5 | 1,03 |
| 443 | ავსტრალია-დანია 13.30 | 25,0 | 15,0 | —- |
| 444 | უნგრეთი-კორეა 15.30 | 1,7 | 8,0 | 1,7 |
| | ოლიმპიადა. ფრენბურთი. კაცები | | | |
| | 21 სექტემბერი | | | |
| 451 | კუბა-ეგვიპტე 09.00 | 1,01 | —- | 15,0 |
| 452 | ბრაზილია-ჰოლანდია 09.00 | 2,0 | —- | 1,5 |
| 453 | ავსტრალია-ესპანეთი 09.00 | 7,5 | —- | 1,01 |
| 454 | აშშ-იუგოსლავია 09.00 | 1,8 | —- | 1,6 |
| 455 | იტალია-არგენტინა 09.00 | 1,15 | —- | 4,0 |
| 456 | კორეა-რუსეთი 09.00 | 7,5 | —- | 1,02 |
| | ოლიმპიადა. ფრენბურთი. ქალები | | | |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 457 | კენია-ავსტრალია | 4,0 | —- | 1,02 |
| 458 | ბრაზილია-ჩინეთი | 1,25 | —- | 3,1 |
| 459 | ხორვატია-აშშ | 1,7 | —- | 1,7 |
| 460 | პერუ-გერმანია | 2,0 | —- | 1,5 |
| 461 | რუსეთი-იტალია | 1,02 | —- | 10,0 |
| 462 | კორეა-კუბა | 6,0 | —- | 1,05 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩააბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.



პელოტონი ისტორიის, ავილას ციხე-სიმაგრეს მიადგა

# ერასმა ბეხარი გაახარა

**რობერტო ერასმა** თავის პატრონ პეპე კილესს სიხარულის ცრემლები აღვრევინა. მან „კელმეს" პირველი გამარჯვება მოუტანა დიდ ტურნირთაგან („ჯირო", „ტური", „ვუელტა") ერთ-ერთში. 26 წლის ტანმომცრო მთიელმა „ვუელტა" დაიპყრო. იგი მთელი შეჯიბრის განმავლობაში დომინირებდა და წარმატებას მთის თითოეულ ეტაპზე ჭედდა.

როცა პეპე კილესმა და მისმა „კელმემ" ველომრბოლთა გუნდის დაფინანსება გადაწყვიტეს, რობერტო ერასი მხოლოდ ხუთი წლის იყო. მას მერე სპორტული ნაწარმის ფირმა პელოტონს არ ღალატობს და მისი სტაჟიანი წევრიცაა, მაგრამ დიდ შეჯიბრში ვერაფრით იმარჯვებდა. რამდენიმე წლის წინ „კელმეს" ხელმძღვანელობამ ახალგაზრდა ტალანტების ძებნა დაიწყო და რამდენიმე მოყვარულს კონტრაქტიც გაუფორმა, მათ შორის 21 წლის ერასსაც.

ერასმა პროფესიულ გუნდში გატარებული პირველი ორი წელი სწავლას მონდომა, შემდეგ კი, როცა დიდი სამეულის ეტაპების მოგება დაიწყო, გუნდის ლიდერობაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. ცეკვა „ფლამენგოზე" უზომოდ შეყვარებულმა მრბოლმა პირველად თავი „ვუელტაზე" გამოიჩინა. 1997 წელს მან ალტო დე მორედეროს მთაზე გაიმარჯვა, მომდევნო წელს კი იმავე შეჯიბრში სეგოვიას ეტაპი მიითვალა აქტივში.

1999 წელს ერასმა იმარჯვა „ჯიროს" ყველაზე რთულ ეტაპზე, რომელიც მორტიროლოს უძნელეს მთაზეც გადიოდა და აპრიკაში სრულდებოდა, მაგრამ მისი ტრიუმფი სხვისმა ტრაგედიამ დაჩრდილა. ეტაპის დაწყებამდე საერთო ჩათვლის ლიდერს, იტალიელ მარკო პანტანის ორგანიზმში ჰემატოკრიტების მაღალი დონე დაუდგინეს და „ჯიროდან" მოკვეთეს. წლევანდელ „ტურზეც" მშვენივრად გამოვიდა ბეხარის (პატარა ესპანური ქალაქია) მკვიდრი. მან საერთო ჩათვლაში მეხუთე ადგილი დაიკავა და რომ არა დასანანი წაქცევა ფინალურ დაღმართზე, ეგებ მორზინის ეტაპიც მოეგო.

„კელმეს" ერასის შენარჩუნება ძალიან უნდა, ამიტომ მისი კონტრაქტის დარღვევა 2 მილიონ დოლარზე მეტ თანხად შეაფასა. თუმცა რობერტოს გული ამერიკული „პოსტალისკენ" მიუწევს, რომლის ლიდერს, ლენს არმსტრონგსაც ძლიერ სურს მისი თანაგუნდელობა, რადგან მთებში ერასი „ტურის" ორგზის ჩემპიონს დიდად გამოადგება. წესით, ერასს ერთდერთ დაბრკოლებად ის უნდა ქცეოდა, რომ „ფოსტალში" ლიდერი ვერ იქნებოდა. მართლაც, თუ ლიდერი არ ხარ „ტურზე", რომლის მოგებაც ყველა მრბოლის დარად ერასის ოცნებაცაა, სხვისთვის უნდა იმუშაო. თუმცა... როცა ესპანელმა ჟურნალისტებმა „ვუელტას" ახალგამოჩეკილ ჩემპიონს უთხრეს, რომ თუ იგი „პოსტალში" გადაბარგდებოდა, „ტურს" ვერ მოიგებდა, მან აუღელვებლად იკითხა: „თქვენ ასე თვლით?" მალე კი დაამატა, რომ „ვუელტას" დროს ამაზე არ უფიქრია, რადგან რბოლაში ხელი შეეშლებოდა და ახლაღა აწონ-დაწონის ყველაფერს.



რობერტო ერასი

ისე, მას ისეთი გუნდი სჭირდება (თავადაც იცის), რომელიც ინდივიდუალური რბოლების მომზადებას მეტ ყურადღებას უთმობს. უამისოდ „ტურის" მოგებაზე არც უნდა იფიქრო. ესპანეთში, მართალია, სამი ინდივიდუალური რბოლისას ბევრი დრო წაუგია კასეროსთან და სხვა ინდივიდუალისტებთან, მაგრამ იქ საფრანგეთთან შედარებით მოკლე დისტანციები იყო, თანაც საფრანგეთში დისციპლინის საუკეთესო ოსტატები საუკეთესო ფორმაში გამოდიან ხოლმე.

ახლა კი „ვუელტას" ბოლო სამ ეტაპზე მოგითხრობთ.

პარასკევს მე-19 ეტაპის გზა თითქმის სწორი იყო, შესაბამისად, პელოტონსაც მთლიანად უნდა მიეღწია ფინიშისთვის, თუმცა ავანტიურისტებს რა გამოლევს. უამრავი შეტევა განხორციელდა, მაგრამ წარმატებული არც ერთი გამოდგა. ყველაზე ლამაზი ბოლო იერიში იყო, რომლის ავტორიც ფრანგი პატრის ალგანი გახდა. ავილაში შესულ პელოტონს რამდენიმე კილომეტრი ქვაფენილიან მსუბუქ აღმართზე უნდა გაევლო. ალგანმაც მაშინ შეუტია. მან მხოლოდ ასიოდე მეტრის უპირატესობა მოიპოვა და კარგა ხანს ხელიდან არც გაუშვია, მაგრამ აღმართის ბოლოს ლიტველი სარკაუსკასის თაოსნობით რამდენიმე მრბოლი კონტრიერიშზე გადავიდა და ლტოლვილსაც ეტაპის ბოლო მეტრებზე დაეწია. სპრინტში კი უძლიერესი იტალიელი მარიანო პიკოლი გახლდათ, რომელმაც მეორე ვუელტური ეტაპი მოიგო.

შაბათს ბოლოსწინა ეტაპი და ბოლო მთები იყო. ერასის მეტოქეებს, წესით, იქ უნდა შეეტიათ, რათა მადრიდის ინდივიდუალურ რბოლამდე მასთან ჩამორჩენა შეემცირებინათ. შეტევა მართლაც განხორციელდა და ერასსა და მის კონკურენტებს შორისაც შეიცვალა სხვაობა, ოღონდ ისევ კელმელის სასარგებლოდ. პელოტონს სულ ხუთი დაბრკოლება უნდა გადაელახა — სამი მესამე კატეგორიის სიძნელის მთა და თითო-თითოც მეორე და პირველი კატეგორიისა. დღის მთავარი შეტევა უკანასკნელ, პირველი კატეგორიის სიძნელის ალტო დე ლოს აბანტოსზე მიიტანეს მრბოლებმა. თავიდან რობერტო ლაისეკა დაწინაურდა, მაგრამ მას წამსვე წამოეწივნენ სიმონი და ერასი. ოქროსფერმაისურიანმა ტემპი უმალ გაზარდა და სამეულს ველარავინ დაეწია. მართალია, ერასმა ფინიშამდე კომპანიონები ვერაფრით ჩამოიტოვა, მაგრამ მათ სპრინტში აჯობა და მეორედ მოიგო ეტაპი.

მადრიდში ინდივიდუალური რბოლა კვირას გაიმართა და ესპანელი სანტოს გონსალესის გამარჯვებით დასრულდა. ერასი მეცხრე ადგილზე გავიდა, კასეროსთან წუთი და 53 წამი დათმო და „ვუელტას" ჩემპიონიც გახდა. ესპანური პელოტონის ახალი გმირი ორშაბათს მშობლიურ ბეხარში მეფურად მიიღეს და დიდებული ფიესტაც მოუწყვეს. ეკუთვნოდა კიდეც.

**ბაიოზ თალაკვაძე**

### მეცხრე ეტაპი

სალამანკა — ავილა, 130კმ

1. მარიანო პიკოლი (იტალია, ლამპრე) — 3სთ 12წთ 49წმ
2. საულიუს სარკაუსკასი (ლიტვა, პეკოლი)
3. ლორან ბროშარი (საფრანგეთი, ჟან დელატური)
4. ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბორტოლო)
5. ხოსე ოდრიოსოლა (ესპანეთი, ბანესტო) — ყველას იგივე დრო

### მეოცე ეტაპი

ავილა — ალტო დე ლოს აბანტოსი

1. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — 3სთ 16წთ 42წმ
2. ჟილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) — იგივე დრო
3. რობერტო ლაისეკა (ესპანეთი, ესკალტელი) — +3წმ
4. ხოსე ლუის რუბიერა (ესპანეთი, კელმე) — +45
5. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი, კელმე) — +45

### ოცდამეერთე ეტაპი

მადრიდი, ინდივიდუალური რბოლა, 38,8კმ

1. სანტოს გონსალესი (ესპანეთი, ონსე) — 45წთ 26წმ
2. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) — +6
3. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +1წთ 01
4. სერგეი გონჩარი (უკრაინა, ლიკიგასი) — +1წთ 05
5. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი) — +1წთ 19

### საბოლოო ჩათვლა

1. რობერტო ერასი — 70სთ 26წთ 14წმ
2. ანხელ კასერო — +2წთ 33
3. პაველ ტონკოვი — +4წთ 55
4. სანტოს გონსალესი — +5წთ 52
5. რაიმონდას რუმშასი (ლიტვა, ფასა ბორტოლო) — +7წთ 38



# მარატ, მარატ!

## ტაშკენტში საფინს ისე უქომაგეს, უცხოთ ასეთი არ უნახავთ

**ტაშკენტი. უზბეკეთი. „პრეზიდენტის თასი".**

**მეოთხედფინალი:** მარატ საფინი (2, რუსეთი) — ჯეიმი დელგადო (ინგლისი) 6:4, 6:4; ჟულიან ბუტე (საფრანგეთი) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:1, 1:1 — ტრავმა; დავიდე სანგვინეტი (იტალია) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:0, 5:7, 6:3; მარკ როსეტი (შვეიცარია) — ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) 6:4, 3:6, 6:3.

**ნახევარფინალი:** საფინი — როსეტი 6:2, 6:2; სანგვინეტი — ბუტე 7:6 (7:5), 7:6 (7:4).

**ფინალი:** საფინი — სანგვინეტი 6:3, 6:4.

აშშ-ის ღია პირველობის ფინალიდან მეორე დღეს მარატ საფინმა სუპერვარსკვლავად გაიღვიძა — 20 წლის გიგანტი, ლეგენდარული პიტ სამპრასის გამნადგურებელი მსოფლიოს პრესამ ჩოგბურთის მხსნელად და მომავლად შერაცხა, ორშაბათსვე ამერიკის ერთ-ერთ უპოპულარულეს, დევიდ ლეტერმანის შოუზე მიიწვიეს მომღერალ სტინგთან ერთად.

მარატს გალაღება და დასვენება იქნებ ძალიანაც უნდოდა, მაგრამ ადრე მიცემულ სიტყვას მაინც არ უღალატა და ნიუ იორკიდან შორეულ ტაშკენტს მიაშურა.

მგზავრობით გადაღლილ საფინს „პრეზიდენტის თასზე" თავიდან გაუჭირდა. პირველ ორ წრეში სუსტ მეტოქეებთან ბლომად ოფლი ღვარა, მაგრამ მერე თანდათან ფორმაში ჩადგა და ფანატიკურად მოქომაგე მაყურებლებს იმედი აღარ გაუცრუა.

„ასეთი არაფერი მინახავს, მარატს ისე ეპყრობიან და გულშემატკივრობენ, თითქოს როკ-ვარსკვლავი იყოს, ნაბიჯსაც ვერ დგამს შეუმჩნევლად, იმედია, ზეწოლას გაუძლებს" — განაცხადა საფინთან მეოთხედფინალში დამარცხებულმა ინგლისელმა ჯეიმი დელგადომ.

„ჩვენს ნაკრებში ლიდერი შეიცვალა. ახლა რუსეთის პირველი ჩოგანი მე კი არა, მარატია და ის სავსებით იმსახურებს ამას" — შეაქო უმცროსი კოლეგა ტაშკენტში მეორე წრეში დამარცხებულმა ევგენი კაფელნიკოვმა.

საფინმა თავის მხრივ ნახევარფინალსა და ფინალში მეტოქეებს შანსი არ დაუტოვა, სეზონის მეხუთე ტიტული და 70 ათასი დოლარი მოიპოვა და კარიერაში პირველად კლასიფიკაციასაც მოექცა სათავეში — წლევანდელი შედეგების მიხედვით სამპრასს სულ მცირედით გაუსწრო.

„აქ რომ ჩამოვედი, პირველ ჩოგნად გახდომას ვისახავდი მიზნად. კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგი საუკეთესო ჩოგბურთელის წოდებისკენ და თუნდაც ეს სულ ერთი კვირა გაგრძელდეს, მაინც მეამაყება" — აღნიშნა გამარჯვებულმა.

ტრიუმფი ტრიუმფად, მაგრამ რუსს სიდნეიში ოლიმპიადაზე გამგზავრება მეტისმეტად დაუგვიანდა და ავსტრალიაში საასპარეზოდ აკლიმატიზაციისა და დასვენებისთვის დრო თითქმის აღარ დარჩა.

**ბუქარესტი. რუმინეთის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 350 ათასი $**

**ნახევარფინალი:** მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) — ალექს კალატრავა (8, ესპანეთი) 6:4, 6:1; ხუან ბალსელსი (ესპანეთი) — მარკ კევინ გელნერი (გერმანია) 6:4, 6:4.

**ფინალი:** ბალსელსი — ჰიპფლი 6:4, 3:6, 7:6 (7:1).

**ავთანდილ სვანიძე**



მარატ საფინს ტაშკენტში ჯიბე ძალიანაც თუ ვერ დაუმძიმეს, სამაგიეროდ, მხარი დაუმშვენეს


## „55-ე სკოლა"

გთავაზობთ გახანგრძლივებულ კლასგარეშე მომსახურებას I, II, III და IV კლასებისთვის. სათანადო დარგის კვალიფიციური პედაგოგები ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა ბავშვები დაახლოვონ ხელოვნების, მუსიკისა და ლიტერატურის საფუძვლებს; სურვილის მიხედვით ამეცადინონ ინგლისურ და/ან რუსულ ენებში, დაეხმარონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დავალებების დაძლევაში.

პატარები ისწავლიან ხელოვნების ისტორიის საწყის კურსს ლეგენდების თუ მითოლოგიის სახით. შესაძლებელია ანიმაციური ფილმის სპეციფიკის შესწავლა დაწყებით ეტაპზე. მსურველებს მიეცემათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სატელევიზიო საბავშვო გადაცემაში „ჩიპო"

ცნობებისათვის დარეკეთ: 99 79 03 ლელა ჭავჭანიძე







# ახალგახურებულზე

ოლიმპიადა გახურდა. სპორტის დედოფლის, მძლეოსნობის ოსტატნი ჯერ საქმეში არ ჩართულან. ოლიმპიური ჩემპიონი, სპრინტის ამერიკელი მეუფე მაიკლ ჯონსონი ოლიმპიადის დაწყებიდან პირველად შეხვდა ჟურნალისტებს და სარბენი ფეხსაცმლის ახალი წყვილი უჩვენა. „ნაიკის ოქროს წკაპუნებად“ წოდებულ ამ ფეხსაცმლებით ოთხას მეტრზე მსოფლიო რეკორდის დამყარებას გაპირებო, თქვა ჯონსონმა. მეორე ამერიკელი, რვაას მეტრზე მორბენალი მისი თანამემამულე მარკ ევერეტი კი მოულოდნელი ფორმის სათვალით იწონებს თავს.

სამხრეთ კორეაში ოლიმპიადას გულისფანცქალით ელოდნენ. თუნდაც იმიტომ, რომ სამხრეთელებმა კომუნისტ ჩრდილოელებთან ერთად ჩამოიარეს გახსნის ცერემონიალზე და პოლიტიკოსთა სიავის გამო გაყოფილი ერთი ქვეყნის გაერთიანებისკენ გადადგეს ნაბიჯი. სეულელ მზარეულ პაკ ჩო როს მიერ მორთული ეს ტორტიც სიდნეის ოლიმპიადას ეძღვნება.

სიდნეური დარბაზები რომ კარგად მოათვალიეროთ, იქ გვარიან ცისფერსისხლიანთა ოდენობას აღმოაჩენთ. აი, ბრიტანეთის პრინცესა ანა ოლიმპიურ ტრეკზე ველომრბოლთა შეჯიბრს უცქერს. ესპანეთის ინფანტა კრისტინა კი თავის ქმართან, ინაკი უნდანგარინთან ერთადაა. უნდანგარინი ოლიმპიადის მონაწილეა, ესპანეთის ხელბურთელთა ნაკრების კაპიტანია.

ეს ორი გულგატეხილი ჯეელი კი ძალოსანი გახლავთ. მათი სამშობლო რუმინეთი მათგან მედლებს აღარ უნდა ელოდოს — ტრაიან ტიარეანმა და ანდრეი მატეასმა დოპინგ ტესტი ვერ გაიარეს.









სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია.** ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge